საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღეს

- გადადგა საფრანგეთის მთავრობა.
- ჩინეთში ახალი მთავრობა შესდგა.
- ესპანელების მდგომარეობა მაროკოში [illegible]
- ბერლინში გამოქვეყნდა ცნობები, რომ [illegible] სტინე ისაგან.
- ინგლისის მანქანების საალმშენებლო მრეწველობაში ლოკაუტი გამოცხადდა.
- განიარაღების კონფერენცია შვეიცარიაში არ შესდგება.

კვირა, 7 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 53 (1508)

მოწოდება

საქართველოს ყველა მშრომელ ქალებს

ამხანაგებო, ქალაქის და სოფლის მუშა-ქალებო!

საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **მუშა-ქალების საერთაშორისო კომუნისტურ დღეს** მხურვალედ გესალმებათ და მოგმართავთ შემდეგი მოწოდებით:

8 მარტი მთელ მსოფლიოში ყველა მუშა-ქალების სადღესასწაულო და საზეიმო დღეა ისე, როგორც **პირველი მაისი** ყველა მშრომელთა, მთელი მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულია.

8 მარტს მთელ მსოფლიოში გაისმის მშრომელი ქალის განთავისუფლების ძლიერი ხმა.

მუშა-ქალი როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მშრომელ მამაკაცზედაც უფრო დაჯაბნებული და უფრო დამონებული იყო და არის ყოველგან, **გარდა საბჭოთა ქვეყნებისა.** კაპიტალის უღელი როგორც მუშა-მამაკაცს, ისე მუშა-დედაკაცს, ერთნაირად აწევს კისერზე. მუშა-ქალებს ჩაგრავენ და აწუხებენ აგრეთვე ბურჟუაზიული საზოგადოების ზნე-ჩვეულებები, ოჯახური პირობები და სხვადასხვა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშა-ქალი იჩაგრება იმიტომ, რომ იქ არსებობს **კერძო საკუთრება მიწაზე, ქარხანაზე და ფაბრიკაზე.** კერძო საკუთრების უფლება იქ გადადის აგრეთვე თვით მუშა-ქალებზედაც, რომელიც ხელფეხშეკრულია ბურჟუაზიული კანონებით ოჯახზე, ქორწინზე, განქორწინებაზე, „უკანონოდ დაბადებულ" ბავშვზე და სხვადასხვა.

მშრომელი ქალის სრული განთავისუფლება ჩაგვრისა და მონობისაგან შეუძლებელია ისე, თუ მთელი მშრომელი ხალხი არ იქნა განთავისუფლებული. ეს განთავისუფლება კი ყველა მშრომელების, ანუ მთელი მუშათა კლასის საქმეა.

მაგრამ მშრომელი ქალების განსაკუთრებული პირობები, მათი ორკეცი ჩაგვრა და დამონება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თხოულობენ მათდამი განსაკუთრებულ ყურადღებას. აი სწორედ ამაში მდგომარეობს 8 მარტის უდიდესი მნიშვნელობა.

მაგრამ თუ ასე დგას მუშა-ქალებისა და გლეხ-ქალების საკითხი ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სამაგიეროდ სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა ქვეყნებში: აქ მშრომელი ქალი, როგორც ქალაქის, ისე სოფლის, **სრულიად თავისუფალია** და იმავე დროს **სავსებით გათანასწორებული** მუშა-მამაკაცებთან.

ეს განთავისუფლება 1917 წლის **ოქტომბრის რევოლიუციის** საქმეა, ამ რევოლიუციას მეთაურობდა **ამხ. ლენინი.** ვის არ გაუგონია ეს ძვირფასი სახელი? განსაკუთრებით ძვირფასია ეს სახელი მშრომელ ქალებისათვის. თვითეულმა თქვენთაგანმა უნდა ისწავლოს და უნდა გაიგოს ის, თუ რა მოგანიჭათ თქვენ ოქტომბრის რევოლიუციამ და თუ რა გააკეთა თქვენთვის ამხ. ლენინმა.

ამხანაგებო, მშრომელო ქალებო! დღევანდელ დღეს უფრო ხმამაღლა უნდა გაისმას თქვენ შორის **ოქტომბრის რევოლიუციის ხმა.** არ უნდა დარჩეს არც ერთი კუთხე, რაც გინდა მიყრუებული არ იყოს ის, არც ერთი მივარდნილი სოფელი, რომ ეს ხმა იქაც არ გაისმას. ამ ხმამ უნდა გამოაფხიზლოს, გამოიყვანოს თავდავიწყებიდან ყველა მშრომელი ქალი, ქალაქების და სოფლის მუშა-ქალები,—ყველანი, როგორც დედები და ცოლები, ისე ახალგაზრდები. მართალია, ისინი უკვე თავისუფალი არიან, საბჭოთა ხელისუფლების კანონებმა ისინი გაათანასწორა მშრომელ მამაკაცებთან, მაგრამ ჩვენი საერთო ჩამორჩენილობის, ჩვენი ქვეყნის სიღატაკე-სიღარიბის და გონებრივი სიბნელის გამო მშრომელი ქალი, განსაკუთრებით გლეხი-ქალი, ჯერ კიდევ სინამდვილეში ვერ სარგებლობს საბჭოთა ხელისუფლების კანონებით. ეს დიდი ნაკლია, რაც დაჩქარებით გამოსწორებულ უნდა იქნეს. ეს კი ყველა მშრომელთა საქმეა. მშრომელი ქალი უნდა გაუთანასწორდეს მშრომელ მამაკაცს სინამდვილეში, ქალი უნდა შეიქნეს მამაკაცის ნამდვილი ტოლ-ამხანაგი. სანამ ეს არ მოხდება, მანამ ჩვენი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო ემგვანება ისეთ ადამიანს, რომელიც მარტო ცალ ფეხზე დგას. ცალ ფეხზე ადამიანი ხომ დიდხანს ვერ გაჩერდება. აქედან აშკარაა, რომ თითოეული მუშა და გლეხი პირდაპირ უნდა იყვეს დაინტერესებული იმაში, რომ მუშა-ქალმა და გლეხის ქალმა რაც შეიძლება ჩქარა დააღწიოს თავი დღევანდელ მდგომარეობას და ამოუდგეს მხარში მუშა-მამაკაცებს სოციალიზმის შენების საქმეში. მაგრამ, თავის თავად იგულისხმება, რომ ეს საქმე მარტო მუშა-მამაკაცებზე არაა დამოკიდებული. აქ უპირველეს ყოვლისა საჭიროა თვით მშრომელ ქალების, ე. ი. მუშა-ქალების და გლეხის ქალების ამოძრავება, მათი თვითმოქმედება, მათი ჩაბმა საბჭოების ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობაში.

საქართველოს მშრომელო ქალებო! თქვენთან, თქვენ დასახმარებლად მოდის **კომუნისტური პარტია ქალთა განყოფილების სახით.** თქვენთან მოდის **საბჭოთა მთავრობა ქალთა კომისიის და წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების სახით,** რომ თქვენში შემოიტანოს სინათლე და ცოდნა, გაგხადონ თქვენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შეგნებული მოქალაქენი, გამოგიყვანონ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე, რათა შეიქნეთ ნამდვილი ადამიანები, რომ აღარ იყვეთ მუდამ წელში მოხრილნი და თავჩაქინდრულები, რაც მონური მდგომარეობის ნაშთია და რასაც ბოლო უნდა მოეღოს. ასეთი მუშაობა უკვე დაწყებულია. საბჭოების შარშანდელ არჩევნებში 123 ათასმა გლეხის ქალმა მიიღო მონაწილეობა, და ეს შეადგენს ყველა ამრჩევლების 21 პროცენტს. ეს შედარებით დიდი ნაბიჯია წინ. მაგრამ ეს არ კმარა,—ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მშრომელი ქალების მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში 50 პროც. შეადგენდეს. ამას მოითხოვს სამართლიანობა. თუ დიდი იყო შარშან მშრომელ ქალების მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში, თვით საბჭოებში და თემების და ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ ქალების რაოდენობა, სამწუხაროდ, ბევრად უფრო ნაკლები იყო. წლევანდელ არჩევნების შესახებ ჩვენ ჯერ არ გვაქვს საბოლოო ცნობები. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, როგორც გლეხის ქალების მონაწილეობა არჩევნებში, ისე ამორჩეულ ქალების რიცხვი შარშანდელზე მეტი იქნება.

გარდა ამისა, მუშა და გლეხ ქალების საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში ჩასაბმელად არსებობენ მშრომელ ქალთა **სადელეგატო კრებები.** ამ სადელეგატო კრებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მშრომელი ქალების გათვითცნობიერების საქმეში. დელეგატ-ქალთა საერთო რიცხვი მთელ საქართველოში იყო: 1924 წელს—3.210, ხოლო 1925 წელს ეს რიცხვი ავიდა 7.512-მდე. ეს შედარებით დიდი მიღწევაა.

ამხანაგო, მშრომელო ქალებო! როგორც აქამდის ცხოვრობდით, ისე ცხოვრება შემდეგში აღარ შეიძლება. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თქვენი მდგომარეობა რაც შეიძლება ჩქარა გაუმჯობესდეს; რომ თქვენ ჩქარა გახდეთ შეგნებული და აქტიური წევრები მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი. ამით დაჩქარდება ჩვენი წინსვლა, ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური განვითარება და, მასთან ერთად, **სოციალისტური აღმშენებლობაც.** თქვენ უნდა შესძლოთ და მოახერხოთ ოქტომბრის რევოლიუციის ყველა მონაპოვარის გამოყენება და ცხოვრებაში განხორციელება.

1926 წლის 8 მარტს თქვენ უნდა დაანახვოთ ყველას, თუ რა გაკეთდა, საერთოდ, და მშრომელი ქალებისათვის, კერძოდ, საბჭოთა საქართველოში წარსული ხუთი წლის განმავლობაში, ან დღეს რა კეთდება ამ მხრით. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ის პირობები, რომლებშიაც დღეს თქვენ გიხდებათ მუშაობა, სულ სხვაა, ვინემ ის პირობები, რომლებშიაც თქვენ დებს დღეს უხდებათ მუშაობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იმ დროს, როცა თქვენ სრულიად თავისუფალი ხართ ყოველგვარი ჩაგვრისაგან და მასთან მუშურ-გლეხური ხელისუფლება თქვენთან ერთად ეწევა თქვენს შორის ყოველგვარ კულტურულ და განმანათლებელ მუშაობას, ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშა-ქალები ისევ დამონებული და დაჩაგრული არიან მდიდრების, ესე იგი მემამულეების და კაპიტალისტების მიერ. მშრომელ ქალებს იქ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა უდგათ წინ, რომ ადამიანური უფლებები მოიპოვონ. იმათ 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარების უფლებაც არა აქვთ. და ეს იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევ სახელმწიფო ძალა-უფლება სავსებით მუშათა კლასის მტრების, ე. ი. კაპიტალისტების და მემამულეების ხელშია. ამ გარემოებას უნდა მიაქციოთ თქვენ დიდი ყურადღება და ეცადოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც თქვენ მოგანიჭათ სრული თავისუფლება და თანასწორობა და რომელიც გაძლევთ თქვენ იმის შეძლებას, რომ შეიქნეთ ნამდვილი მოქალაქენი და მიიღოთ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში და სოციალიზმის დამყარების საქმეში,—აი ეს ხელისუფლება გაამაგროთ და განამტკიცოთ. თქვენ უნდა დაუმტკიცოთ საზღვარგარეთელ დებს, რომ ერთგულნი ხართ საბჭოთა ხელისუფლების და გიყვართ ის, როგორც საკუთარი ღვიძლი შვილი. მართალია, ჯერ ჩვენ ყველას საერთოდ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, ჯერ გაკეთებული შედარებით ძლიერ ცოტაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა საქართველომ მოკლე ხნის განმავლობაში მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მშრომელ მასების გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერების საქმეში.

ამხანაგებო, მუშა და გლეხ-ქალებო! 8 მარტს თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ საქართველოს მშრომელი ქალები, ის აღარ არიან, რაც წინად იყვნენ, რომ თქვენ გათვითცნობიერებული ხართ, რომ თქვენ ჩაბმული ხართ საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტურ აღმშენებლობაში, რომ თქვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელ ჩაკიდებული მთელი თავისი ენერგიით ეწევით დიად მუშაობას სოციალიზმის დასამყარებლად.

მაშ, წინ—სოციალიზმისაკენ!

გაუმარჯოს მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს!

ძირს ბურჟუაზიული წესწყობილება, რომელიც ჩაგრავს და იმონებს მშრომელ მასებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც განთავისუფლა მთელი მშრომელი ხალხი, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები!

გაუმარჯოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ს. ს. ს. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდ. **ფ. მახარაძე.**

დადგენილება № 11

სრ. საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტისა

იმ ქალთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს 1926 წლ. მარტის 8-ის დღემდე

ს. ს. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის მარტის 4-ს დადგენილების შესასრულებლად და საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის მუშა ქალის მარტის 8 დღის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ის ქალი, რომელსაც სოციალური დაცვის ღონისძიება შეეფარდა სასამართლოს განაჩენით ან ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3, მე-5 (152 მუხლის გამოკლებით) მე-6 და მე-8 თავში გათვალისწინებული დანაშაულის გამო, უკეთუ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სოციალური დაცვის ღონისძიებად კანონით დაწესებულია ფულადი ჯარიმა,—იძულებითი მუშაობა ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, — განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაცვის ღონისძიების იმ ნაწილისაგან რომელიც ჯერ არ მოუხდია.

შენიშვნა: 1-ლ მუხლში აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება:

ა) სხვადასხვა ქონებრივ გადახდევინებაზე, გარდა ფულადი ჯარიმისა, რაც გადაწყვეტილია სოციალური დაცვის ღონისძიების სახით.

ბ) ფულად დაჯარიმებაზე უკეთუ იგი მოყვანილია სისრულეში და

გ) სისხლის სამარ. მიერ სამოქალაქო სარჩელის გამო გადაწყვეტილ გადახდევინებაზე.

2. მოსპობილ იქნეს წარმოებით ისეთი საქმე, რომლითაც ქალს ბრალდება წარედგინა სისხლ. სამართ. ან ადმინისტრატიულ წესისამებრ, ამა დადგენილების პირველ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უკეთუ ეს საქმე წინასწარი გამოძიების სტადიაშია ან განხილულია ხოლო განაჩენი კი ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა.

3. განმანაწილებელ კომისიებს უფლება მიეცეთ ვადამდე განთავისუფლონ ის ქალი, რომელიც მშრომელთა წრეს ეკუთვნის იმ შემთხვევაშიაც როდესაც მას არ მოუხდია იძულებითი მუშაობისა ან თავისუფლების აღკვეთის ნახევარი ვადაც, უკეთუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის გათვალისწინებული ამა დადგენილების პირველ მუხლში, (სისხლის სამართლის კოდ. 58—73, 76, 116, 146 მუხ. 176 მუხლის „გ" პ., 187 და 191 მ. მ. გამოკლებით) და მისი ვადამდე პირობითი განთავისუფლება არ წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და საზოგადოებრივ წესრიგისათვის.

4. ყველა სხვა დანაშაულისათვის რაც აღნიშნული არ არის 1-ლ მუხლში გარდა სისხლ. სამ. კოდ. 58—73, 76, 116, 146 მუხ., 176 მ. „გ" პ., 187 და 191 მუხლებში აღნიშნული დანაშაულისა, სასამართლოს და სხვა სათანადო დაწესებულებას უფლება ეძლევათ საქმის განხილვის შემდეგ შეუმციროს ნახევრამდე თავისუფლების აღკვეთის ვადა მსჯავრდადებულ ქალს, რომელიც მშრომელთა წრეს ეკუთვნის, უკეთუ იგი სოციალურად საშიშარი არ არის და მისი მოქმედება საზოგადოებრივ წესრიგისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

5. მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცეს სათანადო ამნისტიის აქტი ამა დადგენილების საფუძველზე, ხოლო აჭარის ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამა დადგენილების შეფარდების დროს შეავსოს იგი სათანადო მუხლებით ადგილობრივი პირობების მიხედვით.

6. იუსტიციის სახალხო კომისარმა ამა დადგენილებისა სისრულეში მოყვანისათვის შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია და თვალყური ადევნოს ამ დადგენილების განხორციელებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ. **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. მარტის 6, თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 12

სრ. საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტისა

ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. სექტემბრის 5-ს თარიღითა და 396/12 ნომრით გამოცემული ცირკულიარის შესასრულებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღოს ღონისძიება გლეხ-ქალთა უფლებების უზრუნველსაყოფად მიწათმოწყობის განხორციელების დროს და, კერძოდ დაუტოვოს ხოლმე მიწა, კომლის გაყრის წესისამებრ, ქმართან გაყრილ გლეხ-ქალს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში უკეთუ, მას შვილები ჰყავს.

2. შრომის სახალხო კომისარიატმა გადასინჯოს კანონმდებლობა ქალის შრომის შესახებ იმ მიზნით, რომ ეს შრომა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული წარმოების ისეთ დარგებში, სადაც იგი დღემდე ნაკლებ ან სრულიად არ იყო გამოყენებული.

3. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა და სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააფართოონ მუშაობა მშრომელი ქალის საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში ჩასაბმელად და სისტემატიურად მიანდონ ხოლმე უფრო საპასუხისმგებლო სამუშაო ისეთ ქალებს რომელნიც საკმაო აქტივობას და ნიჭს გამოიჩენენ.

4. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს შეიტანონ ამ ხარჯთ-აღრიცხვაში საჭირო თანხა ქალთა კლუბებისა, კუთხეებისა, ბაგეებისა, საბავშვო ბაღებისა, საბავშვო მოედნებისა, საბებიო პუნქტებისა, კონსულტაციებისა და აგრეთვე წარმოებითი და სასოფლო-სამეურნეო არტელების შესანახად.

5. განათლების სახალხო კომისარიატმა, ქალთა კვალიფიკაციური მუშა-ძალის შესაქმნელად, მიიღოს საჭირო ღონისძიება, რათა მუშა-ქალებისათვის განსაკუთრებით კი ახ.-გაზრდებისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს ადგილები პროფესიონალურ-ტეხნიკურ სკოლებში, სპეციალურ ტეხნიკუმებში და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში.

6. სათანადო სახალხო კომისარიატებმა გამოსცენ ინსტრუქციები ამ დადგენილების განსახორციელებლად.

სრულიად საქარ. საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართვ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. მარტის 6, თბილისი—სასახლე.

მშრომელი ქალის დღე

თუ 8 მარტი მუშათა კლასის საერთო დღეებიდან გამოყოფილია, როგორც მშრომელ ქალთა ცალკე დღე,—ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მშრომელი მასების წინაშე უფრო გარკვეულად დაისვას საკითხი ქალაქისა და სოფლის მუშა-ქალების ამოძრავება—დარაზმვისა და მათი მუშათა კლასის რიგებში ჩამწკრივების შესახებ.

მუშათა კლასის საერთო ამოცანებში არის ისეთებიც, რაც მშრომელ ქალთა მდგომარეობას უშუალოდ ეხება. ავიღოთ ყოფა-ცხოვრების საკითხი. ვინ არის ძველი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულების უფრო ენერგიული მატარებელი და დამცველი? მტკიცება არ უნდა, რომ ქალი. ჩამწყვდეული ოჯახის ვიწრო ჩარჩოებში, დატვირთული მრავალი წვრილმანი საქმეებით, მოკლებული ფართო მსოფლმხედველობას და საზოგადოებრივი აღმშენებლობისა და კულტურული წარმატების ინტერესებს—ასეთი იყო ქალების მდგომარეობა წარსულში და ბუნებრივია, რომ დღესაც, ჩვენში, სოციალისტური აღმშენებლობის ხანაშიც უფრო ხშირად ქალი გამოდის ძველი, მეშჩანური ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების და დრომოჭმული ტრადიციების მატარებლად და დამცველად. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ახალი წყობილება ახალ ყოფა-ცხოვრებას მოითხოვს. ნათელი, სრულიად განთავისუფლებულს ძველი ნაშთებისაგან, ლაღი და სრული კოლექტიური შრომა-ცხოვრება—ეს უნდა დაედვას საფუძვლად ახალ ყოფა-ცხოვრებას. ამ მხრივ ყველაზე მეტი ქალს მოეთხოვება, მეტის გაკეთება მას შეუძლია. ამიტომ ახალი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას მშრომელი ქალების წინაშე: ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა და ამისათვის სათანადო დაწესებულებათა შექმნა, საზოგადოებრივი სასადილოები, სამკერვალოები, სამრეცხვლოები და სხვა ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რაც ქალს განტვირთავს და საზოგადოებრივ აღმშენებლობის ასპარეზს გაუხსნის, აი ის საკითხები, რომელნიც ფართოდ უნდა დაისვას მშრომელ ქალთა მასებში და რომელთა პრაქტიკულად მოგვარებაც უნდა შეადგენდეს ჩვენს ყოველდღიურ საზრუნავ საგანს. აქ მშრომელ ქალთა გაერთიანებულ ძალღონეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

გარდა ამისა, მშრომელი ქალების საკაცობრიო მოვალეობას შეადგენს ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ძველის გარდაქმნას და ახალი ცხოვრების შექმნას მძლავრი და ყოველმხრივად ჯანსაღი თაობა შესძლებს. ვინც დაინტერესებულია კაცობრიობის წარმატებით და კომუნიზმის დამკვიდრებით, მან მხედველობიდან არ უნდა გაუშვას იმაზე ზრუნვა, ვინც ქმნის და ვისთვისაც იქმნება მომავალი. ამ მხრივ ჯერ ბევრი ნაკლი გვაქვს; ჩვენი მოზარდი თაობა ვერ არის საკმაოდ საღი.

მშრომელმა ქალმა ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოოს ადამიანთა მოდგმის გაჯანსაღებისა და გაუმჯობესებისათვის, უნდა ებრძოლოს საზოგადოებაში დამკვიდრებულ უვიცობას, დაუდევრობას, გარყვნილობას, რასაც შედეგად ახალი თაობის დაუძლურება და დაჩიავება მოჰყვება. მშრომელმა ქალებმა თაოსნობა უნდა იკისრონ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ამ მხარეების მოწესრიგებაში, რასაც კავშირი აქვს მოდგმის გაჯანსაღებასთან.

საღი შთამომავლობის დედა და ახალი თაობის კომუნისტურად აღმზრდელი—ასეთი უნდა იყოს მშრომელი ქალი;

აი, სხვათა შორის, ის საკითხები, რომლებიც დაისმება მშრომელ ქალთა ფართო მასების წინაშე მათ საერთაშორისო დღესასწაულის დღეს —8 მარტს.

მარიამ ორახელაშვილი.

ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი

ჩემბერლენი ერთა ლიგის შესახებ

ლონდონი, 5 მარტი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის შესახებ და განაცხადა, რომ ის განსაკუთრებული ყურადღებით თვალს ადევნებს საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კამათს ამ საკითხის გარშემო.

რაც შეეხება ინგლისის მთავრობას, ის, ჩემბერლენის სიტყვით, სხვებთან ერთად მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ერთა ლიგის შემადგენლობის საკითხი დღის წესრიგში განსახილველად დაისვა ეხლანდელ მომენტში. ინგლისის მთავრობის პოლიტიკა, განაგრძობს ჩემბერლენი, უმთავრესად ლოკარნოს საქმის გაგრძელებას გულისხმობს. ინგლისის წარმომადგენლებმაც ამ პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ ლიგის საბჭოს სესიაზე. მათ ზომები უნდა მიიღონ, რათა არაფერმა არ შეაფერხოს ლოკარნოს საქმე და თავიდან აიცილონ ყოველივე ის, რაც ხელს შეუშლის ამჟამად გერმანიის ერთა ლიგაში შესვლას, მიუხედავად იმისა, რომ მას სურს გახდეს ლიგის წევრი. მეტად სასურველია, რომ საბჭოს წევრთა რიცხვი არ გასცილდეს პრაქტიკულ ამოცანების შესაფერ ამოცანებს.

თემთა პალატა ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების შესახებ

ლონდონი, 5 მარტი. თემთა პალატაში ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს ლოიდ-ჯორჯმა აიძულა ჩემბერლენი გამოეთქვა, რომ მას თუ განსაზღვრული ვალდებულებები არ მიუღია ბრიანისაგან, ყოველ შემთხვევაში მასთან მოლაპარაკება ჰქონია ვალდებულების შესახებ.

შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა ჩემბერლენს შეკითხვა მისცა, შესაძლებელია თუ არა ბრიანთან მოლაპარაკების დროს ჩემბერლენის მიერ თავის თავზე დაკისრებულ ვალდებულებათა შეთავსება იმ მოქმედების თავისუფლებასთან, რომელიც მთავრობამ ინგლისის წარმომადგენლებისაგან მოითხოვა ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე?

ბოლდუინმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის უპირველესი ამოცანაა გერმანიისათვის უზრუნველჰყოს ერთა ლიგაში შესვლა და საბჭოში ადგილის მიღება, მაგრამ ინგლისის მთავრობას საშუალება არ აქვს მარტო ამ საკითხით განსაზღვროს ლიგის სესიის დღის წესრიგი.

ჩინეთი მუდმივ ალაგს მოითხოვს

ლონდონი, 5 მარტი. ჩინეთმა ოფიციალური განცხადება წარმოადგინა ერთა ლიგის საბჭოში მისთვის მუდმივი ალაგის დათმობის შესახებ.

მთავარი ამოცანა

ლონდონი 6 მარტი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ კერძო მოლაპარაკებამ, რომელიც კვირას ჟენევაში გაიმართება ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელის მომწერ მხარეებს შორის, ბოლო უნდა მოუღოს ყოველგვარ დაბრკოლებებს, რომელიც აფერხებს ერთა ლიგის პლენუმის და საბჭოს მომავალ კრების მთავარ ამოცანის განხორციელებას, სახელდობრ: გერმანიის ლიგაში შესვლის და მისთვის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობას. როგორც ფიქრობენ, ლიგის ახალი წევრის მიღებისათვის საჭირო ყველა ფორმალური მხარეები მოწონებული იქნება საბჭოს მომავალი კვირის სხდომებზე.

საბჭოს პირველი კრება დანიშნულია ორშაბათისათვის 11 საათზე. ფიქრობენ, რომ ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხი გადაეცემა მცირე რიცხოვან კომისიას, რომელმაც ეს საკითხი ფორმალურად უნდა განიხილოს და უნდა წარმოადგინოს მოხსენება ზოგიერთ ტეხნიკურ საკითხებზე.

საფრანგეთის პრესის ოპტიმიზმი

პარიზი. 6 მარტი. მთელი პარიზის პრესა არჩევს ერთა ლიგის საბჭოს მოსალოდნელ გაფართოების საკითხს. პრესა ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ლიუტერის იმედები

პარიზი, 6 მარტი. როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, ლიუტერმა განაცხადა, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა საერთაშორისო თანხმობით შემწეობით გაადვილებს გერმანიის აღდგენის პოლიტიკას.

შვეციის პოზიცია

ლონდონი, 6 მარტი. სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობით, უნდენმა რიკსდაგში განაცხადა, რომ შვეციის დელეგატები ერთა ლიგაში წინააღმდეგობას გაუწევენ ლიგის საბჭოში სხვა რომელიმე სახელმწიფოსათვის მუდმივი ადგილის მიცემას, გარდა გერმანიისა.

გერმანიის დელეგაციის გამგზავრება ჟენევაში

ბერლინი, 6 მარტი. პარასკევს საღამოთი ბერლინიდან ჟენევაში გაემგზავრა გერმანიის დელეგაცია ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე ლიუტერის და შტრეზემანის ხელმძღვანელობით.

„ლოკარნოს სული"

ბერლინი, 6 მარტი. „ნიუზ ეჯენსი"-ს კორესპონდენტთან საუბარში შტრეზემანმა განაცხადა, რომ მისი აზრით დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი ჟენევაში სძლევს ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც წარმოიშვა ერთა ლიგის შემადგენლობის შეცვლის გამო, მით უმეტეს, რომ ჩემბერლენმა უკვე გამოსთქვა ამგვარი სურვილი. ამრიგად სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთა ლიგის სესია იხელმძღვანელებს „ლოკარნოს ჭეშმარიტი სულით".

ბენეშის განცხადება.

ვენა, 6 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბენეშმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან დიდი ხანია გამოსთქვა სურვილი საბჭოთა კავშირთან შეთანხმების შესახებ, რაც აუცილებელია როგორც ევროპაში მშვიდობიანობის აღსადგენად, ისე საბჭოთა კავშირისათვისაც. მაგრამ შეთანხმებას აძნელებს ამ ორი ქვეყნის მიერ საერთაშორისო უფლების სხვადასხვანაირი გაგება. ბენეშის აზრით, პირველად ყოვლისა, აუცილებელია შეთანხმებ მიღწევა ამ ძირითად საკითხში.

ახალი მთავრობა ჩინეთში

პეკინი, 6 მარტი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დუან-ძი-ჩჟუიმ იკისრა ახალი კაბინეტის შედგენა.

პრემიერის და სამხედრო მინისტრის პორტფელი მიიღო **ჩია-გე-იაომ,** სხვა პორტფელები განაწილებულია შემდეგნაირად: **იენ-ხოი-ჩანი**—გარეშე საქმეთა მინისტრი; **ჩუ-ვან-გეანი**—შინაგან საქმეთა მინისტრი, **დუ-სიგ-ნეი**—საზღვაო საქმეთა მინისტრი, **ხო-ტე-ლი**—ფინანსთა მინისტრი, **იან-ვენ-გაი**—ვაჭრობის და მიწადმოქმედების მინისტრი, **მა-ჩუნ-ვუ**—სახ. განათლების მინისტრი, **ვუნ-სინ-ჩანი**—გზათა მინისტრი.

იენ-ხოი-ჩანს, გავრცელებულ ხმების თანახმად, ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ მიუღია გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი: არ იციან მოითხოვს თუ არა დუან-ძი-ჩჟუი თავის თანამდებობაზე დატოვებას. პოლიტიკურ წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ დუან-ძი-ჩჟუი სცდილობდა არა იმდენად იენ-ხოი-ჩანის დანიშვნას, რამდენადაც ვან-ჩენ-ტინის გადაყენებას.

იმავე წრეებში აცხადებენ, რომ კაბინეტის შედგენის დროს დუან-ძი-ჩჟუი ხელმძღვანელობდა მტრულ ჯგუფების შერიგების პოლიტიკით და სცდილობდა დაემშვიდებინა სახელმწიფოები, რომელთაც მოთმინება ეკარგებოდათ იმის გამო, რომ ვან-ჩენ-ტინი აჭიანურებდა საბაჟო კონფერენციას. დუან-ძი-ჩჟუიმ ისარგებლა სახალხო არმიების დროებითი გაჭირვებით და განახორციელა მთავრობის რეორგანიზაციის გეგმა.

ახალი კაბინეტი ხანმოკლეა

პეკინი, 6 მარტი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტი ხანმოკლეა.

ფიქრობენ, რომ ფრონტებზე მდგომარეობის დროებით შეცვლა გამოიწვევს პოლიტიკურ ხასიათის ცვლილებებს.

საქართველოს პროფესიონალური კავშირების მუშაობის 5 წლის თავი

რას წარმოადგენდა საქართველოს პროფესიონალური მოძრაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე? მაშინდელ პროფესიონალურ მოძრაობას ახასიათებს დაქსასულობა, რევოლიუციონურ მოძრაობისაგან ჩამოშორება და სხ. მენშევიკების დროს პროფესიონალური მოძრაობა სულს ღაფავდა. მაშინდელი პროფესიონალური ორგანიზაციები თავისთვის იყვნენ და მასასთან კავშირს ისინი სრულებით არ გრძნობდნენ. რიცხვრობრივი და მით უფრო თვისების მხრივ ისინი თითქმის არაფერს არ წარმოადგენდნენ. რაც დრო მიდიოდა, მით უფრო სუსტდებოდა პროფესიონალური მოძრაობის ეს ჩანასახიც.

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდან კი პროფესიონალური მოძრაობა გამოცოცხლდა და დაადგა განვითარების გზას. პროფესიონალური მოძრაობის მიმართულებაც შეიცვალა. საქართველოს პროფესიონალური კავშირები შევიდნენ რევოლიუციონურ კავშირების გაერთიანებაში—წითელ ინტერნაციონალში.

კავშირების შემადგენლობის ზრდა. კავშირების რიცხვობრივი შემადგენლობა ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1922—23 წელში კავშირის წევრების რიცხვი არ აღემატებოდა 80 ათასს, ეხლა უკვე ის აღემატება 130 ათასს ორი-სამი წლის განმავლობაში კავშირთა რიცხვი გაზრდილა 50 ათასით, რაც შეადგენს 52 პროც. ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა მით უფრო დასაფასებელია, რომ პირველ ხანებში არ არსებობდა თავისუფალი წევრობა, შემდეგში კი შემოღებული იყო. თავისუფალ წევრობას უნდა გამოეწვია კავშირების შემადგენლობის შემცირება, მაგრამ პირიქით—კავშირთა წევრების რიცხვი თავისუფალ წევრობის შემდეგ ძალიან გაიზარდა.

130 ათასი შეკავშირებული მუშა-მოსამსახურე, გაერთიანებული პროფესიონალურ კავშირებში,— ეს ძალიან დიდი მიღწევა არის. მენშევიკების ხელისუფლების დროს კი კავშირთა წევრების რიცხვი არ აღემატებოდა 50.126 *) მუშა-მოსამსახურეს.

ეს რიცხვიც არ იყო დარაზმული სათანადოთ. კავშირები არ იყვნენ ჩამოყალიბებული რესპუბლიკის მასშტაბით. კავშირების ორგანიზაციები დაქსასული იყვნენ. მათ უფრო ცეხური ხასიათი ჰქონდათ. კავშირების სიმრავლე და მათი სისუსტე—აი რა ახასიათებს მენშევიკების კავშირებს. თუ ეხლა ჩვენ გვაქვს 21 კავშირი, წარმოებით პრინციპზე აგებული, ჩამოყალიბებული მთელი საქართველოს მასშტაბით, მენშევიკების დროს იყო მარტო თბილისში 36 კავშირი და კიდევ დამოუკიდებლად ქუთაისში 15 კავშირი, ფოთში—9 და სოხუმში—12.

აი ასე იყო დაქსაქსული კავშირების წევრების მცირეოდენი რიცხვი (50 ათ.) მენშევიკ. დროს და ეხლა კი 130 მენშევიკების დროს და ეხლა კი 130 ათასი მუშა-მოსამსახურე გაერთიანებული არის რიცხვით უფრო მცირე კავშირებში. მაგრამ თავისი შემადგენლობით და ორგანიზაციით ეს კავშირები მძლავრ ორგანიზაციებში არიან ჩამოყალიბებული.

კავშირების მუშაობის შინაარსი და მეთოდები. კავშირების შემადგენლობის რიცხვრობრივი ზრდით არ ამოიწურება საბჭოთა საქართველოს პროფესიონალური მოძრაობის მიღწევები. რიცხვრობრივ ზრდასთან ერთად, ჩვენ გვაქვს თვისებრივი ზრდა, უფრო მეტი, ვიდრე რიცხვრობრივი. 21 წლიდან დაწყებული კავშირების მუშაობის მეთოდები დიდ პროგრესიულობას იჩენს. მთავარი, რაც ახასიათებს ამ მეთოდებს, ეს არის ის, რომ კავშირის ორგანიზაცია და მისი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მასებთან მჭიდრო კავშირის დაჭერით. მუშაობის მასიურ ნიადაგზე წარმოება სულ უფრო უმჯობესდება. ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს გასულ წელში. ამ წელმა მოგვცა მასიური მუშაობის უაღრესად ჩამოყალიბებული ფორმები. გათვალისწინებულია პროფესიონალური კავშირის მუშაობის თითქმის ყველა მხარეები, წვრიმალები და დეტალები, უბრალო არჩევნების ტეხნიკაც (კანდიდატების წამოყენების წესი, კენჭის ყრის წესი და სხ.) კი ნათლად არის ჩამოყალიბებული.

ყველა ამ წვრიმალებს დიდი მნიშვნელობა აქვს მასიური მუშაობისათვის და ფართე დემოკრატიის გასატარებლად, ამიტომ ასე დიდი ყურადღება აქვს მას მიქცეული. მენშევიკების პროფესიონალურ მოძრაობისათვის მასიური მუშაობა არ არსებობდა და ამისათვის არავინაც არ ფიქრობდა. გადამწყვეტ როლს მენშევიკების პროფესიონალურ ცხოვრებაში თამაშობდა პროფესიონალურ ორგანოების სათავეში მოქცეული—პროფესიონალური ბიუროკრატია. საკითხებს სწყვეტდა არა კავშირის წევრების მასა, არამედ კავშირებში მოკალათებული „ჩინოვნიკები".

მენშევიკების დროს პროფესიონალური კავშირების ყრილობები და კონფერენციები ძალიან იშვიათი იყო 21 წლამდე. ეხლა კი ყოველ წლიურად თვითეული კავშირი ერთ ყრილობას და რამოდენიმე კონფერენციას იწვევს. ამრიგად პროფესიონალური მოძრაობის ყველა საკითხები წყდება მასების მიერ.

პროფესიონალური კავშირების მუშაობის შინაარსის მხრივაც დიდი განსხვავება არის საბჭოთა და მენშევიკურ პროფესიონალურ მოძრაობაში. ჩვენი გაცილებით უფრო ფართო არის. მასების შეკავშირება, მათი აღზრდა, კავშირის წევრების ინტერესების დაცვა და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მასების კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა მეურნეობის საქმეებში მონაწილეობის მიღება (ეკონომიური მუშაობა) და სხვა, ასეთია ჩვენი კავშირების მუშაობის შინაარსი.

ტომელი.

---

*) ამ ცნობას ვიღებთ თვით მენშევიკების პროფესიონალურ კავშირების ოფიციალურ დოკუმენტებიდან.

ადგილობრივი ბიუჯეტის განტვირთვა*)

ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის განსაზღვრის და მათშორის შემოსავალ-გასავლის (ხარჯების) განაწილების საქმე დღესაც არ დამთავრებულა მიუხედავათ იმისა, რომ ეს საქმე გრძელდება უკვე მეხუთე წელიწადია. თუმცა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო (აღმასკომი) არსებითად განსხვავდება მეფის დროის ან მენშევიკური ადგილობრივი თვითმართველობის (ქალაქის და ერობის) ორგანოებიდან თავისი მუშაობის შინაარსით, მაგრამ მისი უმთავრეს ამოცანებს ახლაც შეადგენს ადგილობრივ კეთილმოწყობა და სოციალ-კულტურული მშენებლობა. დღევანდელი აღმასკომი, სავსებით ანხორციელებს ადგილობრივი ხელისუფლებას, რის გამო მისი ბიუჯეტი დატვირთულია სხვა დასხვა ხარჯებით, რომელნიც არსებითად შეადგენენ საერთო სახელმწიფოებრივ ხარჯებს. მართალია ამ დავალებათა შესასრულებლად ადგილობრივი ორგანო იღებს თავის განკარგულებაში შემოსავლის დამატებით წყაროებს, მაგრამ სრული წონასწორობა მათ შორის მაინც დაცული არ არის. თუ დაუმატებთ ამას იმ გარემოებას, რომ სოციალ-კულტურულ სფეროში ადგილობრივ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება არსებითი მუშაობა, მაშინ ნათელი იქნება თუ რამდენი სახსარია საჭირო ამ უამრავი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არსებითად ყოველივე მოქმედება, მიმართული ამა თუ იმ საზოგადოებრივი ხასიათის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობას. განსხვავება მხოლოდ მასშტაბია. აქ ნსხვავება მხოლოდ მასშტაბშია. აქ არის მხოლოდ მუშაობის განაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა შორის. ამას თვით საქმის ინტერესი მოითხოვს. ერთი მუშაობა მეორეს ავსებს, ან არის მისი აუცილებელი ელემენტი. ამიტომ ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტთა შორის დამოკიდებულება მათ შორის ხარჯების განსაზღვრის სფეროში არ უნდა იწვევდეს მწვავე კამათს და უთანხმოებას იმდენათ, რემდენათ თვით იურიდიული არსება ამ ურთიერთობისა, თეორიულათ მაინც უარყოფს ამ უთანხმოების შესაძლებლობასაც კი და ჩვენი ფინანსიური და სამეურნეო აღმშენებლობის **ორი ხაზის დაპირისპირებას.**

შესაძლებელია დღეს ჩვენ ვილაპარაკოთ ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტთა ანტაგონიზმზე. საბჭოთა კანონმდებლობის ფარგლებში ერთიც და მეორეც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას ურთიერთ შორის მჭიდრო თანამშრომლობით. აქ ჩვენ გვაქვს ერთიანი ფინანსიური სისტემა საბჭოთა კავშირისა. მიუხედავათ ამისა, სამწუხაროდ ხშირად გვაქვს ხოლმე საქმე აშკარა გაუგებრობასთან, ამ პრინციპის აშკარა უარყოფასთან. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის გარემოება, თუ რა დიდ კამათს იწვევს ხოლმე საკითხი სახელმწიფო გადასახადების ანარიცხის რაოდენობის განსაზღვრისა ადგილობრივ საშუალებათა სასარგებლოდ, ან საკითხი სუბვენციის რაოდენობისა, ან და კიდევ საკითხი ამა თუ იმ ხარჯების გადატანისა ადგილობრივ ბიუჯეტიდან სახელმწიფოზე და სხვა.

უკვე კაი ხანია ამ ნიადაგზე არის კამათი. ერთნი ამტკიცებენ, რომ დროა ადგილობრივი ბიუჯეტი დაეყრდნოს საკუთარ სახსრებს და ჩამოაშოროს სახელმწიფოსას ხშირად გაზვიადებული მოთხოვნილებანი; მეორენი ამბობენ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი ზედმეტად დატვირთულია და ამ სიმძიმის შესამსუბუქებლად ნაკლებად დახმარება ეძლევა მას სახელმწიფო საშუალებებიდან.

წარსული წლების საბიუჯეტო მუშაობის პრაქტიკამ აშკარად ჰყო ბევრი რამ ისეთი, რომელიც ამ ორ მხარეთა შორის კამათს აღარ იწვევს.

პირველ ყოვლისა ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ადგილობრივი საშემოსავლო საშუალებანი საგრძნობლად ჩამორჩნენ და ველარ აკმაყოფილებენ ადგილობრივი ქალაქის და სოფლის ფართო მასსების შეუჩერებელ მოთხოვნილებას სოციალ-კულტურულ და აღმშენებლობრივ დარგში. თუ ავიღებთ ერთ მხარეზე მოთხოვნილების და მეორე მხარეეზე საშუალებათა ზრდას და შევადარებთ ჩვენ დავინახავთ, რომ ტემპი მათი ზრდისა სრულიად შეუთანხმებელია. იმ დროს, როდესაც სოციალ-კულტურული მოთხოვნილებანი ფართო მასშტაბით ედებიან მთელი კავშირის მიყრუებულ კუთხეებსაც და გაღვიძებული ხალხი ხარბად ეწაფება „ახალ ნაკადებს" საუკუნოებრივი წყურვილის დასაკმაყოფილებლად, ამ დროს ადგილობრივი საშუალებანი, რომელზედაც თითქმის მთლად დამყარებულია ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობა ამ დარგში, ან წლიდან-წლამდე ერთგვარობას წარმოადგენს, ან უკეთეს შემთხვევაში იზრდებიან მოთხოვნილებასთან შედარებით დიდი ჩამორჩენით.

ეს, ასე ვთქვათ, ფინანსიური „მაკრატელი", რომლის ერთ წვერზე აწერია ადგილობრივი მეურნეობას საჭიროებანი და მეორეზე—რეალური საშუალებანი ადგილობრივი ბიუჯეტისა, საგრძნობლად გაშლილია არა მარტო საქართველოში, არამედ იმისთანა მძლავრ რესპუბლიკებშიაც კი როგორიც არის რუსეთი და უკრაინა.

საერთო დებულებათ უნდა ჩაითვალოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტი მარტო თავისი საშუალებით ხელს ვერ შეუწყობს ადგილების კულტურულ სამეურნეო აღმშენებლობის ზრდას, თუ მას ფართეთ არ დაეხმარა საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტი. ამის უტყუარი მოწმობა მაჩვენებელია ის **აუცილებელი დეფიციტები,** რომლითაც ადგილობრივი ბიუჯეტი წარდგა საკავშირო ხელისუფლების წინაშე. ადგილობრივი მეურნეობის განვითარების საკითხი ამ პირობებში ღებულობს მწვავე ხასიათს. ამ გარემოებას არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ. „ადგილობრივი ფინანსების ახალმა დებულებამ" უნდა გამონახოს ამ ტკივილების მოსაშუშებელი წამალი.

ერთ-ერთ უებარ წამალთაგანი იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის განტვირთვა იმ ხარჯებიდან, რომელიც ამ ბოლო დროს დაედო მის გაუმაგრებელ ზურგს. სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად და ნორმალური პირობის შესაქმნელად. აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ განტვირთვის რაოდენობაზე, თვით განტვირთვა, რომ აუცილებელი შეიქმნა ეს არავისთვის არ შეადგენს. ეხლა სადაო საგანს. ამ საკითხს უნდა მიუდგეთ ორნაირად: 1) საშემოსავლო წყაროების გადიდების და 2) ხარჯების გადატანის მხრივ.

საკავშირო ფინსახკომის ახალი დებულების პროექტი აპირებს შემდეგი ღონისძიებების მიღებას ადგილობრივი ბიუჯეტის განსატვირთავად. სახელმწიფო ბიუჯეტზე გადააქვს: 1) წითელი ჯარის და ფლოტის სადგომების მიმდინარე რემონტის ხარჯები, 2) მათივე საჭიროებისათვის კომუნალური სამსახური (წყალი, განათება და ასენიზაცია) რჩებიან ადგილობრივი საჭიროების ვალდებულებათ, მხოლოდ წესდება პრინციპი ხარჯების ანაზღაურებისა სახელმწიფო საშუალებიდან გამომუშავებული ნორმების მიხედვით, 3) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან (მილიცია, გამსახლები) დაკავშირებული ხარჯები მთლად და 4) სამეურნეო ხარჯები დაკავშირებული საშუალო ტიპის პროფტეხნიკური სასწავლებლებისა, საბპარტსკოლების და შრომის ბირჟის შენახვასთან.

საშემოსავლო წყაროების გადიდების მხრივ ახალ დებულებას მცირეოდენი ცვლილება შეაქვს. სხვათა შორის განსაზღვრულია ზოგიერთი ანარიცხების გადიდება, მაგ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სახელმწიფო არა საგადასახადო შემოსავლიდან და სხვა. ყველა ეს ღონისძიებანი შეიძლება მთლად ვერ დააკმაყოფილებენ ადგილების ნათლად გამორკვეულ მოთხოვნილებებს, მაგრამ ნაწილობრივ ეხლანდელ მდგომარეობას მაინც საგრძნობლად გააუმჯობესებენ.

(მ. გავაშელი.)

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

უკანასკნელი ცნობები

ბრიანის კაბინეტის გადადგომა

პარიზი, 6 მარტი. დღეს, საღამოს 7 საათზე, ბრიანმა გადასცა პრეზიდენტ დუმერგს თხოვნა თავისი კაბინეტის გადადგომის შესახებ. ეს გადადგომა გამოწვეულია დეპუტატთა პალატის მიერ 274 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 231 ხმისა ალებმიცემობაზე გადასახადის უარყოფის გამო.

გადადგომა მიღებულია

პარიზი, 6 მარტი. პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო კაბინეტის გადადგომა.

ბრიანის კაბინეტის გადადგომის გამო

პარიზი, 6 მარტი. ბრიანის კაბინეტის გადადგომამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებზე.

დეპუტატთა პალატის კულუარებში შექმნილ მდგომარეობას განსაკუთრებით სახიფათოდ სთვლიან. ფიქრობენ, რომ ძნელი შეიქნება კრიზისის დაძლევა.

ბევრი დეპუტატები სურვილს გამოსთქვამენ, რომ ბრიანს მიანდონ ახალი კაბინეტის შედგენა.

ბრიანი წავა ჟენევაში

პარიზი, 6 მარტი. უკანასკნელი ცნობებით ბრიანი წავა ჟენევაში.

ინგლის - საფრანგეთის დელეგატები მიდიან ჟენევაში

ლონდონი, 6 მარტი. ჩემბერლენი, ლორდი სესილი და ბრიტანეთის დელეგაციის სხვა წევრები გაემგზავრენ ჟენევაში.

საფრანგეთის დელეგაცია შეუერთდება ინგლისის დელეგაციას პარიზში.

გაერთიანებული ალლუმი

რომი, 6 მარტი. მალტიდან იუწყებიან, რომ ბალტიის წყლებში ხვალ დაიწყება ბრიტანეთის ანტანტისა და ხმელთა შუა ზღვის ფლოტის გაერთიანებული ალლუმი.

ოსმალებს ბაძავენ

რომი, 6 მარტი. ეგვიპტის სტუდენტებმა გადასწყვიტეს ფესკის მაგიერად ევროპიული ქუდი ატარონ.

მშიშარები.

ბერლინი, 5 მარტი. რამდენიმე დღის წინად მიუნხენში შესდგა მუშების მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც მოიწვია რუსეთში მყოფ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ფრეიბერგერმა.

კრებამ, რომელშიაც მონაწილეობდა 3000 მუშა, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ფრეიბერგერის სოციალდემოკრატიულ პარტიიდან გამორიცხვა მშიშარობის აქტია, რომელიც მოხდა რეაქციის გაძლიერების მიზნით.

კრება მოუწოდებს სოციალ-დემოკრატ მუშებს პასუხისგებაში მისცენ თავისი ბელადები.

ხელშეკრულებები

ბერლინი, 6 მარტი. „დეიჩე ალგემეინე“ სწერს, რომ პარიზიდან მიღებულ ცნობებით ამ ჟამად იქ მზადდება ხელშეკრულებები, რომლებიც დააკავშირებენ პარიზს, რომს, ბელგრადს, პრაგას, ბუქარესტს და ვარშავას.

ბრიანის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი, 6 მარტი. პარიზიდან მიღებული ცნობით, შაბათს დილით ბრიანის კაბინეტი გადადგა. გადადგომა გამოწვეული იყო იმით, რომ პარასკევს დეპუტატთა პალატაში საფინანსო საკითხებისათვის კენჭისყრის დროს მთავრობა უმცირესობაში დარჩა.

ამის გამო ბრიანი ჟენევაში აღარ გაემგზავრება.

მენშევიკები ბურჟუაზიის ნასუფრალით იკვებებიან

ბერლინი, 4 მარტი. ამას წინად სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ გამოამჟღავნა, რომ მწარმოებელთა ერთ-ერთი კავშირის მდივანმა მოისყიდა სახოფლო-სამეურნეო მუშათა პროფკავშირის მდივანი, რომელსაც წილი უდევს შავ რეიხსვერის მიერ ჩადენილ ერთ-ერთ მკვლელობაში.

ამის საპასუხოდ სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის თავმჯდომარე თავის მხრივ გამოვიდა სოციალ-დემოკრატების მხილებით. ამ მხილებიდან მტკიცდება, რომ სოციალ-დემოკრატიულ გამომცემლობის მწარმოებელთა კავშირისაგან მიუღია 185.000 მარკა, რომელიც მოხმარდა სოციალისტური მოძღვრების დამამცირებელ იაფ ფასიან წიგნების გამოცემას. ამ წიგნების სათაურები სრულიად წინააღმდეგობდენ მათ შინაარსს.

ამ მილების გამო გამომცემლობის ხელმძღვანელი კარლ ერდმანი იძულებული გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოსულიყო. პარტიიდან გამოსვლის შემდეგ, ერდმანმა განაცხადა, რომ ჰუგო სტინესმა სოციალ - დემოკრატიულ პარტიას 250.000 მარკა მისცა 1920 წ. პარლამენტის საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

მხილება გრძელდება

ბერლინი, 5 მარტი. ნაციონალისტური პრესა კვლავ ააშკარავებს გერმანიის სოციალ-დემოკრატების კავშირს გერმანელ მწარმოებლებთან.

გაზეთი „დერ დეიტშ“ ამტკიცებს, რომ ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა კუტნერმა, სოციალ-დემოკრატიული გამომცემლობის „ფირნ-ფერლანგ“-ის გამგე ერდმანისაგან დიდძალი ფული მიიღო. გამომცემლობამ გერმანელ მწარმოებლებისაგან მიიღო 180.000 მარკა, რომელიც მოხმარდა სოციალისტური მოძღვრების წინააღმდეგ მიმართულ იაფ-ფასიან წიგნების გამოცემას.

როგორც მხილებიდან სჩანს, გერმანელ სოციალ - დემოკრატებს, მწარმოებლებისაგან დიდძალი ქრთამი მიუღიათ ჰონორარის სახით იმ ანტისოციალისტურ წიგნაკების გამოცემისათვის, რომელთაც სოციალისტური წარწერები აქვთ.

სოციალ - დემოკრატების ზედაფენების მხილებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშა სოციალ-დემოკრატებს შორის.

ინგლისში ბრძოლა დაიწყო

ლოკაუტის გამოცხადება

ლონდონი, 6 მარტი. სამანქანო წარმოების მეპატრონეებმა ლოკაუტი გამოუცხადეს ამ წარმოების მუშათა 7 კავშირს, რომელშიც შედის ლონდონში გაფიცული 9000 მუშაც.

ეს განცხადება ძალაში შედის 13 მარტს, თუ მანამდე არ მოხერხდა რაიმე შეთანხმება.

მწარმოებელთა გეგმები

ლონდონი, 6 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით, მანქანების წარმოების მუშათა წრეებში იმ აზრისა არიან, რომ მეპატრონეებს ეშინიათ რაიონების გამოსვლისა ხელფასის მომატებისთვის, მაგრამ ლონდონი მაინც მოძრაობის ცენტრათ მიაჩნიათ.

მეპატრონეებს იმედი აქვთ, რომ ლონდონს გამოაცალკევებენ და მთელ ძალღონეს იხმარენ, რომ ცენტრში დაამარცხონ მოძრაობა. ამავე დროს კი საექსპორტო ცენტრებში არ უნდა შეფერხდეს მუშაობა.

პრესა და შრომის სამინისტრო უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. მათ არ სჯერათ, რომ მხოლოდ ლონდონით განისაზღვრება ბრძოლა და ეშინიათ—სერიოზული ზიანი არ მიადგეს საექსპორტო ვაჭრობას.

უმჯობესია ეხლავე, ვიდრე შემდეგ.

ლონდონი, 6 მარტი. შესდგა 7 კავშირის აღმასკომთა თათბირი. თათბირმა რჩევა მისცა ადგილობრივ გაფიცულებს განაახლონ მუშაობა, რომ თავიდან აიცილონ ლოკაუტი მთელი ინგლისის მასშტაბით.

ამავე დროს შესდგა კავშირების რაიკომების წარმომადგენელთა და რწმუნებულთა კონფერენცია, რომელმაც უარი სთქვა ნება მისცეს მუშაობის განახლებისა. ამ უარს ასაბუთებენ იმით, რომ ხელფასის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს ცალკ-ცალკე რაიონებში.

რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მუშებს ურჩევნიათ ეხლავე მიიღონ მეპატრონეთა გამოწვევა, ვიდრე შემდეგ. აგრეთვე მიღებულია რეზოლიუცია, რომ შვიდი კავშირის აღმასკომებმა სხვა კავშირებთანაც დაიჭირონ ურთიერთობა, რათა საერთო მასშტაბით მოხდეს დაკითხვა საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

განიარაღების კონფერენციის გარშემო

ვენა, 5 მარტი. „ნეიე ფრეიე პრესე“-ს ცნობით, ერთა ლიგის წრეებში ფიქრობენ, რომ რადგან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები განიარაღების კონფერენციას ვერ დაესწრებიან, თუ ის შვეიცარიაში იქნა მოწვეული, საჭიროა კონფერენცია სადმე სხვაგან იქნეს მოწვეული, გარეშე შვეიცარიისა.

ომი მაროკოში

ლონდონი, 6 მარტი. ფეციდან მიღებული ცნობით ესპანელები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ტეტუანის მწვერვალები, საიდანაც რიფები ყუმბარებს უშენენ ქალაქს.

იტალია--საბერძნეთი

რომი, 6 მარტი. რომში ჩავიდა საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრი რუფოსი. გაზეთების ცნობით მის შეხვედრას მუსოლინთან მეტად მეგობრული ხასიათი ჰქონდა. განხილულ იქნა იტალიისა და საბერძნეთისათვის საინტერესო მთავარი საკითხები და აგრეთვე ევროპის საერთო მდგომარეობა.

სხვადასხვა

დუან-ძი-ჩჟუის ბრძანება

პეკინი, 6 მარტი, დუან-ძი-ჩჟუიმ გამოსცა ბრძანება, რათა ფინ-უი-სიანი დანიშნულ იქნას ჩჟილის, ჰან-სის და ხონანის პროვინციების „დამშვიდების რწმუნებულად“; ამ პროვინციებში სახალხო არმიები იბრძვიან ლი-ჩინ-ლინის და უ-პეი-ფუს წინააღმდეგ.

ფიქრობენ, რომ დუან-ძი-ჩჟუ ამ მოულოდნელ ბრძანებით ცდილობს ფინ-იუი-სიანის შერიგებას ახალი კაბინეტის შედგენასთან.

— **„ლოკარნოს სული“.** გერმანიის წრეების აზრით, ბრიანის უკანასკნელი სიტყვა 1870 წ. საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ პირველი ოფიციალური დადასტურებაა იმისა, რომ საფრანგეთი ცდილობს გერმანიასთან შეთანხმებას.

— **რეიხსვერის ბიუჯეტი.** ბერლინიდან მიღებული ცნობით, რეიხსტაგმა მიიღო რეიხსვერის ბიუჯეტი.

— **გადასახადი ყავაზე.** პარიზიდან მიღებული ცნობით, დეპუტატთა პალატამ, მიუხედავათ ფინანსთა მინისტ. მოწოდებისა უარჰყო ყავაზე გადასახადის შემოღება, რომელიც სენატმა აღადგინა საფინანსო კანონპროექტში.

— **ყუმბარების აფეთქება პრაგაში.** პრაგაში გადატანის დროს აფეთქდა 500 ხელით სასროლი ყუმბარა. დაზიანებულია მრავალი შენობა. მოკლულია 9 კაცი, არის დაჭრილებიც.

— **ჰოლანდიის კაბინეტის გადადგომა.** ჰააგიდან მიღებული ცნობით მეფემ მიიღო კაბინეტის გადადგომა. შესდგა ახალი პარლამენტის გარეშე კაბინეტი დეგინის თავმჯდომარეობით.

—**სკანდალური საქმე.** ბერლინის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის იურგენსის დაპატიმრებამ გამოამჟღავნა გერმანიის პოლიტიკის და სასამართლოს სახელის გამტეხი მოქმედება. იურგენსის საქმე კიდევ უფრო სკანდალურია, ვიდრე ბარტელსის საქმე.

გერმანიის კომპარტია და „რეშედასის“ გერმანიის სექცია მოითხოვენ რესპუბლიკის დაცვის კანონის და უწენაეს ტრიბუნალის გაუქმებას. გარდა ამისა მოითხოვენ ყველა იმ პირთა გასამართლებას, რომლებიც გასამართლებული არიან იურგენსის მიერ.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

5 მარტის დილის სხდომა

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 6 მარტი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დილის სხდომაზე 5 მარტს გრძელდება კამათი ლოზოვსკის მოხსენების გარშემო.

ოგნიანოვიჩის სიტყვა

ოგნიანოვიჩმა (სამხრეთ-სლავია) განაცხადა:

„სამხრეთ-სლავიაში მუშათა მოძრაობის მდგომარეობა განისაზღვრება სამი ფაქტორით. პირველია მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის საერთო გაუარესება. მეორე—ორგანიზაციის გარეშე მყოფ მუშათა დიდი რიცხვის არსებობა. მესამე—თეთრი ტერორი, რომელიც გამეფებულია სამხრეთ-სლავიაში.

ამსტერდამის ინტერნაციონალს სურს ისარგებლოს თეთრი ტერორით, რათა განამტკიცოს თავისი ორგანიზაცია ბალკანეთზე, სადაც ის უკანასკნელ დრომდე ძლიერ მოისუსტებდა. ამ მიზნით ის ფიქრობს სრულიად ბალკანეთის ყრილობის მოწვევას სოფიაში, ამ საშინელი თეთრი ტერორის ცენტრში“.

ორატორი თავისი სიტყვის დასასრულს აღნიშნავს, რომ მიუხედავათ ყოველგვარი დაბრკოლებისა კომპარტია მიაღწევს პროფმოძრაობის მთლიანობას.

გეშკეს სიტყვა

შემდეგ გამოვიდა გეშკე (გერმანია), რომელმაც სთქვა:

„გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ პროფკავშირების საკითხში მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვა. ჩვენი პარტიის ძველი ცეკა რუტ ფიშერის ხელმძღვანელობით რეზოლიუციებს ღებულობდა მხოლოდ ქაღალდზე, სინამდვილეში კი აწარმოებდა ორმაგ თამაშს, რომელმაც კიდევ მეტი ზიანი მოგვიტანა, ვინემ ცუმახერის გამთიშავმა პოლიტიკამ, რომელიც დაჰგმო კომინტერნის მე-5-ე კონგრესმა. დიდი შეცდომა იყო პროფკავშირთა მუშაობის განყოფილების გაუქმება ჩვენი პარტიის ცეკასთან. ჩვენმა პარტიამ პროფკავშირებში მნიშვნელოვანი პოზიციები დაჰკარგა რუტ ფიშერის ტაქტიკის წყალობით იმიტომ, რომ ეს ტაქტიკა ხელს უშლიდა მთლიანი ფრონტის განხორციელებას“.

ორატორი სავსებით ეთანხმება ლოზოვსკის და ტომსკის იმაში, რომ პროფმუშაკ კომუნისტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირების და ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკულ წვრილმანებში.

„ლოზოვსკი მართალია, ამბობს გეშკე, როცა აღნიშნავს ჩვენი საკუთარი პროფკავშირთა ორგანიზაციების გაძლიერების აუცილებლობას პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისათვის. მაგრამ ჩვენი ძალა უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს, ჩვენს იდეოლოგიურ საორგანიზაციო გავლენაში რეფორმისტულ კავშირებზე.

კლარა ცეტკინის სიტყვა

კლარა ცეტკინი, რომელსაც პლენუმი მხურვალე ტაშით ხვდება, აღნიშნავს, რომ არც თეზისებში პროფკავშირებში კომუნისტების მუშაობის შესახებ და არც ორატორების სიტყვებში ერთი სიტყვითაც არ ყოფილა მოხსენებული მუშა ქალთა პროფკავშირების ორგანიზაცია. კლარა ცეტკინი ამბობს, რომ ჩვენი ყოველდღიური მუშაობის პროცესში უნდა სწარმოებდეს ენერგიული ბრძოლა ქალთა ორგანიზაციისათვის.

ბრაკოს სიტყვა

იტალიის წარმომადგენელმა ბრაკომ სთქვა:

„უმთავრესი ფაქტი, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იტალიის პროფმოძრაობაში, არის ფაშისტური პროფკავშირების არსებობა. ფაშისტური ორგანიზაციების მიზანია კლასიური თანამშრომლობის უკეთესი მეთოდების შემუშავება. შემდეგ ბრაკო ეკამათება ბორდიგას და აღნიშნავს ფაშისტურ პროფკავშირებში მუშაობის აუცილებლობას.

„ჩვენ უნდა ვეცადოთ, ამბობს ის, რომ დავიპყროთ იქ გაერთიანებული მასები“.

ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა

ლოზოვსკი თავისი საბოლოო სიტყვის დასაწყისში ეხება ბორდიგას პოზიციას საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხში და აღნიშნავს, რომ ჩვენს ბრძოლაში მთლიანობის მისაღწევათ დაცულ უნდა იქნეს ერთგვარი საზღვარი და პარტია არ უნდა მივიყვანოთ პოლიტიკურ თვითმკვლელობამდე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უარის თქმა კომუნისტურ პრინციპებზე. ლოზოვსკი ვრცლად ეხება საფრანგეთის პროფმოძრაობის მდგომარეობას. უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც იქ სდგას ჩვენს წინაშე, არის ორი პარალელური შრომის კონფედერაციის არსებობა, რომელიც დაკავშირებულია საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში ძველ სინდიკალისტურ განწყობილების არსებობასთან. ამ დაბრკოლების დასაძლევათ საჭიროა მთლიანობის კამპანიის გატარება თვით წარმოებებში. ლოზოვსკი გადადის გერმანიის საკითხზე და აღნიშნავს იმ ბრძოლას, რომლის წარმოება მოუხდა კომინტერნს გერმანიის კომპარტიის ულტრა მემარცხენე ნაწილთან პროფკავშირების საკითხში. ამჟამად პარტიის ხაზი პროფკავშირთა საკითხში გამოსწორებულია; გერმანიის კომპარტიის ცეკას თვალსაზრისი ეხლა სავსებით ეთანხმება კომინტერნის თვალსაზრისს. ლოზოვსკი სავსებით ეთანხმება დორსის მიერ მოცემულ ამერიკის პროფესიონალურ მოძრაობის ანალიზს. ჩვენს მუშაობას ამერიკაში ხელს უშლის პროფკავშირთა ძლიერი ბიუროკრატიის არსებობა, რომელიც სარგებლობს ამერიკის მუშათა მოძრაობის ძველი ტრადიციით.

შემდეგ ლოზოვსკი ეხება ჩვენს საპროფკავშირო პოლიტიკას იტალიაში. იქ ჩვენი პარტია წარმოადგენს ერთად-ერთ ორგანიზაციას, რომელიც ნამდვილად იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ.

ლოზოვსკი ეხება კლარა ცეტკინის გამოსვლას და აღნიშნავს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშა ქალების ჩაბმას პროფკავშირებში.

„ყველა რეზოლიუციები—აღნიშნავს ლოზოვსკი—რომელიც ჩვენ მივიღეთ პროფმოძრაობის შესახებ, მეტად კარგია. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მათი ცხოვრებაში გატარება“.

—

5 მარტს, საღამოთი და აგრეთვე 6 და 7 მარტს პლენარული სხდომა არ შესდგება. 8 მარტს საბოლოო სიტყვას წარმოსთქვამს ზინოვიევი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მუშათა საეკონომიო კომისიები

მოსკოვი, 6 მარტი. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა არასაწარმოო ხარჯების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ მიიღო ცნობა რომ მრავალ სამრეწველო წარმოებაში დაარსდა ეკონომიისათვის მებრძოლი მუშათა კომისიები. ხარჯების შემამცირებელი მუშაობა დიდ შედეგს გამოიღებს თუ ის თვით წარმოების მიერ იქნება გატარებული.

წიგნის პროდუქციის შემცირება

მოსკოვი, 6 მარტი. მსხვილმა გამომცემლობებმა შეკრეს კონვენცია წიგნის გამოცემის რეგლამენტის შესახებ. მიმდინარე წელს განზრახულია წიგნის პროდუქციის შემცირება 30—40 პროც. შარშანდელთან შედარებით.

გაზეთების ფორმატის შემცირება

მოსკოვი, 6 მარტი. საგაზეთო მეურნეობის სფეროში ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა მიიღო ღონისძიებანი, რომელნიც დადებითი შედეგს იძლევიან. სწარმოებს ბრძოლა ქაღალდის უთავბოლოთ ხარჯვის წინააღმდეგ ბეჭდვის დროს.

მიღებული ზომების წყალობით შესაძლებელი გახდება ჩვენი გაზეთების უზრუნველყოფა ქაღალდით წლის ბოლომდე ტირაჟის შეუმცირებლად.

შინამრეწველთა განთავისუფლება შემოსავლის გადასახადისაგან

მოსკოვი, 6 მარტი. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტების თანახმად სოფლის შინამრეწველნი და ხელოსანნი, რომელთაც ნახევარი დესეტინა სათესი მიწა აქვთ, განთავისუფლებული არიან შემოსავლის გადასახადისაგან იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მათი შემოსავალი აღემატება არსებულ დასაბეგრავ მინიმუმს.

ინვალიდთა წარმოებების განთავისუფლება სარეწაო გადასახადისაგან

მოსკოვი, 6 მარტი. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კანონ-პროექტი, რომლის თანახმად სარეწაო გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების დამხმარე კომიტეტების დაწესებულებანი, რამდენათაც უკანასკნელნი უშუალოდ ემსახურებიან ზემოჩამოთვლილ პირთა საჭიროებებს.

სასოფ.-სამეურნ. ინვენტარი

მოსკოვი, 6 მარტი. გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილებაც სასოფ.-სამეურნ. იარაღებზე და მანქანებზე. სამანქანო ტრესტებმა თავიანთი წარმოება გააძლიერეს მშვიდობიანობის დროსთან შედარებით 220 პროც. ღირსების მხრივაც უკრაინის ბევრი ქარხანა უფრო უკეთეს ნაწარმოებს იძლევა, ვიდრე საზღვარგარეთის ქარხნები. ამგვარად გლეხობის მოთხოვნილება საკმაოდ იქნება დაკმაყოფილებული.

სასოფ.-სამეურნ. იარაღებით მოვაჭრე ორგანოებს წინადადება ეძლევათ იყოლიონ ხელმძღვანელი ოსტატები, რომლებიც გლეხებს აუხსნიან და ასწავლიან შეძენილ მანქანისა და იარაღის წესიერათ ხმარებას. აგრეთვე უნდა ურიგდებოდეთ პატარა სახელმძღვანელო წიგნაკები. ამგვარათ მანქანების მოხმარება უფრო ნაყოფიერი იქნება და ხანგრძლივიც.

ფაბრიკის გადარჩენა დაღუპვიდან

იაროსლავლი, 6 მარტი. უდიდესი საფეიქრო ფაბრიკა „კრასნი პერეკოპი“ გადურჩა სრულ განადგურებას: ცეცხლის შემკეთებელი გრიგორიევი და ორი იმისი თანაშემწე ძალიან მთვრალები მოვიდნენ სამუშაოზე. ისინი თვალყურს ველარ ადევნებდენ საზომს და ორთქლის ხუთი ქვაბი ისე გახურდა, რომ წუთით წუთზე მოსალოდნელი იყო მთელი ფაბრიკის აფეთქება, სადაც მუშაობს 3.000 მუშა.

ეს უბედურება თავიდან იქნა აცილებული დირექტორის თანაშემწის სმირნოვისა და ინჟ. ვლანიევის წყალობით, რომელთაც დროზედ მოასწრეს და გახსნეს სარქველები.

გამოქვითვა მოსამსახურეთა ხელფასიდან

მოსკოვი, 6 მარტი. საბჭ. სავაჭ. მოსამსახურეთა კავშირის ცეკამ აცნობა ადგილებს, რომ ყოველგვარი გამოქვითვა მოამსახურეთა ხელფასიდან არ უნდა აღემატებოდეს ამ ხელფასის 25 პროცენტს.

შეღავათიანი ტარიფი განათლების მუშაკთათვის

მოსკოვი, 6 მარტი. სატარიფო კომიტეტმა დაადგინა განათლების მუშაკთა 1000 კაცს 75 პროც. შეღავათი მიეცეს მიმდინარე წელს კურორტებზე წასასვლელად და უკან დასაბრუნებლათ.

ტრანსპორტის ახალი ხარჯების დამტკიცება

მოსკოვი, 6 მარტი. გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა 50 მილ. მანეთის ხარჯები ტრანსპორტის ახალი სამუშაოების შესასრულებლათ მიმდინარე წელიწადში, ეს თანხა მოხმარდება ახალ ლიანდაგის გაყვანას, ხიდების გაკეთებას და სხვა.

ლენინგრადის მცხოვრებთა რაოდენობა

ლენინგრადი, 6 მარტი. 1 მარტისთვის ლენინგრადში ითვლებოდა 1.439.000 სული.

ხორბლეულობა გაზაფხულის ნათესებისთვის

მოსკოვი, 6 მარტი. როგორც ადგილებიდან იუწყებიან გაზაფხულის სათესლე კამპანიისთვის „გამზადებულა 4.091.000 ფუთ. ადგილებზე უკვე მივიდა 3 მილ. ფუთი და გადაეცა გლეხებს დასანაწილებლად.

თურქოლოგიური ყრილობა

ახალი ქართული ალფაბეტის გამარჯვება

პროფ. პავლოვიჩის აზრი

ბაქო, 6 მარტი. ახალი თურქული ალფაბეტი დიდის უმრავლესობით იქნა მიღებული ყრილობის მიერ.

პროფ. პავლოვიჩის აზრით ეს გადაწყვეტილება—ანდერძის აგებას ნიშნავს არაბული ალფაბეტისთვის, რომლის დაცვაც აღარავის არ უცხრია ყრილობაზე.

ლათინურმა ალფაბეტმა თითქმის ყველგან გაიმარჯვა, გარდა თათარისტანისა. მაგრამ იგი აქაც ჩქრა იქნება შემოღებული, რადგან ამას აუცილებლად მოითხოვს მშრომელთა მასების ინტერესები.

უსაფუძვლოა ის შიში, თითქოს ლათინური ალფაბეტი შეასუსტებს კავშირს ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის თურქ ერებისა და მეორეს მხრივ ოსმალეთსა, ავღანისტანსა, ეგვიპტესა და სხვათა შორის. პირიქით ეს ხელს შეუწყობს მასებში წერა-კითხვის გავრცელებას და მაშასადამე კულტურული კავშირიც უფრო ძლიერი იქნება ამ ქვეყნებთან, ვიდრე იყო აქამდის.

პროფ. ჩობან-ზადეს აზრი

პროფ. ჩობან-ზადეც დიდათ კმაყოფილია ყრილობის გადაწყვეტილებით. ამ დღიდან თურქი ერები შედიან ევროპიული ერების კულტურულ ოჯახში. კაცობრიობის მთელ ისტორიაში ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა როცა მრავალმილიონიანი ხალხი ერთი გადაწყვეტილებით ერთი ქვეყნიდან—სრულიად ახალ სხვა ქვეყანაში გადადის.

„ეხლა ჩვენ შეგვიძლიან ვაუწყოთ აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, რომ თურქ-თათართა ერებმა შექმნეს ისეთი რევოლიუციური ინტელიგენცია, რომელიც თავისი შემოქმედებით და ახალი საშუალებით უფრო გაარღმავებს კულტურას მშრომელ მასებში“.

პროფ. შჩერბას მოხსენება

5 მარტს, საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. შჩერბას მოხსენება სამშობლო ენის სწავლების ახალ მეთოდების შესახებ. მისი მოხსენება წმინდა მეცნიერულ ხასიათის იყო და სავსებით ემყარებოდა ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდებს.

თურქული ენის შესწავლის მეთოდების შესახებ მოხსენებანი წაიკითხეს ლიმანოვმა და ეფენდი-ზადემ.

საღამოს სხდომა სავსებით მოუნდა დღით მოსმენილი მოხსენებების გარშემო აღძრულ კამათს.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის გამო

მდგომარეობა და პერსპექტივები

(საუბარი ამხ. გ. ყურულაშვილთან)

ხვალ იხსნება სრ. საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილმა განაცხადა შემდეგი.

პროფკავშირთა სრულიად საქართველოს ყრილობამ ჯამი უნდა გაუკეთოს საქართველოს პროფკავშირების მუშაობას უკანასკნელი წლის განმავლობაში. მეოთხე ყრილობიდან მეხუთემდე აღსანიშნავია ის, რომ ჩვენს კავშირებში საგრძნობლად გაიზარდა წევრთა რიცხვი. ასე მაგალითად, თუ მე-4 ყრილობისათვის პროფკავშირებში გაერთიანებული იყო 105 ათასი წევრი, ამჟამად კავშირის წევრ—მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 135 ათასამდე აღწევს.

კავშირის წევრთა რიცხვის ზრდა გამოწვეულია, ერთის მხრივ სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოებით, ხოლო მეორეს მხრივ სოფლად მუშაობის გაძლიერებით და კავშირებში მოჯამაგირეთა საგრძნობი ნაწილის ჩაბმით.

უკანასკნელ წლების განმავლობაში პროფკავშირების მასიური მუშაობა საერთოდ გაცხოველდა, რასაც ხელი შეუწყო მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერი პირობების გაუმჯობესებამ და ამ მოვლენით გამოწვეულმა მასების აქტივობამ.

პროფკავშირების მიერ აღებული იყო გეზი იმ მიმართულებით, რომ საკავშირო მუშაობაში ჩაგვება რაც შეიძლება მეტი მასები. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩატარდა. საანგარიშო ხნის განმავლობაში, საკავშირო აპარატის მასებთან დაახლოების მიზნით, ჩვენ გავაფართოვეთ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების ქსელი. ძირითადი პროფესიონალური ორგანიზაციები ამჟამად დაარსებულია ყველა წამოწყებაში, სადაც კი ირიცხება კავშირის 25 წევრი. ამ ღონისძიების გატარებით ჩვენ ყველა საკავშირო ორგანიზაციებში ჩავაბით პროფკავშირების წევრთა საგრძნობი მასა და გავზარდეთ აქტივის რაოდენობა. პროფაქტივი დღეს კავშირის წევრთა 10 პროც. შეადგენს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საკავშირო მუშაობა დღეს მასიურ მუშაობად არის გადაქცეული.

საკავშირო მასა უახლოეს მონაწილეობას იღებს კავშირის ცხოვრებაში. საკავშირო ძირითად ორგანიზაციების უკანასკნელ არჩევნებში საერთო კრებებზე წევრთა 80% ცხადდებოდა. კრებებზე გაცხოველებული კამათი სწარმოებდა კავშირის ორგანიზაციების მუშაობის შეფასების და სხვა საკითხების გარშემო.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ ცალკე კავშირების რესპუბლიკანური ყრილობები და საერთო საკავშირთაშორისო კონფერენციები მაზრებში.

ყველა ეს ყრილობები და კონფერენციები გაცხოველებული ტემპით მუშაობდენ და დელეგატები არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენდენ ყველა საკითხების გარჩევის დროს.

პროფკავშირთა ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს მუშათა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესება. უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს. გასული წლის იანვრიდან დღემდე ხელფასი საშუალოდ მუშებისათვის 35—40 პროც. გაიზარდა, ხოლო მასწავლებლებისა და მოსამსახურეთათვის 27 პროცენტით.

გაფართოებულ იქნა აგრეთვე სანატორიუმისა და დასასვენებელ სახლების ქსელი. 1924 წელში დასასვენებელ სახლებში სულ 3.900 კავშირის წევრი გაიგზავნა, ხოლო შარშან ჩვენ 5.800 მუშა-მოსამსახურე გავგზავნეთ.

მთავარი საკითხები, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება მომავალში შემდეგია: მასიური მუშაობის გაცხოველება, სოფლად მუშაობის და მაზრებთან კავშირის გაძლიერება, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერება და დაწინაურება, რომელიც ახლო მომავალში, კავშირში ახალ-ახალ ფენების ჩაბმასთან ერთად, უნდა გადაიქცეს კავშირის წევრთა კულტურული და კლასიკუწევრთა კულტურული და კლასიური თვითშეგნების ასამაღლებლათ.

ყრილობამ აუცილებლად უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება უმუშევრობის საკითხის მოწესრიგებას და საბინაო მშენებლობის გაფართოებას.

ყრილობის დღის წესრიგში სდგას მოხსენებები საქართველოს მეურნეობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. ყრილობამ უნდა აღნიშნოს ამ მუშაობის სუსტი მხარეები და დასახოს ის გზა, რომლითაც უნდა იქნეს მომავალში წარმართული, როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის განვითარება.

პროფკავშირების კულტმუშაობის გარშემო

(საუბარი ამხ. ი. ჭელიძესთან)

ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიურმა აღორძინებამ და მოღონიერებამ განაცხადა ამხ. ჭელიძემ (პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ) ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში გამოიწვია პროფკავშირის წევრთა ფართო მასების აქტივობა და გაზრდა მათში კულტურული მოთხოვნილებები.

პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების მუშაობა ამის გამო უკანასკნელი ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაღრმავდა.

საანგარიშო ხნის განმავლობაში დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კულტმუშაობას კავშირებში მასიური ხასიათი მიეცა. აღსანიშნავია ქალების მონაწილეობის გაძლიერება კულტმუშაობაში. უკანასკნელ წლებამდე ქართველ მუშების ერთი ნაწილი მენშევიკური პარტიის გავლენის ქვეშ მოყოლილი, განზე იდგა და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა მუშაობაში. ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში კი, მას შემდეგ რაც, საქართველოს მუშათა კლასმა მიატოვა მენშევიკური პარტიის რიგები, ქართველი მუშების მონაწილეობაც გაცხოველდა საერთო მუშაობაში და ეს კულტმუშაობასაც დაეტყო. ამ გარემოებამ ძალიან შეუწყო ხელი კულტმუშაობის გაცხოველებას ქართულ ენაზე. კულტმუშაობაში მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებიც ჩაებენ.

ჩვენი კულტმუშაობის ძირითად საფუძვლად მუშათა კლუბები ითვლებიან. ამ მხრივ წინად ერთგვარ არანორმალურ მოვლენას ქონდა ადგილი. თვითეული კავშირი და ორგანიზაცია ცდილობდა დაეარსებია თავისი საკუთარი კლუბი მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა შესაფერისი ნივთიერი და სხვა პირობები ამისათვის. ჩვენ გადავსინჯეთ მუშათა კლუბების ქსელი და ბევრი მათგანი გადავაკეთეთ წითელ კუთხეებათ. ამ ჟამად მთელ რესპუბლიკაში 51 კლუბია, მათ შორის 16 თბილისში.

მაზრებში ჩვენ არა ვართ მომხრე იმისა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებს ცალკე კლუბები ქონდეს. ჩვენ მოვითხოვთ გაერთიანებულ კლუბების დაარსებას, რომელშიაც თავმოყრილი იქნება ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების კულტმუშაობა.

საკლუბო მუშაობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს გეგმიან მუშაობაზე გადასვლა და ფონდების ხარჯვის მოწესრიგება. ყველა კლუბებში გატარებულია თავისუფალი წევრობა.

კულტურული მუშაობა სოფლად, მცირე გამონაკლისის გარდა, სუსტია. მიზეზი კულტურულ ძალების და ნივთიერი სახსარის ნაკლებობა არის. გარდა ამისა, ამ მუშაობას კავშირის წევრთა მასის დაქსაქსულობაც უშლის ხელს. სოფლის ინტელიგენციაც (მასწავლებლობა, აგრონომები და ექიმები) წინად სუსტ მონაწილეობას იღებდა ამ მუშაობაში, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მათ მეტი აქტივობა ემჩნევათ.

წერა-კითხვის უცოდინარობის აღკვეთის დარგში, პროფკავშირებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს. მთელ რესპუბლიკაში ამ ჟამად კავშირის წევრთა 3,2 პროც. წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი, ხოლო 7,3 პროც. მცირე მცოდნე არის. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნეები აღრიცხვაზე აყვანილნი და გაგზავნილნი არიან სკოლებში, რომელსაც ისინი მაისში დაამთავრებენ. ბიბლიოთეკების შევსება წიგნებით, საანგარიშო ხნის განმავლობაში, სისტემატიურად სწარმოებდა. ნაკლი ის იყო, რომ წიგნების შერჩევა ვერ ხდებოდა მიზანშეწონილად; ასე მაგ. ისეთ ადგილებში სადაც ქართველ მუშათა რიცხვი 90 პროც. უდრის—რუსული წიგნები იგზავნებოდა; ვერ ხდებოდა აგრეთვე სავსებით დამაკმაყოფილებლად წიგნების შერჩევა შინაარსის მხრივაც.

ყრილობამ კულტმუშაობის დარგში ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგს: ზოგიერთ საკავშირო ორგანოებში, განსაკუთრებით ადგილებზე დღესაც იხარჯება კულტფონდები სხვადასხვა საქმეებზე.

ყრილობამ გარკვეული დირექტივა უნდა მისცეს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რომ კულტფონდი მხოლოდ კულტურულ საჭიროებაზე იხარჯებოდეს. გარდა ამისა, კულტმუშაობის პასუხისმგებლობა დღეს ამ საქმისათვის საგანგებოდ გამოყოფილთ აქვთ დაკისრებული. ყრილობამ უნდა დაადგინოს, რომ კულტმუშაობისათვის პასუხისმგებელი, საგანგებოდ გამოყოფილ პირებთან ერთად, მთელი ორგანიზაცია არის.

ორშაბათს, ა/წ. 8 მარტს საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო საოპერო თეატრში გაიხსნება
პროფკავშირთა სრულიად საქართვ. მე-5-ე
ყრილობა

დელეგატებს მანდატი მიეცემათ ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებაში (შრომის სასახლე ოთახი № 8) კვირას, 7 მარტს დილის 10 საათიდან—3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—8 საათამდე; ხოლო ორშაბათს, 8 მარტს, დილის 10 საათიდან—4 საათამდე

საოპერო თეატრში შესვლა შეიძლება დელეგატების მანდატებით, მოსაპატიჟებელი ბარათებით და ფაბქარხკომების წევრთა მანდატებით.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი

ორშაბათს, ა/წ. 8 მარტ, დღის პირველ საათზე
საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში
შესდგება
პროფკავშირთა სრ. საქართ. მეხუთე ყრილობა
კომფრაქციის სხდომა
კომპარტიის წევრ ყრილობის დელეგატთა დასწრება სავალდებულოა
საქ. პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციის ბიურო

ყრილობის წინ

საქართველოს პროფკავშირთა საიუბილეო მე-5 ყრილობაზე, რომელიც 8 მარტს გაიხსნება თბილისში, მოელიან 450-დე დელეგატს. გასულ წელთან შედარებით, წარმომადგენლობის ნორმა ყრილობაზე რამოდენიმედ შეცვლილია: შარშან პროფკავშირების 500 წევრზე მოდიოდა ერთი დელეგატი, წელს კი ერთი დელეგატი მოდის 350 წევრზე. დელეგატები მოთავსებული იქნებიან ნაწილობრივ შრომის სასახლის საერთო საცხოვრებელში, ნაწილობრივ—„სასახლის სასტუმროს“ ოთახებში, რომელიც უკვე დაკავებული აქვს პროფსაბჭოს.

გუშინ უკვე ჩამოვიდა დელეგატების ნაწილი. საქართველოს პროფსაბჭოს ორგგანყოფილებაში უკვე სწარმოებს ყრილობის დელეგატების აღრიცხვა და მანდატების გაცემა. გამოყოფილია დროებ. სამანდ. კომ., რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: [illegible] და [illegible].

ყრილობა დაახლოვებით 6 დღე გაგრძელდება. მოელიან სტუმრებს აზერბეიჯანიდან და აგრეთვე სომხეთიდანაც.

საქართველოს პროფსაბჭომ ყრილობისათვის გამოუშვა ანგარიში თავისი განვლილი მუშაობის შესახებ, ანგარიში გამოცემულია ქართულად და რუსულად. გარდა ამისა, გამოცემულია სპეციალური სტატისტიკური ბიულეტენი.

საზეიმო სხდომა შესდგება სახელმწიფო ოპერის შენობაში. უკვე დაგზავნილია 1000 მოსაპატიჟებელი ბარათი.

ყველა მოხსენებები და სიტყვები ყრილობაზე სტენოგრაფიულად იქნება ჩაწერილი და გამოიცემა ყრილობის დამთავრების შემდეგ.

ყრილობას დაესწრება საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩანსკი.

შრომის ხელფასი მენშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს

რა სიმაღლეზე სდგას შრომის ხელფასი საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის თავზე და რა სიმაღლეზე იდგა ის 21 წელში და მენშევიკების ბატონობის დროს? ციფრებით მტკიცდება იმისა, რომ ამ ორ პერიოდს შორის დიდი განსხვავებაა, თითქმის ზედმეტიც არის. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი არის ის, რომ ყველა მუშა-მოსამსახურე გრძნობს და ხედავს პრაქტიკულად ფრიად დიდ განსხვავებას. ვერ ნახავთ ისეთებს, რომ საწინააღმდეგოს მტკიცება დაიწყოს. ეს დებულება ნათელია, როგორც მზიანი დღე.

მოვიყვანოთ მაინც, თუ რაში გამოიხატა ციფრებით ხელფასის ეს ზრდა, როგორც ცალ-ცალკე საწარმოო დარგებში, ისე საერთოდ.

ყველა სამრეწველო დარგებს თუ ავიღებთ, ეხლა მუშის საშუალო თვიური ხელფასი ჩერვონულ მანეთებში 57 მანეთს უდრის, 24 წელში კი (ივნისში) 36 მანეთს უდრიდა, ამრიგად, მარტო ორი წლის განმავლობაში მუშის საშუალო თვიური ხელფასი (ჩერვ. მანეთებში) 21 მანეთით, ან, პროცენტებით თუ ვიანგარიშებთ, 58%-ით გაზრდილა.

ავიღოთ ჩერვონულ მანეთების მაგივრად საბიუჯეტო (რეალური ომის წინადროინდელი მნიშვნელობით) მანეთები და ვნახოთ, გაიზარდა თუ არა ხელფასი მის რეალურ გამოხატულებაში. საქართველოს ყველა სამრეწველო დარგებში ეხლა მუშის საშუალო თვიური ხელფასი, საბიუჯეტო მანეთებში გამოხატული, უდრის 25 მან. 35 კაპ. (ჩერვონულ მანეთებში 57 მან.), 24 წლის ივნისში უდრიდა 17 მან. 47 კაპ. (ჩერვ. მან. 36 მან.), 23 წელში კი უდრიდა 15 მანეთს, 22 წელში—12 მანეთს და ოცდა ერთ წელში კი 8 მანეთს.

აქედან ნათლად სჩანს, რომ შრომის ხელფასის რეალური რაოდენობა (ძველ მანეთებში) ამ ჟამად სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე იყო 21 წელში, ორჯერ უფრო მეტია ვიდრე იყო 22 წელში და ერთნახევარჯერ უფრო მეტია, ვიდრე 23 წელში.

თუ 21 წლის ხელფასს (შვიდ მანეთს) 100 პროცენტათ მივიღებთ, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება:

წლები	მუშის წლ. ხელფ. ძველ (რეალური) მ.	მომატება პროც.
1921	8 მან.	100%
1922	12 „	150%
1923	15 „	187%
1924	17 „ 47 კ.	225%
1925	25 „ 35 „	312%

ამრიგად, რეალური ხელფასი ამ ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა 312%-ით. ეს ფრიად შესამჩნევ ზრდათ უნდა ჩაითვალოს. ეს იმის საწინდარია, რომ შემდეგშიც ჩვენი ხელფასი სულ მაღლა და მაღლა წავა.

ავიღოთ ეხლა და შევადაროთ ეხლანდელი ხელფასი მენშევიკების დროინდელ ხელფასს. ბევრი მტკიცება არ დაგვჭირდება იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსხვავებაა ამ მხრივ. პრაქტიკულად ეს განსხვავება თვითეულ მუშა-მოსამსახურეს გაზომილი აქვს. ნახევარი გირვანქა ქადი, ან ტალახზე უფრო გლახა პური, აი საუკეთესო საზომი მენშევიკების შრომის ხელფასის რეალური გამოხატულების.

თვით მენშევიკების შრომის მინისტრის მოქ. ერაძის მოხსენებიდან, რომელიც მან პროფესიონალურ კავშირების ყრილობაზე წაიკითხა 1919 წელში, სჩანს, რომ მუშის მაშინდელი დღიური ხელფასით შეიძლებოდა 10 გირვანქა შავი პურის ყიდვა (მარტო პური რომ ეყიდა მუშას), ან 1½ გირვანქა შაქრის ყიდვა.

ეხლანდელი დღიური ხელფასით კი მუშას შეუძლია იყიდოს 50 გირვანქა პური (შავი), ან ცხრა გირვანქა შაქარი. ეს იმას ნიშნავს, რომ **ეხლანდელი ხელფასი ხუთჯერ მეტია, ვიდრე იყო მენშევიკების დროს, ან სხვანაირათ რომ ვსთქვათ, 1919 წელთან შედარებით საქართველოში ხელფასი გაზრდილა 500 პროცენტით.** თუ ავიღებთ 1920 წ., მაშინ ეხლანდელი ხელფასი იქნება ექვსჯერ და შვიდჯერ მეტი, ვინაიდან 20 წელში ხელფასი უფრო შემცირდა, ვიდრე იყო 1919 წელში.

აღსანიშნავია ის, რომ მენშევიკების დროს ხელფასის რეალური მნიშვნელობა ძირს მიდიოდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს რეალური ხელფასი თანდათან მაღლა მიდის.

თუ შევადარებთ ომის წინადროინდელ და ეხლანდელ ხელფასს, შემდეგ სურათს მივიღებთ: მთელ რიგ წარმოებებში შრომის ხელფასის სიდიდე იგივეა, როგორც ომამდე იყო; ზოგიერთებში კი უფრო მეტიც არის. საშუალოდ კი ეხლანდელი მუშის ხელფასი საქართველოში, მის რეალურ გამოხატულებაში, თითქმის გაუსწორდა 1913 წელში არსებულ ხელფასს. საქართველოს ყველა სამრეწველო დარგებში ომამდე მუშის საშუალო თვიური ხელფასი ძველ მანეთებში 25 მან. 28 კაპ. უდრიდა, ეხლა კი საშუალო ხელფასი ძველ მანეთებში გადატანილი, უდრის 25 მან. 35 კ., რაც ომამდე არსებულ ხელფასის 100 პროცენტს შეადგენს.

ავიღოთ ეხლა ცალ-ცალკე საწარმოო დარგები. გემო-კვების მრეწველობაში რეალური ხელფასი მეტია 34%-ით, ვიდრე იყო ომამდე; ომამდე იყო 20 მან. 75 კაპ., ეხლა კი—27 მან. 85 კაპ. (ძველ მანეთების ანგარიშით).

ტყავის მრეწველობაში ეხლანდელი ხელფასი 18 პროცენტით მეტია, ვიდრე იყო ომამდე: ომამდე იყო 33 მან. 08 კაპ., ეხლა კი—39 მან. 07 კ. (ძველ მანეთებში).

პოლიგრაფიულ წარმოებაში 1913 წ. იყო 22 მ. 50 კაპ., ახლა კი—28 მან. 31 კ. (ძველ მანეთებში), მაშასადამე, ეხლა 26 პროცენტით მეტია, ვიდრე 1913 წ. იყო.

ელექტრო-სადგურებში 1913 წ. იყო 44 მან. 60 კ. ახლა—43 მ. 33 კაპ. (ძველ მანეთებში), ეხლანდელი ხელფასი ყოფილა სამი პროც. ნაკლები, ვიდრე იყო ომამდე.

მადნეულობის ამოღება-დამუშავების დარგში ომამდე 22 მ. 75 კაპ. იყო, ეხლა 20 მ. 29 კ., ახლანდელი ხელფასი არის ძველ ხელფასზე ნაკლები მხოლოდ თერთმეტი პროცენტით.

ლითონის წარმოებაში 1913 წ. მუშის თვიური ხელფასი 22 მ. 75 კაპ. იყო, ეხლა 20 მ. 29 კაპ. (ძველ მანეთებში), ეხლანდელი ხელფასი 13 პროცენტით უფრო ნაკლები ყოფილა, ვიდრე იყო ომამდე.

ზევით მოყვანილი ცნობები გვაჩვენებენ, თუ რა დიდი მიღწევები გვაქვს შრომის ხელფასის მხრივ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავზე. ჩვენ თითქმის ყველა საწარმოო დარგებში მივაღწიეთ ომამდე არსებულ ხელფასს. მაგრამ ხელფასის რაოდენობა, ცხადია, ამაზე არ შეჩერდება. ის უფრო მაღლა წავა და უკან მოიტოვებს ომის წინადროინდელ ხელფასს. ამის მაჩვენებელია ის, რომ ჩვენ ზოგიერთ საწარმოო დარგებში უფრო მეტი ხელფასი გვაქვს, ვიდრე უწინ იყო.

ხელფასის მოწესრიგების მეთოდების მხრივაც ჩვენ ძალიან დიდი მიღწევები გვაქვს. ხელფასი, უმეტეს წილათ, კოლექტიური ხელშეკრულებით წესრიგდება. მუშა-მოსამსახურეთა 76 პროცენტის ხელფასი კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე წესრიგდება. 26 წლის 1-ლ იანვარს კოლექტიური ხელშეკრულება გავრცელებული იყო 88.401 მუშა-მოსამსახურეზე, რაც საქართველოში დაქირავებულ პირთა 75,9 პროც. შეადგენს.

ხელშეკრულების დადება კაბინეტებში კი არ სწარმოებს, არამედ წინასწარ მათი განხილვა და გამომუშავება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ხდება. ხელშეკრულების პირობებს იმუშავებს და ადგენს მასა და არა პროფესიონალური ორგანო. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს კიდევ ზედმეტად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი პროფესიონალური მოძრაობა მასიურია.

მენშევიკების დროს საქართველოში შრომის ხელფასი წესრიგდებოდა ე. წ. სატარიფო პალატის მიერ, რომლის ნახევარი ნაწილი კერძო წარმოებათა მეპატრონეებისაგან შესდგებოდა. კოლექტიურ ხელშეკრულებას მენშევიკების დროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან მის პირობებს სატარიფო პალატა აუქმებდა.

შრომის ნაყოფიერება ამ 5 წლის განმავლობაში სულ მაღლა-მაღლა მიდიოდა. შრომის ნაყოფიერების და შრომის ხელფასის ზრდა თანაბრად მიმდინარეობდა. აქ მოვიყვანთ შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელ ცნობებს მხოლოდ რამოდენიმე საწარმოო დარგიდან.

თამბაქოს მრეწველობაში 1923 წ. გამომუშავება ერთ მუშაზე დღეში ძველ მანეთებში 9 მ. 20 კ. უდრიდა, 24 წელში—9 მ. 40 კ. და 25 წელში—14 მანეთს.

ტყავის დამუშავების მრეწველობაში ერთი მუშის დღიური პროდუქცია ფასობდა 23 წელში 6 მ. 50 კ., 24 წელში—7 მ. 20 კ. და 25 წელში კი ავიდა 9 მ. 30 კ.-ამდე.

პოლიგრაფიულ წარმოებაში მუშის დღიური პროდუქცია 23 წელში 1 მ. 50 კ. უდრიდა, 24 წელში—1 მ. 80 კაპ. და 25 წელში კი—2 მ. 50 კაპ.

ქვანახშირის ამოღების მრეწველობაში დღიური გამომუშავება ერთ მუშაზე 23 წელში 1 მანეთს იძლეოდა, 24 წელში—1 მ. 80 კ. და 25 წელში კი ის 2 მან. 30 კ. ავიდა.

ქსოვილების წარმოებაში 23 წელში მუშის დღიური ნამუშევარი 3 მან. 70 კ. იძლეოდა, 24 წელში—5 მანეთს და 25 წელში—7 მ. 30 კ.

ყველა საწარმოო დარგებში შრომის ნაყოფიერების ზრდა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ფრიად საგრძნობელია. თუ ავიღებთ 21 წელს და მას შევადარებთ ახლანდელ შრომის ნაყოფიერებას, მივიღებთ დიდ განსხვავებას. მენშევიკების დროს შრომის ნაყოფიერება ძალიან დაბლა იდგა, სამჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე ახლა არის.

ამრიგად, ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ რა დიდი მიღწევები აქვთ პროფესიონალურ კავშირებს ხუთი წლის მუშაობის შემდეგ და რამდენათ გაიზარდა მუშების მატერიალური კეთილდღეობა.

ს. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალებისადმი

ყოველ წლობით, ამ შესანიშნავ დღეს მშრომელ ქალთა მილიონები გაერთიანებული არიან საერთო ზეიმით, საერთო სიხარულით: ისინი უჩვენებენ ქვეყანას თავიანთ ძალებს, რომელიც მიმართულია ბრძოლისაკენ პროლეტარიატთან ერთად, ისინი უკეთებენ ჯამს ბრძოლას განთავისუფლებისათვის.

ქალთა ამ საერთაშორისო დღეს თქვენ, ამიერ-კავკასიის მშრომელო ქალებო, ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი მხურვალე სალამით მოგმართავთ და მოგიწოდებთ შეამჭიდროვოთ რიგები საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, ამ ერთადერთ ხელისუფლების გარშემო მსოფლიოში, რომელმაც გაანთავისუფლა ქალი და აღჭურვა იგი თანასწორი უფლებით ცხოვრების მშენებლობის საქმეში. განვლილმა წლებმა თქვენ მოგცათ პოლიტიკური და სოციალური განთავისუფლება და ამასთან ერთად ფართო შესაძლებლობა გადაგიშალათ, რომ თავიდან მოგეცილებიათ გაუნათლებლობის ჯაჭვები, რომლითაც შებოჭილი იყავით სიბნელითა და ცრუ-მორწმუნეობით ალსავსე მრავალ საუკუნის განმავლობაში. საბჭოებში მუშაობის დროს თქვენ გაიგეთ, რომ მშრომელთა ხელისუფლებამ, რომელმაც საშუალება მოგცათ გემუშავათ კანონმდებლობის და მართვა-გამგეობის ყველა ორგანოებში, ამასთან ერთად დაგაკისრათ ახალი ცხოვრების მშენებლობის ვალდებულება. საბავშვო სახლების, ბაღების, ბაგების, საბავშვო ოთახების გახსნით საბჭოთა სახელმწიფომ ფართო გზა გაგიხსნათ საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, და იგი თქვენგან მოელის თავდადებულ და შეგნებულ მუშაობას ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად. უამრავი მუშაობა თქვენი ძალების გამოყენებას და მშრომელთა საერთო საქმეში მუშა და გლეხ-ქალთა ახალ-ახალ ფენების ჩაბმას მოითხოვს. ამიერ-კავკასიის დირაზმულმა მშრომელმა ქალებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ქალის განთავისუფლების საქმე არის უწინარეს ყოვლისა მათი საკუთარი საქმე, მათ აგრეთვე უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მუშაობას თვალ-ყურს ადევნებენ ჩაგრულ აღმოსავლეთის მონობისა და დამცირებაში მყოფი მრავალი მილიონი ქალი. წითელი ამიერ-კავკასიის იმ მშრომელ-ქალთა მაგალითი, რომელნიც ორი მსოფლიოს საზღვარზე, პროლეტარიატთან ერთად ახალ კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ, წარმოადგენს გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს თქვენი აღმოსავლეთელი დებისათვის, რომელთაც გამოიღვიძეს და სცდილობენ თავიდან მოიშორონ ცრუ-მორწმუნეობის და სოციალურ ჩაგვრის ბორკილები.

აფხაზეთის, აჭარისტანის, აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, მთიან ყარაბახის, ნახ— რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის მუშა და გლეხის ქალებო! მტკიცეთ გასწით სინათლისაკენ!

მტკიცეთ იბრძოლეთ ახალ სოციალისტურ წესწყობილების დამყარებისათვის!

ყველა ქვეყნების მუშა და გლეხ-ქალთა მებრძოლ ძალების დათვალიერების დღეს — შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები საბჭოთა წითელ დროშის ქვეშ და გახსოვდეთ, რომ თქვენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელ ქალებთან ხელი-ხელჩაკიდებულებმა, უნდა განამტკიცოთ ახალი ყოფა-ცხოვრება, იმუშავოთ საბჭოებში, მოაწყოთ დედობისა და ბავშვობის დაცვა, ხელი შეუწყოთ საბჭოთა კულტურის შეჭრას ჩვენი ქვეყნის ყველა მივარდნილ კუნჭულში.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ქალებს, განთავისუფლების გზაზე მდგომ აღმოსავლეთის ქალების ავანგარდს!

გაუმარჯოს ქალთა განთავისუფლების საერთაშორისო დღესასწაულს!

გაუმარჯოს მსოფლიოს რევოლიუციას!

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე — მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი — ა. შავერდოვი.

1926 წ. 6 მარტი.
თბილისი—სასახლე.

წასთან გასწორებული მუშათა და გლეხთა მასები იწყებენ ბრძოლას თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ასეთ დროს ხვდებიან ქალთა საერთაშორისო დღეს დასავლეთის მუშა-ქალები.

ქალთა საერთაშორისო დღეს მშრომელ ქალთა მილიონები წამოაყენებენ არა მარტო თავის საარსებო მოთხოვნილებებს, არამედ დაანახვებენ ყველას, რომ ისინი მზად არიან იბრძოლონ ბოლომდის ამ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად, ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად, პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად, კომუნიზმის დასამყარებლად.

ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ქალები სიყვარულით უცქერიან იმ მუშა და გლეხ-ქალებს, რომელთაც უკვე განვლეს მძიმე გზის ნაწილი.

უდიდესი ყურადღებით და მხურვალე თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ქალები საბჭოთა კავშირის მშრომელთა ენერგიულ ბრძოლას ყოველგვარ დაბრკოლებების წინააღმდეგ, რომელიც ეღობება გზაში სოციალისტურ აღმშენებლობას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენ სრულ გამარჯვებას მოვიპოვებთ. მათ იციან, რომ ჩვენი გამარჯვება—ეს არის მათი გამარჯვება, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება, ყველა იმ ქვეყნების გაყვლეფილ და დამონებულ კლასების გამარჯვება, რომლებშიაც ჯერ კიდევ გამეფებულია ბურჟუაზიის უსაზღვრო ბატონობა.

და აი ამიტომ მათი ლოზუნგი იქნება აგრეთვე:

„ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან!"

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა მთლიან ფრონტს კაპიტალისტების და ექსპლოატატორების წინააღმდეგ! გაუმარჯოს კომინტერნს, რომელსაც მთელი ქვეყნის მუშები და მუშა-ქალები მიჰყავს მსოფლიო რევოლიუციისაკენ!

კლარა ცეტკინ.

მშრომელ ქალთა დღე

ყოველ წელს საერთაშორისო პროლეტარიატი თავისებურად „დღესასწაულობს" 8 მარტს, თავის ინტერნაციონალურ სოლიდარობის გამოაშკარავების დღეს კაცობრიობის ჩამორჩენილი უდიდესი ნახევარის—ქალების ბრძოლაში ჩასაბმელად.

ეს დღე თავისი მნიშვნელობით ამჟამად თითქმის უდრის **პირველ მაისის** დღეს, რომელსაც ყოველ წელს ყველა ქვეყნების პროლეტარები „დღესასწაულობენ" ყველა თავისი ძალების დასარაზმავად **ერთიანი კლასიური ფრონტის** შესაქმნელად დახავსებულ და საზიზღარ კაპიტალიზმის და მტაცებლურ — მხეცური იმპერიალიზმის წინააღმდეგ...

როგორც საერთო პროლეტარული **დღის—პირველი მაისის,** ისე სპეციალურად ქალთა საორგანიზაციო ბრძოლის **დღის — რვა მარტის**— მიზანია დააჩქაროს და დაახლოვოს საერთაშორისო პროლეტარიატის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშრომელ გლეხობასთან ერთად, ბრძოლა დრომოჭმულ კაპიტალიზმის, მის ცინიკურ და თავხედურ-ექსპლოატატორულ ფორმის, დღემდის მებრძოლ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის მოწინავე საერთაშორისო პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდება სწორედ იმავე დროს, როდესაც იმავე იმპერიალიზმისაგან ჩაგრული აღმოსავლეთის, — აზიის, აფრიკის და ავსტრალიის მრავალრიცხოვანი ხალხები გაერთიანდებიან ბრძანებელთათ" უნდა გახდეს.
მელთა თავისუფლების მოსაპოვებლად, იმ თავისუფალ ბრძოლის დასამყარებლად, რომელიც „**მსოფლიოს ბრძოლით**" უნდა გახდეს.

ეს არის ძლევა-მოსილი სოციალისტური პროლეტარული რევოლიუცია, რომლის ლოზუნგი წამოყენებულია ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტის" ავტორების მიერ მის შექმნის დღეებში და პირველ „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ე. ი. ინტერნაციონალის" მოწყობის დღეებში.

მარქსის და ენგელსის საქმის გამგრძელებელმა, პროლეტარულ რევოლიუციის უდიდესმა ბელადმა — ლენინმა, ცარიზმთან იატაკ ქვეშ და იატაკ ზემოთ წარმოებულ 30 წლის ბრძოლაში გამობრძმედილ საკავშირო კომპარტიასთან ერთად, 1917 წლის **დიდი ოქტომბრის დღეებში;** განახორციელა ძლევა-მოსილ პროლეტარულ რევოლიუციის ლოზუნგი; **პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა, საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც დედა-მიწის ერთ მეექვსედზე, — მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე ნიადაგს უმზადებს სოციალიზმს, პროლეტარიატის დიქტატურის და კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ,** და რომელიც დღეს ცნობილია, როგორც **სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.**

რა თქმა უნდა, დიდი ოქტომბერი არ მომხდარ ქალთა, — მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მონაწილეობის გარეშე. მაგრამ საბჭოთა კავშირის შექმნაში მათ იმდენი მონაწილეობა არ მიუღიათ, როგორც მამაკაცებს, —მუშებს და გლეხებს.

ეს გასაგებიც არის. მთელი თავის განვითარების ისტორიის მანძილზე კაცობრიობას განვით[illegible] უძველეს დროიდან, პატრიარქატის პერიოდიდან, მოსრაობის ყველა საფეხურებზე, ქალი იმყოფებოდა წოდებრივ — კლასიური მონობაში მშრომელი ქალები და მცირე-წლოვანი ბავშვები განიცდიდენ აშკარა საზიზღარ კლასიურ ექსპლოატაციას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თანამედროვე კაპიტალისტურ იმპერიალიზმის ხანამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალი განიცდის საზიზღარ მონობის სიმძიმეს. მიუხედავათ იმისა, რომ ფილოსოფოსები და იურისტები ან ისეთი პოლიტიკოსები, როგორც პუანკარე და ჩემბერლენია, სცდილობდენ ასეთი ბარბაროსობა გაესაღებიათ ან ცივილიზაციათ.

დედამიწის ერთ მეექვსედზე— საბჭოთა კავშირში მშრომელთა სხვა ფენებთან ერთად განთავისუფლებული მშრომელი ქალი, მუშა ქალი და გლეხი-ქალი გამოფხიზლდენ და რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, ქართველი და თათრის ქალიც კი, რომელმაც მიატოვა ჩადრი და ჰარამხანა, მასიურად ადგინენ რიგებს და ეშალონებს და დგებიან მებრძოლითა და ახალი მსოფლიოს მშენებელთა პირ[illegible] რიგებში მამაკაცებთან ერთად...

ჩემი მხურვალე სალამი მუშა და გლეხ-ქალთა ავანგარდს, ამ 1926 წ. 8 მარტს მე უსურვებ მას, **თავისი მუშაობით, მუშა და გლეხ-ქალთა მასების მობილიზაციით** გამოააშკარავონ ჩვენი დიდი კავშირის ძლიერება, საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება და ამით საერთაშორისო პროლეტარიატთან, ყველა ქვეყნების მოწინავე მუშა და გლეხ-ქალებთან ერთად **დააჩქარონ ძლევა-მოსილი მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია კომინტერნის ხელმძღვანელობით და ლენინიზმ - მარქსიზმის მოძღვრების საფუძველზე.**

გაუმარჯოს აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა მუშა და გლეხ ქალებს!

გაუმარჯოს მთელი საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ-ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მუშა და გლეხ-ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს საერთო რვა მარტის დღესასწაულს!

გაუმარჯოს იმპერიალიზმის კლანჭებისაგან განთავისუფლებულ აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა რევოლიუციას!

გაუმარჯოს მასთან კონტაქტის საფუძველზე მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს კომინტერნს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა განმანთავისუფლებელს!

გაუმარჯოს ლენინიზმს—კომუნიზმს—მარქსიზმს!

მიხა ცხაკაია.

ბაქო, სადგური, 1926 წ. 11 თებერვალი.

1926 წლის 8 მარტი

8 მარტი—ეს ის დღეა, როცა მთელი ქვეყნის მშრომელ ქალთა ფართო მასები კიდევ უფრო მტკიცედ ამჭიდროვებენ თავის რიგებს კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ირგვლივ.

ამ დღეს მუშა ქალის ხმა იქნება უფრო ძლიერი და მედგარი, ვინემ ოდესმე. ამ დღეს მუშა და გლეხ-ქალებმა უნდა დაანახვონ მთელს ქვეყანას თავისი ნებისყოფა და ბოლომდე უნდა მიიყვანონ ბრძოლა სოციალიზმისათვის.

ყველა ქვეყნებში, სადაც გამეფებულია ბურჟუაზია, შეძლებული კლასები ყვლეფენ და სისხლს სწოვენ მშრომელ ქალებს. შეერთებულ შტატებში, სადაც ტრესტები და ფინანსისტი კაპიტალისტები ოქროში [illegible], 8 საათის სამუშაო დღეც კი არ არის უზრუნველყოფილი მუშა-ქალისათვის, ხოლო სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მშრომელ ქალთა სამუშაო დღე კიდევ უფრო გრძელია.

ინგლისში ქალები პოლიტიკური უფლებით სარგებლობენ მხოლოდ 30 წლის შემდეგ. ახალგაზრდა მუშა-ქალები, მუშების ცოლები და გლეხ-ქალები კი არავითარი უფლებებით არ სარგებლობენ. იგივეა იტალიაში, ისპანიაში, საფრანგეთში და ბელგიაში.

ქალების, ქალიშვილების და თითქმის ბავშვების სამუშაო ძალის განსაკუთრებული ბარბაროსული ექსპლოატაცია სწარმოებს აღმოსავლეთის ქვეყნებში—იქ, სადაც კაპიტალიზმი ცდილობს გამეფებას. აღმოსავლეთში ქალები კიდევ უფრო უუფლებო და დამონებული არიან, ვინემ დასავლეთში.

წარსული წლის 8 მარტის შემდეგ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ ქალთა ტანჯვა კიდევ უფრო გაიზარდა. გერმანია განიცდის დაუესის გეგმის ყველა შედეგებს. სესხად მიცემულ მილიონ დოლარების პროცენტების და მოგების გასტუმრება მშრომელ ქალებს აწევთ უმძიმეს ტვირთად. გერმანიის სახალხო მეურნეობა საშინელ კრიზისს განიცდის. სიმშილი და გაჭირვება მეფობს 5 მილიონი უმუშევარის და ნახევრად უმუშევარი მუშების ოჯახებში. მრეწველობაში ჩაბმული მუშა ღებულობს ძლიერ მცირე სამუშაო ხელფასს, რაც მას პურის და ბინის ქირათაც კი არ ჰყოფნის. ამას ემატება კიდევ აუარებელი გადასახადები.

ინგლისში საშინელ სიმშილს განიცდიან ათეული ათასი უმუშევარი მშრომელი ქალები.

საფინანსო კრიზისი, რომელსაც საფრანგეთი განიცდის, ყველაზე უფრო აუტანელი ხდება მუშა და გლეხ-ქალისათვის.

მთელს ფრონტზე სწარმოებს კაპიტალისტების ცინიკური და თავხედური შეტევა თავისი მოგებისა და ძლიერების გასადიდებლად. ამ შეტევაში მათ ხელს უწყობს თეთრი იუსტიციის და ფაშიზმის ტერორი. ყველგან, სადაც გამეფებულია ბურჟუაზიის დიქტატურა, ციხეებიდან მოისმის განაწამების ხალხის კვნესა, ხოლო გარეთ—მათი ცოლებისა და შვილების ტირილი და გოდება.

ჰორიზონტზე იხატება ახალი ომების აჩრდილი.

ჯერ კიდევ სირიაში და მაროკოში არ შეწყვეტილა დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა, როცა ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და შეერთებული შტატების იმპერიალისტები ემზადებიან, რომ იერიში მიიტანონ ჩინეთზე, სადაც გაყვლეფილი და მი-

სალამი ქალთა საერთაშორისო პროლეტარიატს

16 წლის წინად საფუძველი ჩაეყარა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს. და მას შემდეგ ყოველ წელს მთელი მსოფლიოს ქალები ეხმაურებიან ერთმანეთს: „რა გაკეთდა"? „შეხედეთ, ისწავლეთ", „რა არის".

და, რა თქმა უნდა, ყველაზე მკაცრი, ყველაზე ზედმიწევნითი დათვალიერება ხდება ამ დღეს საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხ-ქალთა შორის. უდიდესი მუშაობა და კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აწევს მათ დარაზმულ ნაწილს. აღმოსავლეთის განაპირა კუთხეების ვრცელი დაუმუშავებელი მინდვრები—გუთანს უცდის. და ჩვენი საბჭოთა გუთანი უფრო ღრმად აბრუნებს ნიადაგს. ახლოვდება დღე, როდესაც არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს ყველაზე მიყრუებულ კუთხეებში ქალთა საერთაშორისო დღე გადაიქცევა დღესასწაულად ყოველი მუშა და გლეხ-ქალისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

სალამი ქალთა საერთაშორისო პროლეტარიატს!

მ. კალინინი.

სალამი მშრომელ ქალებს

მოსკოვი, 6 მარტი. „მხურვალე სალამი მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს, რომელნიც ირაზმებიან ერთ მშრომელთა ოჯახში სოციალისტურ პროლეტარიატის გარშემო.

ვუსურვებ მათ სრულ გამარჯვებას:

1) ყველა ქვეყნის მუშების საერთაშორისო კავშირის განმტკიცების და პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

2) ბურჟუაზიის სულიერ და ეკონომიურ მონობისაგან მშრომელ ქალთა ჩამორჩენილ ფენების განთავისუფლების საქმეში.

3) გლეხ-ქალების რევოლიუციის წინამძღოლის და სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელის. პროლეტარიატის გარშემო დარაზმვის საქმეში.

4) ჩაგრულ მასების ჯერ კიდევ ორი არათანასწორი ნაწილის მთლიან მებრძოლთა არმიად გადაქცევის საქმეში, რომელიც იბრძოლებს ყოველგვარი უთანასწორობის, ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობისათვის, პროლეტარიატის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს!

სტალინი.

საქ კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილებას

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს, 8 მარტს, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება თქვენ, აღმოსავლეთის მშრომელ-ქალებს მხურვალე სალამს გიძღვნით. დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ 1926 წლის 8 მარტისათვის, მაგრამ ბევრი რამ კიდევ დაგვრჩა გასაკეთებელი აღმოსავლეთის მშრომელი ქალის საბოლოო განთავისუფლებისათვის წარსული ჩაგვრისაგან. მძიმე გზაა გასავლელი, მაგრამ მომავალი ჩვენია და კომუნისტურ პარტიის სახელოვან ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენ მივაღწევთ აღმოსავლეთის ქალის სრულ და საბოლოო განთავისუფლებას.

არტიუხინა.

თავისუფალ ქალს

(8 მარტის გამო).

იყო:
მონობა და ტირანია,
თან გდევდა ხვედრი, მძიმე, ვით
ცოდვა,
ყოფნის გზა ცრემლით გაგიბანია,
ტანჯვის დღეებს რომ თან მოჰყვებოდა!..
იყავი:
ცოლი, ვითომც მეუღლე!
მაგრამ უღელი კი გედგა ცალად,
და არსებობის მთელი სიმუხთლე
სუსტ ქედზე გეძდო ლოდათ და
ბრალად!..
იყავი:
დედა და მონა სევდის,
რომ ზრდიდი: მონებს, ყმებსა და
გერებს!..
ოჰ, ძნელი იყო ეგ ხვედრი დედის.
მძიმედ რომ აწვა წარსულის სერებს!..
იყავი ბოლოს:
სატრფო და სასძლო,
მაგრამ წრფელს სიტყვას მოწყურებული,
და ხშირად ალალ ნდობის სანაცვლოდ,
მუხანათურად მოტყუებული!..
ადექი:
ოჯახს,—როგორც პირუტყვი,
და ჰარამხანებს,—როგორც ნახირი,
ვით მსხვერპლიც, შენ მსხვერპლთ
ყველას წინუძღვი
და სდევ ცხოვრებას, როგორც ჯახირი!..
მაგრამ:
ცხოვრებამ იცვალა ფერი!
ერა ახალი ასე დაიწყო...!
დღეს:
შენ სდგეხარ, ვით ზღაპრული
მერი,
და სდგას **ის** შენს წინ, როგორც **სასიძო!..**
შენ:—
საპატარძლოს გიხმობს **რვა მარტი:**
წითლად შეღებო უნდა ჩიქილა,
რომ პირველ მაისს გაშლილი ვარდით
ტურფად მოჰკაზმო ცხოვრების დილა!..
იყო:
თებერვლის დიდი ნიშნობა
და
ოქტომბერით:
გადიხდი ქორწილს!
მოდის:
ახალი ცხოვრების შობა
და სიამესაც მოიტანს ორწილს!..
დაჰკარგავ:
ქმარს და მონობის უღელს.
მაგრამ იპოვი: ძმას და მეგობარს,
ვით თანასწორი, მისცემ იმათ ხელს
და ივლით ასე: მტკიცეთ და მწყობრად!..
ჰა:
გაზაფხულიც წინ გეგებება,
ვით ფიანდაზა, რომ გიშლის ხალებს!..
ვაშა!..
ამ სურათს რა შეედრება:—
თავისუფლებით გაბადრულ ქალებს?!.
ვაშა:
მშრომელთა მთელს მოძრაობას!..
შებღულნი, ლაღნი, თანასწორები
ილტვიან, ჰქმნიან ახალს თაობას,
და მეც მას შორით ვეამბორები!..

ნ. ზომლეთელი.

8 მარტი

„ქალთა საერთაშორისო დღე უნდა გახდეს საშუალებათ, რომელიც მუშა და გლეხ-ქალებს მუშათა კლასის რეზერვიდან გადააქცევს მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ მომქმედ არმიათ".

სტალინი.

ლენინმა სთქვა: „ქალების მონაწილეობა პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში იღებს გიგანტიურ მნიშვნელობას"—უწევს რა ანგარიშს ამ მნიშვნელობას და ასრულებს ილიჩის ანდერძს, პარტია მთლიანად, და მასთან ერთად საქართველოს მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებები ანვითარებენ ამ მუშაობას მშრომელ ქალთა მასების ჩასაბმელად ახალი ცხოვრების აღმშენებლობითი მუშაობაში.

მუშა და გლეხ-ქალთა შორის ამ ჩამორჩენილობის დასაძლევი ძირითადი ფორმა არის სადელეგატო კრებები, რომელთა საშუალებითაც პარტიას ჰყავს თავის გავლენის ქვეშ მუშა და გლეხ-ქალების საგრძნობი რიცხვი. დელეგატთა რიცხვი 1926 წელს გაიზარდა 15.000-მდე. ეს მნიშვნელოვანი ციფრია. ამის შემდეგ ჩვენს წინაშე სდგას არა იმდენათ რიცხვობრივი ზრდის ამოცანა, რამდენადაც დაწყებულ მუშაობის გაღრმავება-გაფართოება.

შეიძლება ლაპარაკი ქალის განთავისუფლების შესახებ მის შემბორკავ აკვნისაგან და ქოთან-ქვაბისაგან, თუ არ მოვაწყვეთ კოოპერატიული სასადილოები, ბაგები, საბავშო სახლები და სხვა? რასაკვირველია, არა. ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ ქალთა კოოპერაციაში მონაწილეობას, სრულიად არ არიან დამაკმაყოფილებელნი. სოფლის კოოპერაციაში 1926 წელს ჩაბმულია 1,4%; ხოლო ქალაქისაში—14,1%. ეს ციფრები არ არის მანუგეშებელი და აქ საჭიროა მთელი ძალღონის დაჭიმვა, რომ კოოპერაციაში ჩაბმულ იქნას ქალთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

ქალთა შორის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე პროფმუშაობის საკითხს. 1925 წლის ნოემბერში საქართველოს პროფკავშირების ყველა წევრთა რიცხვი უდრიდა 22,92. თუმცა 1926 წლისათვის ჩვენ არა გვაქვს ციფრები, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1926 წელს ეს ციფრი უნდა გაზრდილიყო. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფკავშირთა წევრებს შორის მუშაობა სუსტად არის დაყენებული, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფ. კავშ. საბჭო მიაქცევს ამას ყურადღებას და თავის ყრილობაზე, რომელიც იხსნება 8 მარტს, დასვამს საკითხს პროფკავშირის წევრებს—მშრომელ-ქალებს შორის სამუშაოთ სპეციალური მუშაკის გამოყოფის შესახებ.

მწვავეთ დგას მშრომელ-ქალთა წინაშე უმუშევრობის საკითხი. სრული განთავისუფლება, რომელიც ქალმა მიიღო ოქტომბრის რევოლიუციისაგან, მიღწეული იქნება მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, წარმოებაში და შრომის სხვადასხვა დარგებში ქალთა დიდი რიცხვის ჩაბმით. საქართველოში უმუშევრობა ქალთა შორის 1925 წლის 1-ლ იანვრისათვის უდრის 4.170 კაცს, რაც შეადგენს უმუშევართა საერთო რიცხვის 39%. ქალთა მოსახლეობას შორის უმუშევრობის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი უმთავრესი ზომა არის ქალთა შრომის კვალიფიკაციის აწევა. ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია და კიდევაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა შრომის სახ. კომისარიატმა რომლის წინაშე დგას უმუშევართა შრომის კვალიფიკაციის ასაწევად სპეციალური კურსების გახსნის საკითხი.

დიდი სამუშაო აქვს გასაკეთებელი მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ცაკთან შემდგარ კომისიას. ეს კომისია არსებობს 1923 წლიდან. მიუხედავათ საშუალებათა სიმცირისა, მშრომელ-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიამ გადასდგა სრულიად გარკვეული ნაბიჯები: დროებითი დასასვენებელი სახლის, არტელების და სახელოსნოების ორგანიზაცია—ყველა ეს კომისიის მიერ არის გაკეთებული, რომელსაც მომავალშიაც მართებს ამ ორგანიზაციების ქსელის გაფართოება

ქალთა შორის მუშაობის, რომელი ამოცანაც არ უნდა ავიღოთ, ყველგან და ყველაფერში საჭიროა განათლების სახალხო კომისარიატის ცოცხალი და უშუალო მონაწილეობა.

არა მცირე როლი უნდა ითამაშოს აგრეთვე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, რომელიც იღებს მონაწილეობას დედების და ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში, ბაგების მოწყობაში და სხვა.

მთავარ ამოცანათ ქალთა შორის მუშაობის დარგში უნდა ჩაითვალოს მათი პარტიაში მიღება. რაც შეეხება ამ საკითხს, შეიძლება აღინიშნოს ქალიშვილების რიცხვის ზრდა ა. ლ. ქ. კავშირში, სადაც ეს რიცხვი 2% გაიზარდა წარსულ წელთან შედარებით, ცოტა უფრო ცუდათ არის ქალთა პარტიაში ჩაბმის საქმე. საქართველოში კომუნისტ ქალების (წევრები და კანდიდატები) უდრის 1.009, რაც შეადგენს საერთო რიცხვის 5,5 პროც. ეს ძალიან უმნიშვნელო პროცენტია. ეს რიცხვი უნდა გადიდდეს პარტიაში უფრო აქტიურ მუშა და გლეხ ქალების მიღებით.

„ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ფეხზე დგებიან უფრო ჩამორჩენილი, ყველაზე უფრო დამონავებული აღმოსავლეთის მშრომელი ქალები" სთქვა **ვლადიმერ ილიჩმა** 1921 წელს, ამჟამათ კი, 5 წლის შემდეგ, 1926 წელს, ჩვენ ვართ მოწმენი იმისა, რომ ფეხზე ამდგარია „ყველაზე უფრო ჩამორჩენილი, ყველაზე უფრო დამონავებული მასები". ისინი სავსე არიან დაუშრეტელი რევოლიუციონური ენერგიით.

ამ ძალის სწორი მიმდინარეობით წარმართვა, რათა ყველა ქვეყნის მშრომელი ქალები შეუდრეკელი სიმამაცით აღსავსე შეუერთდენ მუშათა კლასის რიგებს მსოფლიო კაპიტალზე შეტევისათვის—აი როგორი არის ჩვენი საბოლოო ამოცანა.

ვარო ჯაფარიძე.

ლენინი და ქალთა განთავისუფლება

როდესაც ამხ. ლენინი ლაპარაკობდა ქალის განთავისუფლებაზე, ის აყენებდა სამ მთავარ ამოცანას:

1) ქალის განთავისუფლება ძველი კანონებისაგან, რომელიც უთანასწოროდ ხდიდა მას მამაკაცის მიმართ.

2) ქალების მონაწილეობა საერთო საწარმოო შრომაში მამაკაცებთან ერთად

და 3) ქალის განთავისუფლება ყველაზე ველურ და გონების დამჩლუნგებელ მუშაობისაგან—დიასახლისობისაგან.

ამხ. ლენინმა, მიმართავდა რა მშრომელ ქალებს, იცოდა, თუ რა ძნელი საქმისაკენ მოუწოდებდა მათ. „საქმე ძნელია, მასები დაჩაგრული არიან კაპიტალიზმის მიერ, მაგრამ სხვა გამოსავალი დაქირავებულ მონობისაგან, კაპიტალისტების მონობისაგან, არ არის და არც შეიძლება იყოს. ხოლო მასების ჩაბმა პოლიტიკაში არ შეიძლება, ქალების ჩაუბმელად, ვინაიდან კაცობრიობის მეორე ნახევარი—ქალები კაპიტალიზმის პირობებში ორმაგად დაჩაგრულია.

ის, რაც წინად ძნელ საქმედ გვეჩვენებოდა და რაც მხოლოდ ლოზუნგის სახით იყო წამოყენებული,— ეხლა ყოველ წელს იგი თანდათან ადვილი მისაღწევი ხდება.

ათეული ათასი ქალების მოძრაობა სოციალიზმისაკენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდავო ფაქტი გახდა.

საწარმოვო შრომაში ქალის მონაწილეობა უყენებს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ამოცანას— აწეული იქნას მშრომელ-ქალთა კვალიფიკაცია. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება შესრულებული იქნას ამხ. ლენინის მიერ ჩვენს წინაშე დასმული მეორე ამოცანა. ამჟამად, როდესაც კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობის საკითხი ასე მწვავედაა დასმული, დიდი მნიშვნელობა ეძლევა მუშა-ქალის მისწრაფებას თავისი კვალიფიკაციის აწევისაკენ.

დიდ მუშაობას ასრულებენ მუშა-ქალები საშინაო მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნის საქმეში. ეს მუშაობა დაკავშირებულია უდიდეს სიძნელესთან. თანამედროვე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ მოუყარა თავი საჭირო ძალებს იმ დაწესებულებათა მოსაწყობად, რომელიც განთავისუფლებს ქალს საოჯახო მეურნეობისაგან. კავშირის [illegible] კუთხეებში ქალები აწყობენ ისეთ დაწესებულებებს, რომელნიც განთავისუფლებენ ქალს და გაათანასწორებენ მას მამაკაცთან.

ქალთა საერთაშორისო დღეს ჩვენ ყველა სერიოზულად უნდა ჩავთიქრდეთ იმ ამოცანას, რომლის შესრულებისაკენ მოგვიწოდებდა ილიჩი. შეკითხვაზე, ვიჩენთ თუ არა ჩვენ საკმაო მზრუნველობას საზოგადოებრივ სასადილოების, ბაგების, საბავშვო სახლების მიმართ, ილიჩმა უპასუხა თავის „Великий почин"-ში: „რა თქმა უნდა, არა და ერთხელ კიდევ არა!" როდესაც საშინაო მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ სათუძვლებზე მოელის საშიშროება, ჩვენ უნდა ჩავთიქრდეთ ამ გარემოებას, დავიცვათ ის, რაც გაკეთებულია ამ დარგში და მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ამ მუშაობის წინ წაწევას.—ამას გვასწავლიდა ჩვენ ამხანაგი ლენინი.

ს. ს.

ქალთა შრომა საქართველოში

მუშა-ქალის საერთაშორისო დღის—8 მარტისათვის)

საქართველოს მუშა-ქალები, 8 მარტს დღესასწაულობენ თავიანთ საერთაშორისო დღეს, რომელიც შემოღებული იყო 1910 წ. მე-11 საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე კოპენჰაგენში.

ამ დღის მნიშვნელობას წარმოადგენს პროლეტარული არმიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და სუსტი ნაწილის რევოლიუციონურ ძალთა დათვალიერება. ამ დღის მთავარ ლოზუნგს ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოადგენს:

ქალების ფართოთ ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, მუშა-ქალის შრომის და ყოფა-ცოვრების პირობების გაუმჯობესება.

რა მდგომარეობაშია ქალთა ქალთა შრომის გამოყენება საქართველოში:

1925 წ. 1 ოქტომბრისათვის საქართველოს ყველა წარმოებასა და დაწესებულებაში იყო სულ 116.674 დაქირავებული მუშა, აქედან ქალები შეადგენდენ 20.027-ს ანუ 17 პროც.

შრომის დარგების მიხედვით ისინი განაწილებული არიან შემდეგნაირად:

	მუშების საერთო რიცხვი	აქედან ქალები	პროც.-ში
1. სასოფლო მეურნეობა	6.636	1.754	25.4
2. მრეწველობა	29.705	3.034	10.2
3. ტრანსპორტი, კავშირი	30.451	1.912	02.9
4. სახელმწ. საზოგად. დაწესებ. და სხ. წარმოებანი	43.775	12.473	28,5
5. სახალხო კვება და კომუნალური მეურნეობა	6.107	854	14.0
სულ	116.674	2.027	17 პრ.

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 20.027 მუშა-ქალიდან მრეწველობის დარგში მუშაობს მხოლოდ 3.04, ე. ი. 15 პროც. საქართველოს მუშა-ქალთა თითქმის 60 პროც. ჩაბმულია სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

ყველა მუშა ქალთა 50 პროც. მუშაობს სახალხო ჯანმრთელობის და სახ. განათლების აბსოლიუტური რიცხვი საერთოდ გაიზა ყველა მუშა-ქალთა თითქმის 80 პროც., რომელიც ჩაბმული არიან ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა წარმოებებში, გამოყენებული არიან წარმოების მხოლოდ 4 ჯგუფში: 1. გემო-კვების—1.323, 2. სამკერვალოსა—481,3, 3. საფეიქროსა—508, 4. ქიმიურში—217.

წარმოების დანარჩენი დარგები ძლივს-ძლივობით იყენებენ 500 მუშა-ქალის შრომას.

როგორია ქალთა შრომის გამოყენების დინამიკა ჩვენში:

	სულ	მამაკაცები	ქალები: აბსოლიუტურ. რიცხვი	ქალები: საერთო %%	ქალები: %% მამაკაც. რიცხვთან შედარებით
1921 წ. 1 ოქტომბერს	82.977	66.075	16.902	20.4	25.6
1923 წ. „ „	73.936	61.028	12.908	17.5	21.2
1924 წ. „ „	90.773	68.631	15.421	17.0	18.6
1925 წ. „ „	116.674	77.038	20.027	17.0	20.7

რას გვიმტკიცებს ეს ცნობები. პირველი რომ ქალის შრომის გამოყენების აბსოლუტური რიცხვი 1921 წლ. ოქტომბრიდან 1925 წლის ოქტომბრამდე, გაიზარდა 3.074-ით, ე. ი. 18,1 პროც., იმ დროს, როდესაც მთელი დაქირავებული შრომის გამოყენების აბსოლუტიური რიცხვი საერთოთ გაიზარდა 5 წლის განმავლობაში 33.697-ით, ე. ი. 28,8 პროც.

რაც შეეხება მამაკაცის შრომის გამოყენებას, ის ამავე პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 80,572 პროც., ე. ი. 46,2 პროც. აქედან დასკვნა ასეთია: ქალთა შრომის გამოყენება აბსოლიუტურათ გაიზარდა მაგრამ ქალის შრომის გამოყენების ზრდის დინამიკა ჩამორჩა როგორც მთელი დაქირავებული შრომის, ისე მამაკაცის შრომის გამოყენების დინამიკას. თუ 1921 წ. ქალის შრომა შეადგენდა ქვეყნის მთელი დაქირავებული შრომის 20,4 პროც. და მამაკაცის საერთო შრომის 25,6 პროც., 1925 წ. ის შეადგენს მთელი დაქირავებული შრომის მხოლოდ 17 პროც. და მამაკაცის შრომის 20,5 პროც.

ეხლა მივმართოთ იმ ცნობებს, რომელიც მოწმობს როგორც პროფკავშირების წევრ მუშა-ქალების რიცხვს, ისე მათ განაწილებას შრომის დარგების და სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

საქართველოში მომუშავე კავშირის წევრი მუშა ქალები 1925 წ. 1 ოქტომბერს

შრომის დარგები	წარმოებებში და დაწესებულებებში მომუშავენი			ერთეულები			სულ დაქირავებული მუშა ხელი		
1. სასოფ. მეურნეობა	203	146	346	17	12	29	220	155	375
2. მრეწველობა	2063	424	2487	51	23	74	2114	477	2561
3. ტრანსპორტი და და სახ. კავშირი	361	172	533	2	—	2	363	172	535
4. რკინის გზა *)	1333	—	—	—	—	—	—	—	1333
5. სახ. საზ. და სხვა დაწესებულ.	3186	8711	11897	81	384	465	3267	9095	12362
6. დანარჩენი დაწ.	656	152	808	664	8	672	1320	160	1480
სულ	5469	9602	16071	815	427	1242	7284	10029	18648

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 20,027 მომუშავე მუშა ქალიდან 18,648 კავშირის წევრია, რაც 93,1 პროცენტს შეადგენს.

კვალიფიციური და არა კვალიფიციური ქალის შრომა

ყოველთვის და ყოველგან, სადაც კი წარმოების ტეხნიკა სათანადო სიმაღლეზე სდგას და განხორციელებულია შრომის მექანიზაცია, ქალის შრომის გამოყენების საზომს არ წარმოადგენს მისი კვალიფიციურობა. მექანიზაციაქმნილ წარმოებებში არ არის საჭირო (საერთოდ) კვალიფიციური მუშა ხელი, ჩვენში კი პირიქით, ქალის შრომის გამოყენების საზომს მისი კვალიფიციურობა წარმოადგენს, რადგან ჩვენს წარმოებებში შრომის მექანიზაცია არ არის განხორციელებული და წარმოების ტეხნიკაც ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. მრეწველობის ჯგუფის მიხედვით წარმოებებიდან ქალის შრომა ცოტად თუ ბევრათ კვალიფიციურია შემდეგ წარმოებებში: 1) გემო-კვების, თამბაქოს, 2) საფეიქრო, 3) პოლიგრაფიულ და 4) სამკერვალო წარმოებაში. დანარჩენ წარმოებებში ქალები მუშაობენ შავ სამუშაოზე.

დანარჩენ დარგებში ქალის შრომა კვალიფიციურია მხოლოდ 1) საექიმო-სანიტარულ საქმეში (ექიმები, ფარმაცევტები, კბილის ექიმები, მეანეები), 2) ხელოვნების საქმეში—კვალიფიციური მსახიობი ქალები, 3) განათლების საქმეში არიან უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელი ქალები და 4) სასოფლო მეურნეობაში—აგრონომი ქალები.

მრეწველობის და შრომის დანარჩენ დარგებში ქალის შრომა არ არის კვალიფიციური, ზოგიერთ იშვიათ გამონაკლისს გარდა.

შედარებითი ცნობები მუშა ქალების და მუშების სამუშაო ხელფასის შესახებ წარმოებების და ერთ ნაირ პროფესიების მიხედვით

კვალიფიკაციის დონესთან დაკავშირებულია ქალის შრომის ხელფასის რაოდენობა ჩვენს წარმოებებში. ქვემოთ მოგვყავს საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სტატისტიკურ ბიუროს ცნობები ზოგიერთ წარმოებებში მამაკაცების და ქალების სამუშაო ხელფასის რაოდენობის შეფარდების შესახებ:

საშუალო თვიური ხელფასი ჩერვონ. მანეთებში

წარმოების სახელწოდება		ივნისი 24 წ.	მარტი 1925 წ.	აბსოლიუტ. როგორი პროც. № 1—25 წ. ხელფასთან შედარებით	დღიური ხელფასი ივნისი 24 წ.	დღიური ხელფასი მარტი 25 წ.
განყოფილება თამბაქოს წარმოებაში	მამაკაცი	34—89	48—99	142,5 პროც.	1—56	2—16
	ქალი	30—32	31—44	103,7 პროც.	1—46	1—53
ქალების ხელფასი პროც. შეფარდება მამაკაცების ხელფასთან		88—2	64—2		93,6	70,8
მუშეულობის 1-ლი ქარხნის ქიმიური მრეწველობა	მ.	28,90	42—90	148,4 პროც.	1—40	1—90
	ქ.	17,14	19—33	112,8 პროც.	0—77	0—80
ქალების სამუშაო ხელფასის პროც. მამაკაცთან შედარებით		59,3	45,1		55,0	42,4
პოლიტცოდნა	მ.	54—86	67—70	123,4	2—59	2—92
	ქ.	41—70	43—67	104,7	1—90	1—91
% მამაკაც. შედარებით		76.0	64.5		73.4	65.4
სამკერვალო	მ.	36—60	44 20	114—5	1—6	1—93
	ქ.	18—21	34 34	188,6	1—43	1—51
% მამაკაც. შედარებით		47,2	77,7		76,9	78,2

იმავე შრომის სტატისტიკური ბიუროს ცნობები (შეკრებილი 1925 წ. მარტში) მამაკაცების და ქალების სამუშაო ხელფასის რაოდენობის შეფარდების შესახებ, მოწმობს, რომ ქალების სამუშაო ხელფასი მამაკაცის სამუშაო ხელფასზე მცირეა ყველა წარმოებებში მატყლის და აბრეშუმის დამმუშავებელ ზოგიერთ წარმოებას გარდა. იმავე ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილი აქვს ქალების სამუშაო ხელფასის პროცენტულად შემცირებას 1924 წლის ივნისიდან 1925 წლის მარტამდე. ამ მოვლენას ვამჩნევთ ყველა წარმოებებში გარდა სამკერვალო მრეწველობისა.

მაგალითად 1924 წლის ივნისში თამბაქოს მრეწველობაში ქალების სამუშაო ხელფასი შეადგენდა მამაკაცების ხელფასის 88,2 პროცენტს, 1925 წლის მარტში კი, ე. ი. 9 თვის შემდეგ ის შეადგენდა მამაკაცების ხელფასის 64,2 პროცენტს. ყველაფერი ეს აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, მუშა-ქალის სუსტი კვალიფიკაციით და წარმოებებში ნარდათ მუშაობის შემოღებით. ნარდათ მუშაობამ ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა.

უმუშევრობა ქალთა შორის

ჩვენს ქვეყანაში კიდევ დიდ ხანს იქნება უმუშევრობა. სანამ არ განვითარდება საქართველოს დამმუშავებელი და ამომღები მრეწველობა, სახელმწიფოში უმუშევრობა ყოველთვის იარსებებს. საქართველოში უმუშევრობა დიდია, მაგრამ მისი აღრიცხვა არ სწარმოებს წესიერად. მეტად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ უმუშევართა დიდი უმრავლესობა ან ყოველგვარ კვალიფიკაციის გარეშე სდგას, ან მეტად სუსტი კვალიფიკაციის არის. ეს განსაკუთრებით ითქმის უმუშევარ ქალებზე. როგორია წლების მიხედვით უმუშევრობის დინამიკა ქალებს შორის მამაკაცებთან შედარებით.

რაიონები	წლის დასაწ. ირიც. მ.	პროც.	ქ.	პროც.	ჩაეწერა მ. პროც.	ჩაეწერა ქ. პროც.	გაიგზავნა მ. პროც.	გაიგზავნა ქ. პროც.
1924 წ. რესპუბლიკაში	12113	64,6	6631	35.4	28429	8769	22675	6369
					76,4	23,6	78,1	21,9
1924 წ. თბილისში	8354	61,3	5269	38,7	16778	6871	14515	4882
					70,9	29,1	74	25,6
1925 წ. რესპუბლიკაში	9666	64,9	5223	35,1	20358	7594	11861	2296
					72,8	27,2	83,9	16,1
1925 წ. თბილისში	7273	61,4	4574	38,6	14293	6027	7293	1553
					70,3	29,7	82,4	17,6

თუ ყურადღებას მივაქცევთ ქალების სამუშაოზე გაგზავნას დაინახავთ, რომ გაგზავნილ მამაკაცების პროცენტი ყოველთვის უფრო მეტია, ვინემ ქალების პროცენტი. ასე მაგალითად 1925 წ. თბილისის ბირჟაში ჩაეწერა 6.027 ქალი, რაც შეადგენს რეგისტრაციაში გატარებულ ორივე სქესის უმუშევართა 29,7 პროცენტს; ხოლო იმავე წელს სამუშაოზე გაიგზავნა 1.553, რაც შეადგენს სამუშაოზე გაგზავნილ ორივე სქესის უმუშევართა 17,6 პროცენტს. ყველაფერი ეს აიხსნება მით, რომ უმუშევარ ქალების უმრავლესობა ყოველგვარ კვალიფიკაციას მოკლებულია.

ბრძოლა ქალთა უმუშევრობის წინააღმდეგ

უმუშევარ ქალთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად ვიღებდით და ვღებულობთ შემდეგ ზომებს. უპირველეს ყოვლისა მუშა-ქალებს, რომელთაც აქვთ შრომის ერთგვარი სტაჟი, დამზღვევი კასა აძლევს უმუშევრობის შემთხვევაში. ისინი 6 თვის განმავლობაში ღებულობენ დახმარებას ფულად 10-დან 15 მანეთამდე და მედიკურ დახმარებას უფასოდ უმუშევრობის მთელ პერიოდში.

რესპუბლიკაში დაზღვეულ უმუშევარ ქალთა რიცხვი 1925 წელში შეადგენდა 1.020, მამაკაცების რიცხვი—3.257, სულ კი—4.277. თუ შევადარებთ დაზღვეულ უმუშევართა რიცხვს სქესის მიხედვით საერთო უმუშევართა რიცხვს მივიღებთ შემდეგ სურათს:

1925 წ. უმუშ. მამაკ.—17.949, დაზღვ.—3.257, ე. ი.—18,5 პროც. ამავე წელს უმუშ. ქალი—9.797, დაზღვ.—1.020, ე. ი. 10,4 პრ.

დასკვნა: დაზღვეულ უმუშევარ მამაკაცთა პროცენტი მეტია, ვინემ ქალების პროც., რაც აიხსნება იმით, რომ ქალებში ძლიერ უმნიშვნელო პროცენტს აქვს შრომის სტაჟი.

მეორე ზომა უმუშევარ ქალების მდგომარეობის შესამსუბუქებლად—არის დახმარება სამუშაოს აღმოჩენის სახით. ამ მიზნით ეწყობა შრომის კოლექტივები, სადაც იგზავნებიან უმუშევრები განსაზღვრულ ვადით. 1923 წელს საქართველოში იყო შრომის სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილი 6 კოლექტივი 755 კაცის შემადგენლობით, ხოლო 1925 წელს 33 კოლექტივი 1.732 მუშით. რაც შეეხება ქალების მონაწილეობას ამ კოლექტივებში ცნობები გვაქვს მხოლოდ 1925 წლის შესახებ.

თბილისში 1925 წელს ათ კოლექტივში სულ მუშაობს 1076 უმუშევარი, მათ შორის მუშაობს 171 ქალი, ე. ი. 15,8 პროცენტი.

რასაკვირველია, პროცენტული შეფარდება უმუშევარ მამაკაცებსა და ქალებს შორის მათი კოლექტივში გაგზავნის დროს არ არის დაცული, მაგალითად, 1925 წელს თბილისში უმუშევარ ქალების რიცხვი უდრიდა 38,6 პროცენტს, მამაკაცების—61,4%, კოლექტივებში გაგზავნილი იყო ქალი—15,2% და მამაკაცი—84,2%. რაც შეეხება კოლექტივების შემადგენლობას რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში, ჩვენ ცნობები მოგვეპოვება მხოლოდ ქალაქ ქუთაისის კოლექტივების შესახებ, იქ 1925 წელს 5 კოლექტივში იყო 126 მომუშავე, მათ შორის 49 ქალი, ე. ი. 38,8%. როგორც ხედავთ, აქ შედარებით საქმე უკეთესად არის.

აქედან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მომავალში საჭიროა უმუშევარ ქალების ასეთი დახმარების კიდევ უფრო გაფართოება.

ქალის შრომის კვალიფიციის ამაღლება

უდავოა, რომ ქალთა შორის უმუშევრობის შესამცირებლად და აგრეთვე ჩვენს წარმოებებში და დაწესებულებ. ქალების შრომის გამოყენების გასაფართოებლად, ერთადერთი ზომაა ქალის შრომის კვალიფიკაციის ამაღლება.

ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, უკვე არსებულ უმუშევარ ქალების გადამზადება და მეორე ახალგაზრდა ქალების ფართოდ ჩაბმა საქარხნო შეგირდობის სკოლებში. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ სრული ცნობები რესპუბლიკაში ქალიშვილების საქარხნო საშეგირდო სკოლებში გატარების შესახებ, ჩვენი ციფრები ეკუთვნის ქ. თბილისის მნიშვნელოვან დარგებს.

ცნობები შეგირდების შესახებ 1925 წელს.

წარმოებათა ჯგუფები	სულ	მათ შორის მამაკ.	მათ შორის ქალები	პროც. მხრივ მამაკ.	პროც. მხრივ ქალები
1) გემო-კვების, 2) მეტყავეები, 3) მელითონეები, 4) ფეიქრები, 5) ქიმიკოსები, 6) ხის დამუშავებ. 7) პოლიგრაფი, 8) მკერვალები, 9) კომუნალური მეურნეობა, 10) აღმშენებელნი.	617	506	111	82 პროც.	18 პროც.

ასეთია ქალის შრომის მდგომარეობა საქართველოში. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს 8 მარტს ჩვენ ვიტყვით, რომ საქართველოს მუშა-ქალი ნელა, მაგრამ მტკიცეთ იჭერს საპატიო ადგილს რესპუბლიკის საერთო აღმშენებლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას!

გაუმარჯოს ქალთა შრომას!

გაუმარჯოს 8 მარტს!

ა. ჯიჯაძე.

---

* რამდენი იყო მუშა ქალი და რამდენი მოსამსახურე, ამაზე ცნობები არ არის.

პარტიული ცხოვრება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მორიგი ამოცანები

(ამხ. ა. ნაზარეტიანის მოხსენება ა.-კ. საკონტ. კომ. პლენუმზე)

6 მარტს ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პირველ პლენარულ სხდომაზე ამხ. ნაზარეტიანი გამოვიდა მოხსენებით შემდეგ თემაზე: „მე-14-ე ყრილობის რეზოლიუცია ამხ. კუიბიშევის მოხსენების გამო და მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობის საერთო მიმდინარეობა მახლობელ პერიოდში“.

პრაქტიკული მუშაობის დარგში ჩვენს წინაშე ოთხი მთავარი ამოცანაა, ამბობს ამხ. ნაზარეტიანი, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საკონტროლო კომისიის ორგანოებმა.

პირველი მთავარი ამოცანა—ეს არის ჩვენი სახელმწიფო აპარატს რაციონალიზაცია და ამასთან ერთად ბრძოლა მის ბიუროკრატიულ გადამახინჯების წინააღმდეგ; ამ ამოცანის განსახორციელებისაკენ უნდა მივმართოთ მთავარი ძალები.

ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება აშკარად გვიჩვენებს, რა დიდ შედეგს შეგვიძლია მივაღწიოთ, თუ ყურადღებით და მოფიქრებულად მიუდგებით სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის პრობლემას, თუ გავაუმჯობესებთ და განვამარტივებთ ამ აპარატის მუშაობას.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოთ პარტიულ ორგანოებს სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობისათვის მუშაკების შერჩევის საქმეში. ამ სფეროში ჯერ-ჯერობით ცოტა მიღწევები, ცოტა გამოცდილება და შედეგები გვაქვს. წამოყენების სისტემა, როგორც შერჩევის ერთ-ერთი გზა, ვერ ტარდება საკმაოდ პრაქტიკაში. უნდა გაღრმავებულ და განმტკიცებულ იქნეს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კავშირი დაბალ საფეხურის მუშაკებთან, მუშებთან და გლეხებთან, რითაც ჩვენ შევქმნით დაუშრეტელ წყაროს მუშათა და გლეხთა ახალი ძალების მასიურათ წამოყენებისა და პარტიულ საპასუხისმგებლო მუშაობაზე.

მესამე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა—ეს არის პარტიის შემადგენლობის ხარისხის გაუმჯობესება და სისტემატიური მუშაობა ამ მიმართულებით. პარტიის რიგების შემოწმებამ წარსულში დადებითი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ეს არ არის საკმაო. საჭიროა ჩვენი პარტიის მტკივნეული ადგილების შესწავლა; საჭიროა დაწვრილებით შესწავლა შემოწმების შედეგის, მისი გამოცდილების, რათა ამ გამოცდილების საშუალებით თავი დავაღწიოთ ყველა იმ ნაკლულოვანებებს, რომლებიც არსებობს პარტიაში. უვარგისი ელემენტების პარტიიდან მექანიკურად გაძევებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტკოლეგიების მუშაობის აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაძლიერებას და გაღრმავებას. სასამართლოს სახის დამსჯელი მომენტი თანდათანობით მეორე რიგში უნდა იქნეს დაყენებული და საკონტროლო კომისიები ამხანაგურ ორგანიზაციებათ უნდა გადაიქცენ. პარტიული რეპრესიების უკიდურეს ზომებს (პარტიიდან გამორიცხვა) უნდა მოვეპყრათ რაც შეიძლება ფრთხილად, რაც შეიძლება ყურადღებით; მას უნდა მივმართოთ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოვსწურავთ ყველა შესაძლებლობებს და საშუალებებს ამა თუ იმ ამხანაგის პარტიული გასწორებისათვის.

და დაბოლოს **უკანასკნელი ამოცანა**—ეს არის საკონტროლო კომისიების მუშაობის დაკავშირება პარტკომიტეტების მუშაობასთან.

მთავარ სახელოსნოს კოლექტივის გამოკვლევის შედეგები

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა საერთო საქარხნო უჯრედის ბიუროს მოხსენება და უჯრედის გამომკვლევ კომისიის თანამოხსენება. პრეზიდიუმმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები კოლექტივის მუშაობაში და ამავე დროს მიუთითებს მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებზე, როგორიც არის ის, რომ საერთო-საქარხნო უჯრედის ბიურო სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს ცეხურ უჯრედების, კომისიების და ბრიგორგების მუშაობას.

შემდეგ, მოისუსტებს უპარტიო მასების მუშაობაში ჩაბმა.

საერთო-საქარხნო და ცეხურ უჯრედთა ბიუროს მუშაობა ვერ არის გეგმიანი, არ ხდება საკითხების სათანადო გაშუქება;

მოისუსტებს პროფესიონალურ ორგანიზაციების და საწარმოო თათბირების მუშაობის ხელმძღვანელობა.

ამ უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელათ თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა გატარებული იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1) უჯრედის საგრძნობი ზრდის გამო ყურადღება უნდა მიექცეს მისი შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებას და პარტიაში დაზგასთან მდგომ მუშების ჩაბმას.

2) საერთო-საქარხნო უჯრედის ბიურომ თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს ცეხურ უჯრედების და ბრიგორგების ყოველდღიურ მუშაობის ხელმძღვანელობაზე.

3) რადგან ცეხურ უჯრედებში კომისიები ვერ აწარმოებენ სათანადო მუშაობას და რადგან აუცილებელია ცეხურ უჯრედების მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერება საერთო-საქარხნო უჯრედის ბიუროს მხრივ, საჭიროთ იქნა ცნობილი ცეხურ უჯრედების კომისიების დაშლა და ასეთების მოწყობა საერთო-საქარხნო უჯრედის ბიუროსთან.

4) უჯრედის მრავალრიცხოვანობა აუცილებელს ხდის პარტიული აქტივის შექმნას, რისთვისაც საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები მისი აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

5) რადგან კომკავშირის კომისიების არსებული ქსელი ფაქტიურათ ვერავითარ მუშაობის უნარს ვერ იჩენს,—საჭიროა ამ კომისიების დაშლა და ამის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქნეს კომკავშირის უჯრედებზე მომზადებულ ამხანაგების პერსონალურად მიმაგრების სისტემა.

6) საჭიროა უჯრედის წევრები თავის დროზე ეცნობოდენ საერთოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზების და კერძოთ სახელოსნოების და ცალკე ცეხების სამეურნეო მდგომარეობას, ამიტომ რაიკომმა ზომები უნდა მიიღოს, რომ უჯრედების სხდომებზე სისტემატიურად იკითხებოდეს მოხსენებები ამ საკითხებზე.

7) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შემოწმებას, თუ როგორ სრულდება პარტიული დირექტივები, რაიკომს თავის დროზე უნდა ეგზავნებოდეს ცნობები უჯრედის მუშაობის ნაკლულევანებათა შესახებ.

გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილებზე ხელმძღვანელობის გაძლიერებას და ადგილკომის მუშაობის გაჯანსაღებას.

ამ.-კავ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების კომუჯრედის გამოკვლევა

(ლენინის რაიონში).

ლენინის რაიკომის საორგანიზაციო თათბირმა მოისმინა ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კომუჯრედის მდივნის ამხ. უმალოტნოს მოხსენება უჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ.

ბიუროს მუშაობა ცნობილ იქნა არა დამაკმაყოფილებლად და ორგ.-თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ზომებისა. პირველად ყოვლისა თათბირმა დაადგინა, რომ მოხდეს უჯრედის ბიუროს და საუჯრედო კომისიების ხალახალი არჩევა. საორგანიზაციო და ქალთა კომისია უნდა დაიშალოს.

ბიუროს ახალ შემადგენლობას დაევალა, რომ მან ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს უჯრედის მუშაობის გეგმა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედვას რაიკომის მუშაობის გეგმა.

ბიუროს და უჯრედის კრებებზე ხშირად უნდა ისმებოდეს კომკავშირის მოხსენებები და ადგილკომის ფრაქციის ანგარიშები.

საანგარიშო მოხსენებებში უნდა აღინიშნოს მუშაობის სუსტი მხარეები და წამოყენებულ უნდა იქნეს პრაქტიკული წინადადებები მათ შესასწორებლათ. უჯრედის ბიუროს მხრივ საჭიროა მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებების და დადგენილებების ცხოვრებაში გატარების დროს.

შეფკომისია დათხოვნილ იქნეს და მოხდეს შეფსაზოგადოებაზე გადასვლა.

მ. კ.

საუჯრედო აქტივის გამოკვლევა

(ლენრაიონში)

რაიკომმა გამოჰყო კომისია ცხრა წევრის შემადგენლობით ლენინის რაიონის საუჯრედო აქტივის მუშაობის გამოსაკვლევად და აღსარიცხავად. კომისიის წინაშე სდგას ამოცანა გამოკვლევის გზით გამოარკვიოს ჩვენი პარტაქტივის პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი მუშაობით დატვირთვა.

ამასთანავე ერთად გამორკვეულ უნდა იქნეს რა არის გაკეთებული ამ აქტივის დატვირთვისათვის და პარტიული რამდენი პროცენტია დარჩენილი პრაქტიკული მუშაობის გარეშე. თავისი მიმდინარე მუშაობისათვის კომისიამ შეიმუშავა გეგმა და აგრეთვე სპეციალური საარიცხვო ანკეტა. ყველა უჯრედები დანაწილებულია კომისიის წევრებს შორის, კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

მ. პოპოვი.

განათლების კომისარიატის კომუჯრედში

საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე განათლების კომისარიატის კომუჯრედმა გამოუშვა კედლის გაზეთი „ჩვენი მიღწევები“-ს სახელწოდებით. ფურცელში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ და ნათლად არის გაშუქებული განათლების კომისარიატის ყველა განყოფილებების 5 წლის მუშაობა.

ამას გარდა 27 თებერვალს 1 საც.-საჩ. სკოლის შენობაში გამართული იქნა საზეიმო სალამო, რომელსაც დაესწრენ განათლების კომისარიატის თანამშრომელნი, ყველა საც.-საჩ. სკოლების, ბაღების და სახლების პედაგოგიური პერსონალი, ამავე დაწესებულებათა და პედაგოგიურ ინსტიტუტის მოწაფეთა წარმომადგენელნი.

სალამო დაიწყო ამხ. ნ. ოკუჯავას მოხსენებით. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების, შემდეგ წითელი არმიის 8 წლის თავის შესახებ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა 1 საც.-საჩ. სკოლის უფროსი ჯგუფის შეგირდმა.

სიტყვების დათავების შემდეგ მოწყობილ იქნა განათლების კომისარიატის თანამშრომელ კომკავშირელთა ბავშვების წითელი ნათლობა. ამ ბავშვთა კომუნისტური აღზრდა თავის-თავზე მიიღო კომუჯრედმა.

საზეიმო სალამო დათავდა ამავე საც.-საჩ. მოწაფეთა მიერ დადგმულ პიესით: „შეშინებული ანთიმოზი“.

პარტკორი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ხონჭიორის ა. ლ. კ. კ. უჯრედი

(რაჭის მაზრა)

ხსენებული უჯრედი არსებობს 1923 წლიდან. უჯრედში ირიცხება 30 წევრი. უჯრედში შემავალი ახალგაზრდობა ყველა მუშებია და გლეხების შვილებია. ჰყავს ბიურო სამი კაცისგან. უჯრედის კრება ხდება კვირაში ერთხელ, არსებობს პოლიტწრე, რომლის მეცადინეობა სწარმოებს კვირაობით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზამთარში უჯრედის მუშაობა შესუსტებულა, ვინაიდან ამხანაგებს უხდებათ მაზრის გარეშე წასვლა, ზაფხულში კი ამხანაგები თავიანთ მაზრაში მიდიან და მაშინ უჯრედის მუშაობა კარგათ მიმდინარეობს.

კომკავშირსა და კომუჯრედს შორის კავშირი კარგია. კომკავშირი ესწრება კომუჯრედის კრებას, კომუჯრედსაც ერთი წარმომადგენელი ჰყავს გამოყოფილი,რომელიც ესწრება კომკავშირის კრებას და უწევს დახმარებას ამ თუ იმ საქმის მოგვარებაში.

შემდეგ უნდა აღვნიშნო ამ უჯრედის ნაკლი. აქ არსებობს კლუბი და სამკითხველო. ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს კომკავშირმა.

ხ. ფოფხაძე.

საბჭოთა არჩევნები

მეტი ყურადღება ორგანიზაციულ საკითხებს

ბევრ თემში უკვე დასრულდა საბჭოების არჩევნები. თემის ახალი ხელმძღვანელები განახლებული ძალებით შეუდგებიან სოფლის აღმშენებლობითი მუშაობას.

ახალ საბჭოებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ არჩევნებზე გაცემულ თამასუქებს განაღდება დასჭირდება. დაპირებები, როგორც ვიცით, ბევრგან ძალიან დიდი იყო. მოვა დრო, როცა საბჭოები ვალდებულნი იქნებიან ანგარიში ჩააბარონ თავის მოღვაწეობის შესახებ ამომრჩევლებს.

თუ წელს დიდი იყო გლეხების აქტივობა და ისინი, როგორც იტყვიან, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ საბჭოების მუშაობას,შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მომავალ არჩევნების დროს, ამომრჩეველთა აქტივობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, თქმა არ უნდა, ახალი საბჭოები ამომრჩეველთა, პარტიის და ხელისუფლების წინაშე უფრო მეტ პასუხისმგებლობის ქვეშ იმყოფებიან და მათ მეტი სიფრთხილით, მეტი წინდახედულობით მოუხდებათ მუშაობა, ვიდრე წინამორბედ საბჭოებს.

ამისათვის არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მუშაობის წარმატებით წინსვლა ბევრათაა დამოკიდებული საქმის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაზე და დასაწყისიდანვე სწორ გზის აღებაზე. ასე, მაგალითად, ახალი საბჭოები თავის პირველ სხდომებზევე უდგებიან ორგანიზაციულ საკითხების მოგვარებას. აქ განსაკუთრებული სიფრთხილე და დაფიქრებაა საჭირო.

ალმასკომის და მისი პრეზიდიუმის არჩევა, სექციების და კომისიების გამოყოფა უნდა ხდებოდეს წინასწარი მოფიქრებით და კანდიდატების სათანადო შერჩევით. პირველ ყოვლისა, ანგარიში უნდა გაეწიოს ნებაყოფლობითი მომენტს. სურს თუ არა დასახელებულ კანდიდატს იმუშაოს იმ საქმეზე, რომელსაც მას საბჭო აკისრებს. ბევრჯერ ამას ანგარიშს არ უწევენ და უმთავრესად ამიტომაა, რომ საბჭოების სექციები და კომისიები ბევრგან მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

გარდა ამისა, ანგარიშში მისაღებია კანდიდატის ცოდნა და უნარიანობა. უნდა ვეცადოთ თვითეულ სექციაში, ან კომისიაში ისეთი პირების გამოყოფას, რომელთაც ცოდნა და დრო რამდენადმე მაინც ხელს უწყობს საქმის გასაძღოლათ.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ალმასკომის პრეზიდიუმის არჩევნებს. თუ საბჭოს სათავეში უმოქმედო და საქმის არ მცოდნე პირები დგანან, თემის საქმე წინ ვერ წავა. აქ საჭიროა ისეთი ხალხის გამოყოფა, რომელიც ახლო დგას მშრომელ გლეხობასთან, რომელიც იზიარებს მის ჭირ-ვარამს და რომელსაც ნდობის თვალით უყურებს თემის უმრავლესობა, როგორც საქმიან პირს.

ამრიგათ, ფრთხილათ მუშაობის დასაწყისშივე, თუ გვინდა, რომ შემდეგ საქმე წინ წავიდეს და საბჭოც ამომრჩევლების წინაშე პირნათლად დარჩეს.

ანარელი.

მთლიანობის პირველი ცდა

მიმდინარე საბჭოთა არჩევნები იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რამდენათ სასარგებლოა და პრაქტიკულად აუცილებელი ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხების დაკავშირება, რომ მშრომელთა ბატონობა დაცულ იქნას სოფლად მომუშავე დაწესებულებებში.

ყველგან, სადაც წინასწარი მუშაობა სათანადოთ იყო ჩატარებული, სადაც ეწყობოდა ღარიბ და საშუალო გლეხების კრებები, არჩევნებში გამარჯვება გლეხთა ამ ფენებს ერგოთ. ამრიგათ, ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის არსებულ კავშირის სარგებლობა ყველასათვის აშკარაა.

მაგრამ ჩვენ ამაზე ვერ შევჩერდებით. საბჭოთა არჩევნები ერთი იმ საუკეთესო საშუალებათაგანი აღმოჩნდა, რომელმაც აამოძრავა ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები და პარტიის დადგენილების ცხოვრებაში გატარება დააჩქარა. არჩევნები მშრომელ გლეხობის მთლიანობის პირველ დემონსტრაციას წარმოადგენს.

საჭიროა ამ კავშირის მტკიცეთ დაცვა. საჭიროა მისი სამერმისოდაც შენარჩუნება. სოფლად მარტო საბჭოთა არჩევნები არ ხდება. საბჭოების არჩევნებს მოჰყვება კოოპერატივის, გლეხკომის და სხვა არჩევნებიც.

თვითეულ ასეთ შემთხვევაში ღარიბი და მშრომელი გლეხობა შეკავშირებული უნდა გამოდიოდეს. არ კმარა მარტო საბჭოში ღირსეულ დეპუტატების გაყვანა, თუ სოფლის სხვა ორგანიზაციებში საბჭოს წევრებს არ ეყოლათ ხელის შემწყობი ხელმძღვანელი პირები, მათ მარტო არ შეეძლებათ ამრჩევლების იმედების გამართლება. კოოპერატივების, გლეხკომების სხ.-დასხ. კომისიების არჩევნებშიაც მშრომელი გლეხობა უნდა გამოვიდეს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც ამას მიმდინარე არჩევნებში აქვს ადგილი და უნდა ეცადოს ისეთი პირების გაყვანას, რომელნიც დაიცავენ მათ ინტერესებს.

გარდა ამისა ხშირია შემთხვევები, როცა თემში ხდება ყრილობები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტათ. აქაც უთუოდ საჭიროა მთლიანობა მშრომელ გლეხობას შორის. ასე რომ, მჭიდრო კავშირი ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა შორის უნდა შენარჩუნებულ იქნას არჩევნების დასრულების შემდეგაც და მტკიცედ უნდა ტარდებოდეს იგი ცხოვრებაში.

საბჭოთა არჩევნები ამ კავშირის გამოყენების პირველი ცდა იყო, რომელმაც საუკეთესო შედეგი მოგვცა. საჭიროა ამ გამოცდილების სათანადოთ გამოყენება მშრომელ გლეხობის გაერთიანებულ მუშაობის საწარმოებლათ.

ეს არ უნდა დაივიწყონ იქ, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა არჩევნები და უნდა ახსოვდეთ იქაც, სადაც არჩევნები უკვე ჩატარებულია.

ვ. მანაველი.

ალმასკომის თავმჯდომარესაც საზოგადო კრება ასახელებს

(სენაკის მაზრა)

ჩვენს მაზრაში არჩევნები მართალია ცოტა დაგვიანდა, მაგრამ სამაგიეროთ ამრჩეველთა 55—70 პროცენტი ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხობა თვითვე ასახელებს საარჩევნო კრებებზე თემალმასკომების თავმჯდომარეებს. ასე იყო მაგალითად, საჭილაოს ნოსირის და სხვა თემებში.

ეს იმას ამტკიცებს რომ ამომრჩევლების შეგნება და თემის ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილი გაიზარდა.

ბ. უჩანეიშვილი.

25 თებერვლის საზეიმო სხდომა

(ნიგოითი, გურია)

25 თებერვალს შესდგა თემის საბჭოს საზეიმო სხდომა კომპარტიისა, კომკავშირისა და პროფკავშირების წევრებთან ერთად მრავალ მოქალაქეთა თანდასწრებით. მოხსენებებით გამოვიდნენ ს. კ. პ. გურიის კომ. მდივანი ამხ. ვ. ჩხატარაიშვილი და პროფკავშირებიდან ამხ. ვ. გუჯაბიძე. მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ნიგოითის თემის მუშათა და გლეხთა საბჭომ თავის საზეიმო სხდომაზე 25 თებერვალს თანდაწრებით უპარტიო გლეხებისა და კომპარტიის, კომკავშირის და პროფკავშირების წევრებისა მოისმინა, რა მოხსენება ამხ. კ. ჩხატარაიშვილის საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში 5 წლის და წითელი არმიის არსებობის 8 წლის თავის აღსანიშნავად, იწონებს ხელისუფლებისა და კომპარტიის მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეო და ადგენს, რომ ის ხელისუფლებასთან ერთად ივლის და იბრძოლებს, და ეცდება ხელი შეუწყოს იმ დიად მუშაობას, რომელსაც აწარმოებს მუშურ-გლეხური მთავრობა, როგორც აღმშენებლობითი სფეროში, ისე პოლიტიკურ-კულტურულ დარგებში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ერთგულ დარაჯს—წითელ-არმიას!

გაუმარჯოს კომ. პარტიას“.

კ. ფირცხალაიშვილი.

არჩევნები იშვიათი ერთსულოვნებით ჩატარდა

(სურამის თემი, გორ. მაზ.)

საბჭოთა არჩევნები სურამის თემში დაიწყო 10 თებერვლიდან და დამთავრდა 21 თებერვალს გლეხები, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, დიდი ხალისით და თითქმის უკლებლივ ცხადდებოდენ საარჩევნო კრებებზე.

მთელ თემში ამომრჩეველთა რიცხვი 5,372 უდრიდა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3,100 კაცმა, ე. ი. 57 პროცენტმა.

ხმის უფლება მოკლებულებმა რიცხვით 6 კაცმა, შეიტანეს საჩივარი, რის შემდეგ 3 მათგანი იქნა აღდგენილი უფლებებში.

აღსანიშნავია გლეხი ქალების უკლებლივ გამოცხადება და მათი აქტიური მონაწილეობა არჩევნებში; იყო სოფლები, სადაც არჩევნებზე მეტი ნაწილი ქალები ცხადდებოდენ და როდესაც ამის გამო ქალები გავიდენ საბჭოებში, მამაკაცებს ბრაზი მოსდიოდათ, ქალებმა როგორ უნდა გვეუფროსონო.

აღსანიშნავია აგრეთვე ებრაელთა მონაწილეობა არჩევნებში, რაიც პირველი მაგალითია სურამში. ეს მაჩვენებელია იმისი, რომ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით ებრაელთა მშრომელი მასები გამოფხიზლების გზაზეა დამდგარი და ჩქარა დადგება ის ჟამიც, როდესაც ისინი სამუდამოდ დააღწევენ თავს ცრუმორწმუნეობის ბურუსს.

გლეხების კრიტიკამ საბჭოების მუშაობის შესახებ და სხვა საკითხებში ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა, გლეხები ყველა ორატორები შეიქნენ, გაიგონებდით აქეთ-იქიდან. მღვდლების, კულაკების და ვაჭრების გამოსვლას არსად ადგილი არ ჰქონია. კანდიდატების დასახელება და კენჭის ყრა ხდებოდა პერსონალურად.

სოფლის ინტელიგენტურმა ძალებმა დიდი დახმარება გაუწია არჩევნებს.

თემალმასკომის მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. საბჭოში არჩეულია 111 წევრი. აქედან 92 მამაკაცი და 19 ქალი, პარტიის წევრი. 20, ა. ლ. კ. კ. 20, უპარტიო 55, პარტიის კანდიდატები 16. ეროვნების მხრივ 100 ქართველია, 4 სომეხი, 2 ოსი, 2 რუსი და 3 ებრაელი.

ალმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ივ. აბრამიშვილი (კომუნისტი)მის ამხანაგად ამხ. პლ. გაგნიძე (კომუნისტი), კომუნალურ განყოფილების გამგედ ამხ. მიხ. ქიტიაშვილი (კომუნისტი) არჩეულ იქნა აგრეთვე დელეგატები სამაზრო ყრილობაზე გასაგზავნად, რიცხვით 12 კაცი, რომელიც გაიხსნება 14 მარტს. ახალი თემალმასკომი მუშაობას შეუდგა პირველ მარტიდან.

ი. გაგოშიძე.

საუკეთესო ავირჩიეთ

(ს. ნარაზენი, ზუგ. მ.)

ისეთი ცოცხალი არჩევნები, როგორიც წელს მოხდა არ ახსოვს ჩვენს თემს. კრებაზე ხმის მიცემად გამოცხადდა ამომრჩეველთა ორ მესამედზე მეტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საარჩევნო კრებაზე გლეხ ქალთა დასწრება და აქტივობა (200 მამაკაციდან ესწრებოდა 90 ქალი).

არჩევნების ჩინებულად ჩატარებას ხელი შეუწყო თემის საარჩევნო უბნების დაყოფამ. სულ მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით ასარჩევი იყო 19 დეპუტატი.

მიუხედავად ამისა გლეხობამ წამოაყენა სამოცი კანდიდატი, რათა მეტი საშუალება ყოფილიყო საბჭოში ენერგიულ მუშაკების შერჩევისა.

და მართლაც, ახალ საბჭოში გაყვანილ იქნენ თემის საუკეთესო ელემენტები.

წითელი.

სად ჩატარდა არჩევნები

ლეჩხუმის მაზრა

მექვენის თემ-საბჭოში აირჩიეს 39 წევრი მათ შორის 7 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 27 უპარტიო. არჩეულთა შორის 6 ქალია.

ლენტეხის თემ-საბჭოში არჩეულ იქნა 20 წევრი. მათ შორის 2 კომუნისტი, 18 უპარტიო. აქედან ორი ქალი.

ზუგდიდის მაზრა

ანაკლიის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 44 წევრი. მათ შორის 10 კომუნისტი, 18 უპარტიო. არჩეულთა შორის 2 ქალია.

ზემოხეთის საბჭოში არჩეულ იქნა 17 წევრი. მათ შორის 9 კომუნისტია, 1 კომკავშირელი, 7 უპარტიო, აქედან 2 ქალია.

სენაკის მაზრა

სუჯუნის თემსაბჭოში აირჩიეს 63 წევრი. მათ შორის 23 კომუნისტი, 5 კომკავშირელი, 35 უპარტიო. აქედან 2 ქალია.

ნაესაკოვოს თემსაბჭოში აირჩიეს 28 წევრი მათ შორის 7 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 19 უპარტიო. აქედან 2 ქალია.

სამხრეთ-ოსეთი

ახალ გორის თემსაბჭოში აირჩიეს 80 წევრი. მათ შორის 12 კომუნისტი, 6 კომკავშირელი, 62 უპარტიო. არჩეულთა შორის 2 ქალია.

მონასტრის თემსაბჭოში აირჩიეს 69 წევრი. მათ შორის 10 კომუნისტი, 4 კომკავშირელი, 55 უპარტიო. აქედან 7 ქალია.

ქემულთის თემსაბჭოში აირჩიეს 21 წევრი. მათ შორის 6 კომუნისტი. 4 კომკავშირელი, 9 უპარტიო. აქედან 2 ქალია.

შორაპანის მაზრა

დიდიკაურის საბჭოში აირჩიეს 27 წევრი. მათ შორის 6 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 19 უპარტიო, მათ შორის 4 ქალია.

ბორჩალოს მაზრა

კაშკატალის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 25 წევრი. მათ შორის 2 კომკავშირელი, 1 ქალი—დანარჩენი უპარტიოა.

გორის მაზრა

კასპის თამსაბჭოში აირჩიეს 18 წევრი. მათ შორის 4 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 12 უპარტიო. არჩეულთა შორის 3 ქალია.

ძეგვის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 39 წევრი. მათ შორის 4 კომუნისტი, 6 კომკავშირელი, 29 უპარტიო, აქედან 6 ქალია.

რაჭის მაზრა

ამბლორაულის, ხვავის, სადმელის, ზნაკვას, ცახის, ნიკორწმინდის, ხოტევის, ველევის და წესის თემსაბჭოებში არჩეულ იქნა სულ 268 წევრი. მათ შორის 67 კომუნისტი, 29 კ. პ. კანდიდატი, 19 კომკავშირელი, 153 უპარტიო, აქედან 25 ქალია.

ჭელიაღელის, პატარა ონის და დადიშის თემსაბჭოებში არჩეულ იქნა 62 წევრი, მათ შორის 19 კომუნისტი, 4 კ. პ. კანდიდატი, 7 კომკავშირელი, 32 უპარტიო. აქედან 6 ქალია.

დასახელებულ თემსაბჭოებში არჩევნებში საშუალოდ მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 58 პროცენტმა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ექსპონატების გადასახადებიდან განთავისუფლება.

საგამოფენო კომიტეტმა ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გამოფენაზე სავაჭრო ოპერაციები განთავისუფლებულ იქნენ სახელმწიფო, სარეწაო გადასახადებისაგან და ადგილობრივი ამონაღებ-ამოსაკრეფისაგან.

მოსამზადებელი მუშაობა.

გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მოსამზადებელ მუშაობას შეუდგენ ადგილებიც.

ბაქოში მოწყობილ იქნა საგამოფენო კომიტეტი, რომელიც გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ორგანოებს.

თბილისის სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ წინა ნომრებში მოხსენებულ ორგანიზაციების გარდა, მონაწილეობას იღებენ ალმასკომის აგრონომიული განყოფილება, სასოფლო-სამეურნეო სკოლები, განათლების სახკომის ხელსაქმეობის სახელოსნოები და სხვ.

უცხოეთის ფირმები გამოფენაზე.

გრძელდება აგრეთვე უცხოეთის სხვადასხვა ფირმებიდან გამოფენაში მონაწილეობის მიღების შესახებ განცხადებათა მიღება. სავაჭრო წარმომადგენლობის ცნობით, გერმანიაში ექსპონატების გამოგზავნის სურვილი განუცხადებია 9 ფირმას; იქიდანვე მიღებულია 7 ნებართვა გერმანულ ექსპონატების შემოტანის შესახებ. აქც. საზ. „რუსავტორგ“-ი გამოფენაზე გზავნის ექსპონატებს ყველა განყოფილებისათვის. შვეციიდან, აღნიშნულ ფირმების გარდა, ექსპონატებს გზავნიან მექანიკური ქარხნები. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ამერიკულ ფირმებთან.

აბრეშუმის პარკის დამზადება

გასული საოპერაციო წლის განმავლობაში საქართველოში დამზადებული იყო 139.000 ფუთი აბრეშუმის ნედლი პარკი. აქედან ცეკავშირმა დაამზადა 81.287 ფუთი, საიდანაც გამოვიდა 26.000 ფუთი ხმელი პარკი. ამ რაოდენობიდან 22.600 ფუთი გასაღებულია საზღვარგარეთის ბაზარზე, მარსელში და მილანში.

მეაბრეშუმეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, შარშან დაარსდა მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი“, რომლის მიზანია მეაბრეშუმეთათვის კარგი ღირსების თესლის მიწოდება, ზომების მიღება აბრეშუმის პარკის დასამზადებლად და გასასაღებლად და ხელის შეწყობა მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის სათანადო ცოდნის გავრცელების და აუცილებელი პრაქტიკული ღონისძიებების გატარების გზით.

მიმდინარე წლის დამზადების კამპანიისათვის საზოგადოების მიერ 46 დამამზადებელი რაიონში მოწყობილია აბრეშუმის საშრობი ფარდულები და შეძენილია საჭირო ინსტრუმენტები და მასალები.

ამას გარდა საზოგადოება ადგილობრივი კოოპერატიული ორგანოების საშუალებით მეაბრეშუმეებს შეღავათიან პირობებში აწვდის საუკეთესო ღირსების თესლს. უკვე დარიგებულია 90.000 კოლოფი თესლი, აქედან 50.000 კოლოფი საზღვარგარეთელი და 40.000 კოლოფი ადგილობრივ დამზადებული თესლი.

მიმდინარე წელში დამზადებულ ნედლი პარკის რაოდენობა უდრის 130.000 ფუთს.

აბრეშუმის პარკის ოპერაციებს კრედიტებს აწვდის საქართველოს მთავრობა და საზღვარგარეთელი ფირმები; ამ უკანასკნელთა მიერ გაღებულ კრედიტების რაოდენობა ჯერ-ჯერობით უდრის 1.625.000 მანეთს.

აბრეშუმის პარკის შესყიდვა დასავლეთ საქართველოში დაიწყო 20 ივლისს, აღმოსავლეთ საქართველოში—25 ივლისს. საზოგადოება „აბრეშუმის“ მიერ ჯერ-ჯერობით ჩაბარებულია 104.500 ფუთი ნედლი პარკი.

დამზადებული პარკი გასაღებული იქნება მარსელის და მილანის ბაზარზე, სადაც გაიგზავნება 32—33 ათასი ფუთი ხმელი პარკი. დანარჩენი რაოდენობა გადამუშავებული იქნება ადგილობრივ და აბრეშუმის ძაფის სახით გასაღებული იქნება მოსკოვში ან ლიონში.

კომუნალური მეურნეობა

ელსადგურების დღით მუშაობა

ელექტრო მომწესრიგებელ სამმართველოს სადგურების დიდი ნაწილი დღისით არ მუშაობს; ე. ი. განზრახვა აქვს გადაიყვანოს რამდენიმე სადგური დღე-ღამის მუშაობაზე, ამ მიზნით სადგურები გადაკეთებულ იქნენ ცვალებადი ელდენის სადგურებათ და ვოლტაჟით დაუახლოვოს ზაჰეს-ს. ამ მუშაობის შესრულების შემდეგ ადვილად მოხდება ზაჰეს-ის ელდენზე გადასვლა.

დღიური ელექტროენერგიის მოთხოვნილება თბილისის წარმოება-დაწესებულებებში დიდია, ამ მოკლე ხანში უკვე დამთავრდა პირველი სადგურის გადაკეთება, რის შემდეგაც სადგური მუშაობს მთელი დღე-ღამის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ პირველი სადგურის ყველა აბონენტები, რომელნიც დღემდე სარგებლობდენ რუსთაველის თეატრის, პოლიგრაფტრესტის და სხვა ელექტროსადგურების დღიური ენერგიით, დღიური ენერგიის მოხმარებას დაიწყებენ პირველი სადგურიდან.

დღიური მუშაობისათვის პირველი სადგური დატვირთული იქნება სავსებით. 1925 წლის ოქტომბრის სანიმუშო ამუშავების დროს სადგურის დღიური დატვირთვა 60 კილოვატს უდრიდა.

ელექტრო-მომწესრიგებელ სამმართველოში კერძო პირებისა და სავაჭრო დაწესებულებებისაგან მოდის მრავალი განცხადება დღით მომუშავე სადგურის ელდენზე შეერთების შესახებ.

ტრამვაი

25 თებერვალს—საქართველოს გასაბჭოების დღეს—თბილისის ტრამვაის ხაზზე სამუშაოდ გამოუშვეს 10 ახალი ვაგონი. მარტის დამდეგისათვის სამუშაოდ გამოვა კიდევ 10 ახალი ვაგონი. ამ ახალი ვაგონების მთელი მოწყობილობა, რკინის ჩარჩოების გარდა, გაკეთებულია თბილისის ტრამვაის სახელოსნოებში.

ამ ვაგონების შემდეგ სახელოსნოებში შეუდგებიან კიდევ რამდენიმე ძველი ვაგონის განახლებას.

ამას გარდა ტრამვაის სამმართველოს მოსკოვის ქარხნებში შეკვეთილი აქვს ახალი კონსტრუქციის 20 მოტორიანი ვაგონი, რომელიც მიღებული იქნება თბილისში მიმდინარე წლის ივლისისათვის.

ერთი კვირის წინათ ტრამვაის მეურნეობამ მიიღო 30.000 ფუთი ლიანდაგი. ამჟამად ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა სწარმოებს უნივერსიტეტიდან ძველ სემინარიამდე, თავისუფლების მოედნიდან კოჯორის გზატკეცილამდე და დიდუბის სანერგიდან ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოსაწყობ ადგილამდე.

თათბირი სატყეო მეურნეობის საკითხებზე

5 მარტის სხდომა

ამიერ-კავკასიის პირველი სატყეო თათბირის სატყეო მრეწველობის სექციის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სატყეო მეურნეობის განვითარების საშუალებების შესახებ, გაკეთებულ მოხსენებების გარშემო.

დღეს სექციები მიიღებენ რეზოლიუციებს მოსმენილ 7 მოხსენების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ა. როსტოვცევის მოხსენება ხეების აღრიცხვის შესახებ, ამიერ-კავკასიის სატყეო მეურნეობაში და მისივე მოხსენება ამ.-კავ. სატყეო კოდექსების შესახებ.

კამათში ორატორები აღნიშნავდენ რესპუბლიკანურ კოდექსებში შესწორებების შეტანის აუცილებლობას, ადგილობრივ პირობების მიხედვით.

შემდეგ მოსმენილ იქნა საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების წარმომადგენლის ამხ. ნადარეიშვილის მოხსენება. მომხსენებლის აზრით, საქართველოს მთის ტყეები უნდა ჩაითვალოს, როგორც წყალდიდობისაგან დამცველი და საკურორტო მნიშვნელობის მქონე. მომხსენებლის აზრით, აუცილებელია ტყეების თანდათანობით გაშენება, სატყეო მეურნეობის გეგმაშეწონილად მოსაწყობად, ამასთანავე ქვეყნის რელიეფის და ჰავის თავისებურობათა გამო, აუცილებელია მსხვილი ტყის გაშენება.

ტყეების საერთო სივრციდან საქართველოში—1.646.100 დესეტინიდან—459,816 დესეტინა მოწყობილია, 190,975 დეს.—გამოკვლეული, ხოლო 995,369 დესეტინა—შეუსწავლელია.

საქართველოს ყველა ტყეების შესწავლას და მასთან ერთად ამ ტყეების გამოკვლევა—მოწყობის ყველა სამუშაოების შესასრულებლად ხუთის წლის საპერსპექტივო გეგმის თანახმად (ყოველ წლიურად 55,000 დესეტინის მოსაწყობად და 170,000 დეს. გამოსაკვლევად)—საჭირო იქნება ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წლიურად 70,000 მანეთი.

6 მარტის სხდომა

ამიერ-კავკასიის სატყეო თათბირის სატყეო სამეურნეო სექციის გუშინდელ დღის სხდომაზე სწარმოებდა კამათი საცდელ ტყეების (პროფესორ ქურდიანის და პროფესორ ვინოგრადოვ-ნიკიტინის მოხსენებები) და სატყეო მელიორაციის შესახებ (რომჩენკოს, ბრილის, გრიცენკოს, ზაკტრეგერის და ფირცხალაშვილის მოხსენებები).

კამათში აღნიშნულ იქნა, რომ ადგილების ტყით მოშენება რთულ სამუშაოს წარმოადგენს.

განხილულ იქნა საკითხი თუ რომელი ჯიშის ხეები უფრო გამოსადეგია ტყეების გასაშენებლად და სხვა.

სატყეო განყოფილების გამგე ბრეგვაძე შეეხო ტყეების გაჩეხისა და ტყეების განახლების საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ტყის განახლების სფეროში კარგად მოწყობილი ცდები არ ყოფილა; იყო მხოლოდ კერძო დაკვირვებანი.

სატყეო სამელიორაციო საქმის შესახებ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ ამ მხრივ მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ ვიწრო საუწყებო მასშტაბით. მომხსენებლის აზრით საჭიროა, რომ ისეთ სახალხო უბედურებასთან ბრძოლა, როგორიც არის ნიაღვრები სოფლად, მეწყრები რაჭა-ლეჩხუმში, დაყენებულ უნდა იქნეს სათანადო სიმაღლეზე მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს სატყეო მელიორაციის სპეციალისტების მომზადება.

პროფესორი **ქურდიანი** აღნიშნავს, რომ ტყის მოშენება წარმოადგენს დიდ სიძნელეს იმდენად, რამდენადაც ტყის მოშენების შედეგებს ვეცნობით 40-60 წლის შემდეგ. ამიტომ საჭიროა მეტად ფრთხილი მიდგომა ტყის მოშენების საკითხისადმი.

შემდეგ პროფესორი ამბობს, რომ ჩვენს თვალწინ თანდათან ქრებიან ტყეები. მაგალითად ვერის იქით მთებში ყრია დიდძალი ჯირკები, რომელიც ტყის დაუნდობელ გაჩეხის შედეგია.

საჭიროა, რათა 25 ვერსის რადიუსით არა მარტო თბილისის, არამედ ყველა მნიშვნელოვანი ცენტრების გარშემო მოეწყოს ტყის დაცვა. ქალაქების გარშემო მოშენებული ტყეები უნდა ჩაითვალოს დამცველ ტყეებათ. ტყის მოშენებას საჭიროა მიეცეს ისეთი მიმართულება, რომ მოშენებული ჯიშები სასარგებლო იქნენ.

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა

თათბირი

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება ა | კ.

15 მარტისათვის თბილისში იწვევს

ა | კ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირს

თათბირის დღის წესრიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან (კომპარტიის ც. კომიტეტების და კომკავშირის ა | კ. საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებების), გამომცემლობათა თანამოხსენებები.
2. პარტიის მორიგი ამოცანები ბეჭდვითი სიტყვის დარგში ამიერ კავკასიაში.
3. მუშა და გლეხ კორესპოდენტთა მოძრაობა.
4. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატთან არებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის შესახებ.
5. ბეჭდვითი სიტყვის წარმოებათა გავრცელება.
6. სატელეგრაფო ინფორმაცია (ა-კ. დეპეშათა სააგენტო)
7. სხვადასხვა.

თათბირზე მოწვეული არიან ამიერ-კავკასიის კომპარტიების ც. კ. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებების, კომკავშირის ა | კ. საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების, საქართველოს კომკავშირის ც. კ. არსებულ ბეჭდვითი სიტყვის სექციის, გამომცემლობათა და ამიერ-კავკასიის გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები პერსონალური გამოწვევით.

აღნიშნულ ორგანიზაციებს ევალება თავის დროზე გამოგზავნონ აუცილებელი საანგარიშო და სხვ. ცნობები თათბირის დღის წესრიგში წამოყენებულ საკითხებზე.

საკავშირო კომპარტიის ა-კ საოლქო კომიტეტის
ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება.

საბინაო მშენებლობა

შუამდგომლობა კრედიტების გადიდების შესახებ.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა და საბინაო-კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრეს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ გადასინჯული იქნეს 1926 წლის გრძელვადიანი კრედიტების გაწესრიგება-განაწილება ამიერ - კავკასიისათვის.

შუამდგომლობა აღძრულია იმ მიზნით, რათა გადიდებულ იქნეს გრძელვადიანი სესხის რაოდენობა საბინაო-სამშენებლო კოოპერაციისთვის 1 მილიონ 500.000 მანეთამდე და საბინაო - საიჯარო კოოპერაციისათვის 400.000 მანეთამდე. კრედიტების გაცემის გეგმის გადასინჯვა გულისხმობს აგრეთვე სესხის მიცემას ა.-კ. საბინაო კოოპერაციის კავშირებისათვის, თვითეულზე 150.000 მან. რაოდენობით ორი წლის ვადით.

ქუთაისის საბინაო ამხანაგობებში.

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ქუთაისის შალის ქარხნის მუშების საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობას სამშენებლო მასალის დასამზადებლად მისცა 2.000 მანეთი.

ქუთაისის რკინისგზელთა საბინაო-კოოპერატიულმა ამხანაგობამ დამხმარე კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 3 ათასი მანეთის სესხის შესახებ, რომელიც უნდა მოხმარდეს მუშათა ახალი სახლების მშენებლობას 1926 წლის განმავლობაში.

კოოპერატიულ საბინაო აღმშენებლობაზე დახარჯული თანხები თბილისში.

დღემდე კოოპერატიულ საბინაო აღმშენებლობაზე თბილისში დახარჯულია 353.000 მანეთზე მეტი.

აქედან საკუთარი, ამხანაგობათა საწევრო გადასახადებიდან შეგროვილი თანხა შეადგენს 49.500 მანეთს. ამ კაპიტალით გასულ წელს აგებულ იქნა 58 ბინა და ამ მოკლე ხანში დამთავრდება კიდევ 18 ბინის აგება.

საბინაო კოოპერაციის წარმომადგენელთა ყრილობა.

ა.-კ. საბინაო კოოპერაციის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 1 მარტისათვის, გადადებულია მიმდინარე 15 მარტისთვის.

საავტომობილო მიმოსვლა

ამიერ - კავკასიის საავტომობილო მრეწველობის სააქციო საზოგადოებას უცხოეთიდან გამოწერილი აქვს ოთხტონიანი ავტო-მანქანები. მანქანების პირველი პარტია 22 ავტომანქანის რაოდენობით, მიღებულ იქნება აპრილის შუა რიცხვებში. მეტი წილი ავტომობილებისა დამზადებულია ზაუერის პარკში.

მიღებული ავტომანქანები საექსპლოატაციოდ განაწილებულ იქნება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

ამ ჟამად „ზაკავტოპრომტორგი“ სახელოსნოებში ამზადებს მანქანების ზედა ნაწილებს უცხოეთიდან ამ თვენახევრის წინადმიღებულ 42 ავტობიუსისათვის.

ა-კ. საავტომობ. მრეწველობის სააქც. ამხანაგობას, გარდა ზემოხსენებულ მანქანებისა, გამოწერილი აქვს 4 ტონიანი ადგილობრივ სახმარი 22 ომნიბუსი, რომელიც თბილისში მიღებულ იქნება აპრილის დამდეგისათვის ჯერჯერობით გამორკვეული არ არის ამ ამნიბუსების ექსპლოატაციის ადგილი. ამხანაგობა „ზაკავტოპრომტორგი“-ს განზრახვა აქვს ხელშეკრულება დასდოს ავტობუსების გამოყენების შესახებ თბილისის და მის ახლო მდებარე ადგილებში მიმოსვლისათვის.

ვინაიდან თანდათან იზრდება თბილისში და თბილისს გარეთ მომუშავე ავტომანქანათა რიცხვი, „ზაკავტოპრომტორგის“ განზრახვა აქვს გაადიდოს პარკების რიცხვი. განზრახულია აგრეთვე მიმდინარე წლიდან გაიხსნას მიმოსვლა ახალ ტრაქტებზე. ამიერკავკასიის საავტომობილო ამხანაგობის 1926 წლის საიმპორტო გეგმაში შედის აგრეთვე შემოტანა ტაქსომატორების, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენში ხმარებაში არ შემოსულა.

უკანასკნელ წლის განმავლობაში ამიერკავკასიაში მომუშავე ტვირთმზიდ ავტო მანქანების რიცხვი ამიერკავკასიაში 200-დან—633-მდე ავიდა. თვითეული ავტო-მანქანის საშუალო მუშაობა თვეში უდრის—ამ ჟამად—148,7 ტონას; საერთო ტვირთ ბრუნვა—630 ტონას. მიმდინარე წლისათვის განზრახ. გადიდებულ იქნეს საავტომობილო მიმოსვლის ქსელი—1500 ვერსამდე—(„ზაკომესი“-ს) გეგმით).

სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევის ტარიფები

ამიერ-კავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკების სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოებს, რომ ორი თვის განმავლობაში მოახდინონ ყველა წარმოებების და დაწესებულებების მიერ შესატანი დასაზღვევ ანაბარების ხელახალი ტარიფიკაცია.

ხელახალი ტარიფიკაციის მიზანი არის, რომ აღკვეთილ იქნეს დაკანონებული ტარიფების გვერდის ახვევა და დარღვევა.

საექიმო დახმარება თბილისის ამბულატორიებში

თბილისის დამზღვევი კასის საბჭომ დაადგინა: მანამდე, ვიდრე გამომუშავებული არ იქნება ამბულატორიებში დაზღვეულთა საექიმო დახმარების ახალი წესები, დაზღვეულთა საექიმო დახმარება უნდა ეძლეოდეთ იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილ იქნება რომელიმე შემდეგი დოკუმენტთაგანი: დასაზღვევი წიგნაკი, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ან სამსახურის ადგილის მიერ გაცემული მოწმობა.

ახალი დისპანსერი

ამ მოკლე ხანში თბილისის ჯანმრთელობის დაზღვეულთა დახმარების ქვეგანყოფილება ელისაბედის ქუჩაზე ხსნის ტუბერკულიოზის დისპანსერს, რომელსაც გამოკვლევების საწარმოებლად ეყოლება განსაკუთრებული შტატი.

სანატორული დახმარება

სოციალური დაზღვევის მთავარმა სამმართველომ მომავალ საზაფხულო სეზონისათვის აფხაზეთის ჯანსახ. კომისარიატისაგან იჯარით აიღო გაგრის სანატორიუმი, რომელსაც 150 საწოლი აქვს. ამჟამად გაგრა, ჭაობების დაშრობის გამო, აღარ წარმოადგენს ძველებურად ციებ-ცხელებიან ადგილს. ჯერ კიდევ 1923 წელს, როდესაც ჭაობების დაშრობა დამთავრებული არ იყო, მალიარიით დაავადმყოფებულთა რიცხვი 2 პროცენტამდე დავიდა. უკანასკნელ ხანებში მალიარიით დაავადმყოფებას ადგილი აღარ აქვს.

წელს გაგრაში გაიგზავნებიან პირველი სტადიის ჭლექიანები და ჭლექის მხრივ საეჭვო ავადმყოფები. მთელი სეზონის განმავლობაში გაგრის სანატორიუმში გატარებული იქნება სულ—600 ავადმყოფი.

გამომგონებელთა ბიუროში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გამომგონებელთა ბიუროში ამ უკანასკნელ დროს შემოვიდა მრავალი განცხადებები გამოგონებათა შესახებ.

შემოსულ განცხადებების მიხედვით მოქალაქე პარას გამოუგონებია ფაიფურის მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელი ხდება ელექტრონის ლამპების ისე მიმაგრება, რომ შეუძლებელი იქნეს მათი თავისთავად მოხსნა ან მოპარვა.

ილინის და ლახოშინსკის წარმოუდგენიათ ორი პროექტი: 1-ლი—ახალი სისტემის პაპიროსის საკეთებელი, მეორე—ფერადი კინემატოგრაფიის მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელია ნატურალურ ფერების გადაღება. ყველა ეს გამოგონებანი ჯერ კიდევ სერიოზულ შემოწმებას საჭიროებენ.

სხვა გამოგონებათა შორის აღსანიშნავია ხის ლიანდაგი ავტომობილების მიმოსვლისათვის, ელექტრონის ნაკადის ლენტისებურ კონდენსატორის მოდელი, თამბაქოს ავტომატიურად შესარევი ხელსაწყო და სხვა.

დაბოლოს, მოქ. დვალიძეს წარმოუდგენია მექანიკური საფურთხებლის პროექტი.

ყველა ეს გამოგონებანი განხილული იქნება სპეციალისტების მიერ და მოწონების შემდეგ გადაიგზავნება ცენტრში პატენტის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

ურგები ამხანაგობა
(ზანძა, ხონ. მ.)

უკვე ორი წლისთავი იქნება, რაც ზანძის თემში დაარსებულია სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა. რამდენათ პირნათლად ასრულებს ეს ამხანაგობა თავის მოვალეობას, სხვათაშორის, შემდეგ ფაქტიდანაც სჩანს. გლეხი ანდრო კეკელია, რომელიც წევრია ამ ამხანაგობის, ითხოვს სესხს. მას 1925 წლის აპრილში უხსნიან ასი მანეთის კრედიტს. მაგრამ დაპირება დაპირებათვე რჩება.

კეკელიას დასჭირდა მუშა-პირუტყვის შესაძენათ 30 მან. თხოვნაზე უარით უპასუხეს. ეს იყო აპრილში. მიზეზათ ფულის არქონობა დაასახელეს, განმეორებით მიმართა კეკელიამ ფულისათვის მაისში—ისევ უარით და იმავე პასუხით გამოისტუმრეს. კიდევ მიაკითხა გლეხმა სესხს ივანობისთვეში—შედეგი მაინც იგივე დარჩა. მივიდა ივლისში—კიდევ უარი, აგვისტოში—მაინც უარი.

ამნაირათ ხუთი თვე იარა სესხის მისაღებათ გლეხმა ამხანაგობაში და ყოველთვის გაწბილებული ბრუნდებოდა უკან. ამავე დროს გამგეობა მოურიდებლათ აწარმოებდა სესხის გაცემას ზოგიერთ რჩეულ პირებზე, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სოფლის მეურნეობასთან ისეთივე კავშირი ჰქონდათ, როგორც თხას აფთიაქთან.

მოთმინება დაკარგული გლეხი სწერს განცხადებას საკრედიტო ამხანაგობიდან გასვლის შესახებ. გამგეობის თავმჯდომარე თავსაც არ იწუხებს იმის გამოსარკვევათ, თუ რამ აიძულა გლეხი ამხანაგობიდან გასულიყო და ერთი ხელის მოსმით სწერს რეზოლიუციას: „გამორიცხულია წევრობიდან".

ზანძის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას კიდევ შესწევს გამბედაობა სთქვას ამის შემდეგ, რომ სოფლის მეურნეობის აყვავებას ემსახურება?.

წორი.

ნუ დაკეტავთ კოოპერატივს
(ს. გორმაღალი, გურია)

წარსულ შემოდგომაზე ჩვენს სოფელში ნაკვეთაოს ეპომ გახსნა კოოპერატივის განყოფილება. იმის გამო, რომ ჩვენი კოოპერატივი მოხდენილ ადგილას არის, მას ვაჭრობა კარგი აქვს. ეს გარემოება კი ზოგიერთ ვაჭრებს მოსვენებას არ აძლევს. მათ უნდათ, როგორც გავიგეთ, მოხსნან ჩვენს სოფელში კოოპერატივი და ცარიელზე დასვან. გორმაღალში სხვა კულტურული დაწესებულება არ არის. ერთად-ერთი საფუძველი, რომელმაც უნდა გამოიწვიოს კოოპერატივის დაკეტვა, იქნება დეფიციტიანობა. ამ შემთხვევაში, ჩვენ რაღა გვეთქმოდა, მაგრამ, საბედნიეროთ, ეს ასე არა არის. როცა კოოპერატივი მოგებას იძლევა მისი დაკეტვა და ისიც ისეთ სოფელში, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას, დიდი უსამართლობა იქნებოდა. საქვეყნოს ეპოს არც ერთი განყოფილება არ აბრუნებს იმდენს თანხას, რამდენსაც გორმაღალის კოოპერატივი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოოპერატივი არ არის მარტო ეკონომიური ხასიათის ორგანიზაცია, მას კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ცეკავშირი მიაქცევს ყურადღებას ჩვენს თხოვნას, და არ დაგვიკეტავს კოოპერატივს, რომელიც ყოველთვიურათ მოგებას იძლევა.

ხელს აწერს 83 გლეხი.

დააჩქარეთ თესლის მოწოდება
(გალის მაზრა)

ამ დღეებში სოფლებში იყო გაგზავნილი აგრონომი ამხ. მიქავა, რომელმაც გააცნო გლეხობას ბამბის მოყვანის მნიშვნელობის საკითხი, ამ საკითხს გლეხობა დიდის ყურადღებით შეხვდა, სოფელს განზრახული აქვს დათესოს რამოდენიმე დესეტინა ბამბა. ახლო მომავალში დამთავრდება ბამბის ქარხნის აშენებაც.

ბამბის მომყვან საზოგადოებას მოუვიდა რამოდენიმე პარტია მანუფაქტურა გლეხებზე დასარიგებლად. გლეხობა კმაყოფილია ბამბის ფასებით. საჭიროა თესლის მალე მიწოდება, რათა არ დაგვიანდეს თესვა.

ბაქეც.

უექიმოთ ვართ
(ს. ბერეთი, ტყვიავის თ., გორ. მ.)

სოფელი ბერეთი 8 ვერსით არის დაშორებული თემზე. დიცის და ტყვიავის თემში კი ერთი საექიმო პუნქტია. ამ საექიმო პუნქტს ჩვენი სოფლის გლეხობა ვერ იყენებს. ექიმი ვერ აუდის 4000 კომლ გლეხებს.

ამას წინად ჩვენს სოფელში უბრალო გაცივების ნიადაგზე ცუდათ გახდა წითელი ჯარიდან დაბრუნებული, ენერგიული ახალგაზრდა გიორგი ბაიაძე. მივმართეთ საექიმო პუნქტს ტყვიავში. ექიმი ვერ მოვიდა ადგილობრივ ბერეთში. შევაბით ურემი და წავიყვანეთ ავადმყოფი ტყვიავის საექიმო პუნქტში. მანამ ეს ურემი რვა ვერსს გაივლიდა სამი საათი გავიდა. გზაში ამოვარდა ქარ-ბუქი და თოვლი. ავადმყოფი უფრო გაცივდა. უკან დაბრუნებისას სიცივე ზედ დაერთო და სახლში დაბრუნების მეორე დღეს ამხ. ბაიაძე მოგვიკვდა.

საჭიროა ამიტომ ჩვენს კუთხეში დაინიშნოს საკუთარი ექიმი.გლეხები სიამოვნებით ეცდებიან ბინის და სათანადო ავეჯეულობის შეძენისათვის.

გიორგი კაპანაძე.

სამნი არიან, ტოლნი არიან
(დიღომი, თბ. მ.)

დიღომის თემის უფროსი ტყისმცველი ხერგო წიკლაძე და მისი ხელქვეითი ქობულაშვილი იმდენათ ნამუსგატეხილი ხალხია, რომ მათ პატიოსანი კაცი ტყეს კი არა, ორ ბატსაც არ მიაბარებს მოსავლელათ. ისინი იმდენად ტყეს არ სდარაჯობენ, რამდენადაც საკუთარ ჯიბის და კუჭის ინტერესებს. ბედმა მოხედა ამ ორ ძნელ პიროვნებას და საკრებ ფარად სოფელი კორათხევი არგუნა.

მოსდევს შარი ამ სახალხო ქონების „გულ შემატკივარ" დარაჯებმა კორათხეველ გლეხებს და ჯარიმის სახით უფროს მცველმა მსუქანი ბატკანი წაიდენა, ხოლო მის ხელქვეითმა ნატურით დაკმაყოფილება არ ინება და ხუთი მანეთი ხალასი ფული ჩაიჯიბა. ეს, ასე ვსთქვათ, დასაწყისი იყო. შემდეგ და შემდეგ „ერთგული" დარაჯები უფრო გათამამდენ.

მონადირეთ იარაღის უქმად ტარება. ტყეში შეიძლება კბილგასაკრავი ნადირი რამე მოეძებნათ. მაგრამ წიკლაძე და ქობულაშვილი განა ამისთვის თავს შეიწუხებდენ. მაშინ კორათხეველი ქათმები რის მაქნისი არიან, და აი, ორი დარაჯი ესხმებიან თავს ზაქარია წიკლაურის ოჯახს და ორ ყვირცხის მდებელ დედალს თოფებით ზედ კარებზევე აცივებენ.

შეშინებული ქალები და ბავშვები ხევში გადაცვივდენ. დარაჯებმა კი სიცილ-ხარხარით ჩაიარეს. რამ დაგაფრთხოთ, ტუტუცებო, მონადირენი არ გინახავთ?!. რა ეშველებოდა დიღომის ტყეებს, რომ ასეთი ერთგული მცველები არ ჰყოლოდათ. ხომ გაანადგურებდენ მათ ძირ-ფესვიანათ კორათხეველი მხეცი ქათმები.

ტყუილია, ჩვენს დარაჯებს პირის გემოს ვერავინ დაუწუნებს. ცხვარი და ქათამი ხომ გემრიელია და გემრიელი, მაგრამ ეს რაც შეეხება ხორციელს. ხოლო საჭირო იყო ყელის გასასველებელი რამე. ქართველი კაცი ხომ უმისოთ პურის ჭამათ არ დაჯდება. ეს ნაკლი შეავსო ავჭალის სატყეოს დარაჯმა ვანო მჭედლურმა. ის დაპირდა გლეხ ნიკო თეთრაშვილს მთელ ზამთარში ძროხების გამოკვებას ნაკვეთ სახელმწიფო ტყეებში და საფასურად გამოართვა შვიდი ჩარექა არაყი და ორი ვედრო ღვინო.

ამას გარდა ქათმებზე მონადირე სოლიკო ქობულაშვილმა ქვრივ დედაკაცს, რომლის ქალიშვილსაც ტყიდან გამოტანილი ხმელი ფიჩხები დაუჭირა, ჯილდოთ ერთი ქილა თაფლი გამოართვა."

მიწათ-მოქმედების კომისარიატს ალბათ გული საგულეში აქვს. მას დიღომის ტყეები სამედო მცველების ხელში ჰგონია. აშოროს „ღმერთმა" ასეთი მცველები მშრომელი ხალხის ყოველგვარ ქონებას.

ციცხვი.

სინათლისაკენ
(ს. რუსაანთი, გორ. მ.)

სოფელი რუსაანთი მდებარეობს ლიხის მთის კალთაზე სურამის დასავლეთით. დღემდი ჩვენს სოფელში ვერ ნახავდით ვერც ერთ ხელის მოწერის მცოდნე გლეხს. განცხადებების დაწერა თუ დასჭირდებოდა გლეხს, ან მახლობელ სოფელში უნდა წასულიყო ან და სურამში. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება მთავრობამ და დაარსა რუსაანთში წ.-კ. სკოლა.

21 მოსახლესაგან სკოლაში დადის მოზრდილი კაცები და ქალები 80 სული. ყველა დიდი აღფრთოვანებით შეეგება სკოლის გახსნას და მეცადინეობა სისტემატიურათ მიმდინარეობს.

ეხლა იშვიათად ნახავთ აქ ისეთ ოჯახს, სადაც წერა-კითხვა ერთმა ან ორმა არ იცოდეს.

ტეზერელი გიგო.

მეტი ყურადღება სოფლის მუშაკთა მდგომარეობას
(წერილი ს. თავასიდან, შორ. მ.)

თავასის თემში 400 მეკომური ცხოვრობს მათ შორის ას მეკომურს გამოწერილი აქვს გაზ. „ახალი სოფელი" და ხელის მოწერა კიდევ გრძელდება.

წინად გლეხის ქალი სამმართველოს ეზოში არ გაივლიდა, ესხვენოდა; დღეს საზოგადო კრებებზე აქტიურ მონაწილეობას იღებს და მსჯელობს.

დღევანდელი გლეხობა წინ მიიწევს როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ და პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩვენი ხელისუფლება და კომპარტია ცხოვრებაში ატარებს ამხ. ლენინის ანდერძს—ჩვენ უნდა შევსძლოთ სამი ამოცანის შესრულება: პირველი სწავლა! მეორე სწავლა და მესამე კიდევ სწავლა! ამ მხრით დიდი მუშაობა სწარმოებს, მაგრამ ნაკლულევანებანი მაინც კიდევ ბევრია. რა არის ამის მიზეზი? პასუხი მარტივია; სოფლებში იშვიათად შეხვდებით ექიმთან მასწავლებელს, ექიმს აგრონომს და სხვებ. და თუ არის, მასაც პირი ქალაქისაკენ აქვს. რატომ? იმიტომ, რომ სოფლად მუშა-მოსამსახურის ნივთიერი მდგომარეობა ძალიან ცუდია. შრომა უამრავია დაფასი კი დაბალი.

გლეხმა არ იცის საათობით მუშაობა; ის მიდის ექიმთან, აგრონომთან, მასწავლებელთან, ქოხ-სამკითხველოს გამგესთან, აღმასკომის თავმჯდომარესთან, ან სხვასთან და უუბნება დახმარებას; მათ არ აქვთ ზნეობრივი უფლება გლეხს საქმე მეორე დღისთვის გადადოს. ამრიგათ ან უნდა მოიმდუროს გლეხი, ან უნდა ზედმეტი საათები მუშაოს. ამას ერთვის კიდევ მათი სხვადა სხვა დარგში მუშაობა და ამრიგათ ნაცვლად 6-8 საათის სამუშაო დღისა, სოფლის ინტელიგენტს ზოგჯერ 16 საათი უხდება მუშაობა. ჯამაგირს კი ძალიან მცირეს იღებს და იმასაც დიდი დაგვიანებით.

სოფლის ქ.-სამკითხველოს გამგე ხომ ყველაფერია თემში, თუ ის მუყაითი ადამიანია. თემის პოლიტგანათლების ცენტრს ქ.-სამკითხველო წარმოადგენს და ყველა კულტურული და სამეურნეო სექციები აქ იყრის თავს. ქ. სამკითხველოს გამგემ, უნდა დაალაგოს სამკითხველო ახალ სისტემაზე, შექმნას და ჩამოაყალიბოს სხვადასხვა სექციები, აწარმოოს ჩუმი და ხმა-მაღლა კითხვა, წიგნების გაცემა, მოაწყოს ცნობათა მაგიდა და გლეხების ექსკურსიები. უნდა გაეცნოს ყოველდღიურ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს და აწარმოოს მიწერ-მოწერა. მანვე უნდა დაარსოს ქ.-სამკითხველოებში წითელი კუთხეები და სხვა.

ყველა ამათი ხელმძღვანელობა ცარიელი ხელებით არ შეუძლია და საჭირო თანხა კი არსაიდან არის. ამრიგად, ქ.-სამკითხველოს გამგეს დღე და ღამეში არა ნაკლებ 16 საათი უხდება მუშაობა.

რას ღებულობს ამის ჯილდოთ?

მაგალითად, შორაპნის მაზრაში ქ.-სამკითხველოს გამგეების ხელფასი 10 მანეთიდან 15 მანეთს არ ასცილებია. წარსულ წელს პირდებოდა პოლიტგანის გამგე, რომ დაბალი მასწავლებლის ჯამაგირი დაგენიშნებათო. ენკენისთვეში კი დაასწყვიტეს თვიურად 20 მანეთი, ოქტომბერში მოაკლეს 5 მანეთი, ეხლა ხუთი თვეა ეს ფულიც არ მიუღიათ სამკითხველოს გამგეებს და წარსულ თებერვალში კი მოვიდა ცნობა: „პირველ ოქტომბრიდან 1925 წ. ქ.-სამკითხველოს გამგეებს მიეცემათ თვიური ხელფასი 11 მანეთი და 88 კაპეიკი".

„თვით არ იყო ძმარი და შიგ გაურიეს წყალიო", ასე დაემართა მექოხვებს, ასე ჩამოაკლეს სხვა დარგის მოსამსახურეებსაც. მაგრამ მათ კიდევ დარჩათ ცოტაოდენი და ქ.-სამკითხველოს გამგეებს კი სულ აღარაფერი. მე ვერ წარმომიდგენია 11 მ. 88 კ. როგორ უნდა იცხოვროს ცოლშვილიანმა ადამიანმა.

ამ მოვლენას დროზე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და სოფლის მუშა-მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ და კომპარტიამ ბევრ ფრონტზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვა, და ვფიქრობთ, რომ ის მიიღებს შესაფერის ზომებს სოფლის მუშა-მოსამსახურეების და, კერძოთ, პოლიტგანათლების დარგის მუშაკების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

პლატონ ცინცაძე.

სოფლის ქრონიკა

— ტელეფონი. სოფ. ტრაუნბერგში (თბ. მაზრა) გერმანელთა ახალშენს თავისი ხარჯით გაჰყავს ტელეფონი.

— ქუთაისის აღმასკომმა ადგილობრივ მომხმარებელ ამხანაგობას გადასცა ორი მოწყობილი ფურნე.

— დუშეთის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით სოფ. მჭადიჯვრის 4 წლედ შრომის სკოლას ამიერიდან ეწოდება „1905 წლის რევოლ. სახელობის სკოლა".

— ტყის დაცვა. ქუთაისის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება მაზრის ტყეების დაცვის შესახებ.

— 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ლეჩხუმში გაიხსნება ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის საბავშვო ბაღი.

რადიო მშენებლობა

თბილისის ფართო რადიო-მოამბე სადგურისათვის

ამიერ-კავკასიის საოლქო კავშირის სამმართველომ უკვე გადასცა 115 ათასი მანეთი ა.-კ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას, რომელსაც დავალებული აქვს სადგურის აშენება. ამ ორ დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების ძალით ფართო მოამბე რადიო-სადგური შეკვეთილი უნდა იქნეს ამერიკაში ცნობილ ამერიკული რადიო-მშენებელ ფირმის „ვესტერნ - ელექტრიკ - კომპანი"-ს ქარხანაში.

ამერიკიდან მიღებული პრეისკურანტის მიხედვით ფართო რადიო-სადგური მთელი მოწყობილობით (აპარატებში მოწყობილი იქნება ბით (პარატები მოწყობილი იქნება თბილისში, ბათომში, სოხუმში, ცხინვალში, ბაქოში და ერევანში) დაჯდება სულ 230.000 მანეთი. ა.-კ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას უკვე მოლაპარაკება ჰქონდა ზემოხსენებულ რადიომშენებელ ფირმასთან, რომელიც კისრულობს სადგურის ჩამოტანას—ფრანკო—ბათომში. სადმოტანას — ფრანკო-ბათომში. სადგურის და მის ყოველგვარ მოწყობას დასჭირდება 5 თვე. ამგვარად სადგური მიღებულ იქნება თბილისში სექტემბრის შუა რიცხვებში.

საოლქო კავშირის ცნობით, თბილისის სადგური თუმცა ისეთი მძლავრი არ იქნება, როგორც კომინტერნის სახელობის სადგური მოსკოვში, მაგრამ გადაცემის მხრივ თავის რაიონის ფარგლებში, მოსკოვზე ნაკლები არ იქნება.

რადიო-სადგურები საგარეჯოსა და ნავთლუღში

საგარეჯოს მიმღები რადიო-სადგურის სამი შენობის აგება შავად უკვე დასრულებულია. ამ მოკლე ხანში დაიწყება მეოთხე შენობის აგება. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ სადგურისათვის აპარატები, ხელსაწყოები და მანქანები შეკვეთილი აქვს სუსტ დენის ტრესტს.

ამჟამად ახალ დიდძალოვან რადიო-გადამცემ სადგურზე შენდება ე. წ. [illegible]—ხის დიდი კოშკი, რომლის [illegible] არის 100 ძალოვანი დინამო-მანქანის [illegible]. ამავე სადგურზე იდგმება ძალოვანი რადიო-გადამცემი აპარატის (20 კილოვატიანი) ნაწილები.

საგეგმო კომისიაში

საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება ახალციხეში

საგეგმო კომისიამ საჭიროდ და მიზანშეწონილად სცნო საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება ახალციხეში.

აფხაზეთის საცდელი სადგურის შესახებ

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ აფხაზეთის (სოხუმის) საცდელმა სადგურმა დაარსოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში განყოფილებები, მაგ. მემინდვრეობისა, მევენახეობა-მეღვინეობისა, მესაქონლეობისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღის შემოღება-შერჩევის, რათა საცდელი სადგურის მიღწევები დაუახლოვდეს სოფლის მოსახლეობას, მცენარეთა აკლიმატიზაციასთან ერთად.

ამ მიზნით დაევალა: აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს შეადგინოს აფხაზეთის საცდელ სადგურის რეორგანიზაციის და მის ფუნქციათა გაფართოვების სათანადო გეგმა, საგეგმო კომისიაში წარმოსადგენათ.

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარს დაევალა მოიწვიოს თბილისში სასოფლო-სამეურნეო საცდელ საქმეებზე სრულიად საქართველოს თათბირი.

აჯამეთის არხის მოწესრიგება

საგეგმო კომისიამ განიხილა წყალთა სამმართველოს შუამდგომლობა აჯამეთის არხზე არსებულ კაკაურიძეების წისქვილის ალების შესახებ. ხსენებული წისქვილი ხელს უწყობს არხის ლამით ამოვსებას და აფერხებს მის გაფართოვებას, რაც აუცილებელია სარწყავ ადგილების სივრცის გადიდებისათვის.

წინადადება მიეცა წყალთა სამმართველოს დაუყონებლივ შეუდგეს აღნიშნულ არხის ლამისაგან გაწმენდას და საერთოდ ხის მოწესრიგებას.

წილკანის წყალსადენის აღდგენა

საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო წილკანის წყალსადენის აღდგენა.

წინადადება მიეცა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, წარმოადგინოს დაწვრილებითი დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელი ვარიანტი უფრო ხელსაყრელი იქნება წყალსადენის აღსადგენად.

სახალხო მეურნეობის აღსადგენათ

საგეგმო კომისიამ განიხილა 1926 წ. იანვრის კონიუნქტურული მიმოხილვა და საჭიროდ სცნო გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამ თავითვე იქნეს მიღებული სათანადო ზომები სიღნაღის მაზრაში მინდვრის თაგვების წინააღმდეგ, რომლებმაც ყოველგვარი ზიანი კიდევაც მიაყენეს შემოდგომის ნათესებს.

ბ) წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო სექციას შეისწავლოს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად და წარმოადგინოს ორი კვირის განმავლობაში დაწვრილებითი მოხსენება იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა მოწესრიგდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ბამბის კომიტეტის მუშაობაში ის პრინციპიალური წინააღმდეგობანი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ბამბის კამპანიის ჩატარებას.

გ) დაევალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიიღოს სათანადო ზომები იმის წინააღმდეგ, რომ თამბაქოს მრეწველობის პროდუქციის შემცირებას აღარ ექნეს ადგილი გილზებისა და მუნდშტუკის ბაბინის საჭირო რაოდენობის უქონლობის გამო და თანაც წარმოადგინოს საგეგმო კომისიაში მოხსენება ამ ზომებისა და დასახელებულ მრეწველობის არსებულ მდგომარეობის შესახებ.

სამეცნიერო დაწესებულებებში

ისტორიულ - ეთნოგრაფიული საზოგადოებაში

როგორც უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, მცხეთის რაიონი წარმოადგენს არქეოლოგიური ნაშთებით უხვ მიდამოებს.

ქართულ ისტორიულ - ეთნოგრაფიულ საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს კვლავ განაგრძოს ამ მიდამოებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

ზაჰესის მთავარი საგუბარის დამთავრების შემდეგ მოსალოდნელია მტკვრის კალაპოტში საგუბარს ზევით წყლის იმ დონემდე შეგუბება, რომ სავსებით დაიფარება მცხეთის ქვევით მდებარე მიდამოები, სადაც მრავალი არქეოლოგიური ნაშთები მოიპოვება.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება, ქართული ისტორიულ - ეთნოგრაფიულ საზოგადოების საბჭომ დაადგინა: დაუყოვნებლივ შეუდგნენ არქეოლოგიურ გათხრებს პირველ ყოვლისა ამ მიდამოებში, რომელიც ამ მოკლე ხანში წყლით უნდა დაიფაროს, რის შემდეგაც, რასაკვირველია, ყოველგვარი არქეოლოგიური კვლევა ძიება შეუძლებელი გახდება.

ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ პირველ რიგში სდგას არქეოლოგიური გათხრები მცხეთის დანარჩენ რაიონებში, სადაც აქა-იქ უხვად არის გაბნეული უძველესი დროის სამარხები. არქეოლოგიური გათხრების წარმოება დაკისრებული აქვს ისტორ.-ეტნოგრაფ. საზოგადოების არქეოლოგიურ სექციას.

არქეოლოგმა ნიორაძემ დაამთავრა კირსანის ხევში აღმოჩენილი სამარხების რესტავრაცია (აღდგენა). ამ მოკლე ხანში საქართველოს მუზეუმში მოეწყობა კირსანის ხევის სამარხების გამოფენა, რომლის გახსნასაც წაუმძღვარება არქეოლოგ ნიორაძის მოხსენება.

ქართულ ენათმეცნიერების საზოგადოებაში

ქართულ ლინგვისტურ საზოგადოებაში ამ ჟამად სწარმოებს აფხაზური ენის შესწავლა. რამდენიმე თვის წინად სახალხო განათლების კომისარიატის მიერ აფხაზეთში გაგზავნილი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აკ. შანიძე ადგილობრივი კილოკავების შესასწავლად.

გარდა აფხაზური ენის შესწავლისა, ქართულ ენათმეცნიერების საზოგადოების პროგრამაში შედის სხვა კავკასიურ ენების შესწავლა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინა აზიის და ახლანდელ აღმოსავლეთის ისტორიის გამოკვლევისათვის.

ქართულ ენათმეცნიერების საზოგადოებაში მუშაობენ ცნობილი ქართველი და კავკასიელი მეცნიერები.

ქრონიკა

გერმანიის კონსული ზაჰესზე

დღეს ამიერ-კავკასიის ახლად დანიშნულმა გერმანიის გენერალურმა კონსულმა და საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა დაათვალიერეს ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური.

ფონდი მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად

1 მარტისთვის მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში საქართვ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ გადასდვა 74.000 მანეთი. პროფკავშირთა საბჭოს კომისიის ცნობის მიხედვით ეს ფონდი განაწილებულია შემდეგნაირად: საბინაო აღმშენებლობაზე 45.000, კულტურული მიზნებისათვის 29.000 მანეთი. ეს თანხა გადადებულია მიმდინარე წლისათვის.

ფართალი ა/კავკასიისათვის

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა ხელშეკრულება დასდო საფეიქრო სინდიკატთან, რომლის თანახმად უკანასკნელი მოვალეა მთელი წლის განმავლობაში მიაწოდოს კოოპერატიულ ორგანიზაციებს 120 ვაგონი ფართალი.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის ცნობით კოოპერატიული ორგანიზაციები ყოველთვიურად ამ ხელშეკრულების თანახმად იღებენ ათ-ათ ვაგონ ფართალს.

შაქრის მიწოდების საქმე

მიმდინარე წლის განმავლობაში შაქრის ტრესტი ა/კავკასიას თავისი განყოფილებების საშუალებით მიაწოდებს შაქარს 1.900.000 ფუთის რაოდენობით.

ამ რაოდენობიდან თბილისის კანტორა მიიღებს საქართველოსა და სომხეთისათვის 1000 ვაგონს.

ცეკავშირის 10 წლისთავი

ა. წ. მაისში სრულდება ცეკავშირის არსებობის ათი წლისთავი. ამ დღისთვის მას განზრახული აქვს დააგროვოს მასალები საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.

ნარმის მიღება

ცეკავშირმა ა.-კ. კოოპ. კავშირიდან შეიძინა 350 ათასი იარდი საზღვარგარეთული ნარმა, რომლიდანაც უკვე მიიღო და გაანაწილა კოოპერატივებს შორის 275 ათასი იარდი.

პროცენტების დაწესება ფართალზე

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ ყველა მოკავშირე კოოპერატივებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლის მიხედვით რკინისგზებთან ახლო მდებარე კოოპერატივებს ნება ეძლევათ დაადონ ფართლის ფასს 19 პროც., 25 ვერსით დაშორებულ კოოპერატივებს—20 პროც., 50 ვერსით დაშორებულთ—21 პროც. და 50 ვერსზე მეტით დაშორებულთ—22 პროცენტი.

რამდენი ხორცი ესაჭიროება თბილისს

20-დან 1 მარტამდე თბილისში დაუკლავთ: 616 ხარი, 84 ძროხა, 106 კამეჩი, 886 ცხვარი, 86 ბატკანი და 481 ღორი.

წითელი მილიციონერების გამოშვება

12 მარტს მოხდება წითელ მილიციონერების მეორე ჯგუფის საზეიმო გამოშვება.

მილიციის სკოლა დაამთავრა 40 კაცმა; აქედან უმრავლესობა დაგზავნილი იქნება თბილისის სხვადასხვა რაიონებში უმცროს მილიციონერებად.

საზეიმო გამოშვების დღეს საბურთალოზე გაიმართება მილიციის აღლუმი.

თბ. აღმასკომში

◆ ქალაქის კეთილმოწყობა. მიმდინარე საბიუჯეტო წლის სამი თვის განმავლობაში აღმასკომმა ქალაქის კეთილმოსაწყობათ დახარჯა 155.118 მან.

◆ სამოსახლო ადგილები. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში თბ. აღმასკომთან არსებულ მიწის განმანაწილებელმა კომისიამ დააკმაყოფილა 68 თხოვნა ახალი სახლების ასაგებათ მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ.

◆ მაზრის კეთილმოწყობა. თბილისის მაზრის კეთილ მოსაწყობათ გასულ წელს აღმასკომმა დახარჯა 86.729 მან.

◆ ახალი ლიანდაგი. ტრამვაის სამმართველოს ამჟამად თავისუფლების მოედნიდან ფუნიკულიორამდე გაყავს ტრამვაის ლიანდაგის მეორე ხაზი

სოციალურ დაზღვევის სამმართველოში

◆ ღამის სანატორიუმი. სოც. დაზღვევის სამმართველომ თბ. დამზღვევ სალაროს დაავალა შეადგინოს თბილისში ღამის სანატორიუმის ასაგები ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ წყალტუბოს გზების გასაყვანათ სოც. დაზღვევის სამმართველომ, რომელმაც წელს იქ ააგო მუშათა დასასვენებელი სახლები, მთავარ საკურორტო სამმართველოს გადასცა 15 ათასი მან.

◆ შრომით დასახიჩრებულები. სამმართველოს ცნობით, გასულ წელს დამზღვევ სალაროების უზრუნველყოფაზე, მთელ საქართველოში ირიცხებოდა 1587 შრომით დასახიჩრებული.

◆ აფთიაქები. სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, საქართველოში ამჟამად ითვლება 194 აფთიაქი, საიდანაც დაზღვეულებს ეძლევათ უფასო წამლეულობა.

◆ დროებით შრომის უნარდაკარგულებს გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლათ მთელ რესპუბლიკაში გასულ წელს მიეცათ 1.532.917 მანეთი.

◆ სანატორიუმებში რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან გასულ წელს გაგზავნილი იქნა 1013 დაზღვეული.

დამზღვევ სალაროში

◆ დახმარება უმუშევრებს. თებერვალში დამზღვევმა სალარომ დაზღვეულ უმუშევრებზე დახმარების მიზნით გაიღო 13.535 მან.

◆ დასაზღვევი პროცენტების თავის დროზე შემოუტანლობის გამო სხვადასხვა დაწესებულებებიდან ჯარიმის სახით სალაროს შემოუვიდა 1009 მან.

სატყეო ტრესტში

◆ შპალების დამზადება. სატყეო ტრესტი ამჟამად ა/კ. რკინისგზების საჭიროებისათვის მარელისის სატყეოებში ამზადებს 25.000 ცალ შპალს.

◆ გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნის საჭიროებისათვის სატყეო ტრესტი, კახეთის სატყეო რაიონში ამზადებს 10.000 კუბ. ფუტ. წიფლის მორებს.

სხვადასხვა

◆ შრომის კოლექტივი. ამჟამად თბილისში არსებობს 12 შრ. კოლექტივი, რომლებშიაც ჩაბმულია 1000 უმუშევარი.

კრებები და მოხსენებები

◆ ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში. სამშაბათს, 9 მარტს, საღამ. 8 ს., საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში, საზოგადოების მორიგ სხდომაზე წაიკითხავენ მოხსენებებს: 1. სოლომონ იორდანიშვილი: „გრამატიკულ სქესის პრობლემა" და 2. არნ. ჩიქობავა: „შეიძლება თუ არა ქართულში ერთ და იმავე პირის, როგორც სუბიექტი ისე ობიექტი ერთ და იმავე ფორმანტით იყოს აღნიშნული?"

◆ განათლების მუშაკთა სახლში. კვირას, 7 მარტს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში, ამხ. ნინო ლომაური გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქალი და სამართალი".

◆ განათ. მუშაკთა სახლში კვირას, 7 მარტს, საღამოს 7 საათზე, ამხ. ნინო ლომაური გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქალი და სამართალი".

გ. მ. სახლის წევრთათვის შესვლა უფასოა.

შემთხვევები

◆ თავდასხმა. 1 მარტს, ღამის 1 ს., მოქ. თეოდორე ანდრონსინ სოფ. გურისში დახვდა ორი შეიარაღებული ავაზაკი და წაართვა 143 მ. ფულად და 200 მან საქონელი.

◆ ქურდობა. 5 მარტს, მოქ. ანდრია ლილიანის ბინიდან მოიპარეს 120 მან. ნივთები.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურ წერილში მრავალი კორექტურული შეცდომაა გაპარული, რომელთაგან ვასწორებთ უმთავრესებს:

წერია: „ამერიკაში ეხლახან შეძენილ 10.000 ტრაქტორიდან, ამიერ-კავკასია მიიღებს 4.000-სს, უნდა იყოს: „400-სს". დაბეჭდილია: „გლეხის ნამუშევარი, გლეხის საქონელი და ფრინველი და მათი პროდუქცია ხშირად მეორე ღირსებისაა", უნდა იყოს: „...მდარე ღირსებისაა". წერია: „...გლეხობის ნაწარმოების ფასების აწევას", უნდა იყოს: „...თვისების აწევას".

ხელოვნება

ოლღა გულაზიანის იუბილე

ოთხშაბათს, 10 მარტს, გადახდილ იქნება სომხური თეატრის ერთ საუკეთესო დამამშვენებელის—მსახიობ ოლღა ნიკოლოზის ასულ გულაზიანის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

გულაზიანი ღარიბი ოჯახის შვილია დაიბადა ხარფუხში 1885 წელს. განათლება მიიღო სამრევლო სასწავლებელში.

მას სკოლის სკამიდანვე შეუყვარდა თეატრი და დიდის ერთგულობით იღებდა მონაწილეობას საბავშო და შინაურ წარმოდგენებში. სერიოზულ მუშაობისათვის კი იგი ატყობდა თავის მოუმზადებლობას და ამიტომ ხარბათ ეწაფება თვითგანვითარებას, რითაც ანაზღაურებს სისტემატიურ დანაკლისს.

1901 წლიდან ის უკვე მუდმივ მუშაობას იწყებს რეჟისორ ამო ხარაზიანის ხელმძღვანელობით.

აქედან დაწყებული ის მუდამ დაუღალავი მუშაობდა მურაშკოსა, არაქსიანისა და სახალხო თეატრში, შემდეგ კი რუსთაველის თეატრში, სადაც მოღვაწეობს ამჟამად და ერთ-ერთ თვალსაჩინო მსახიობათ ითვლება.

სომხურ დასებთან ერთად ის ამავე დროს მოგზაურობდა საქართველოში, სომხეთში, აზერბეიჯანში, რუსეთში, სპარსეთში და ოსმალეთში.

იგი შეუდარებელი შემსრულებელია სომხურ სცენაზე სუბრეტის და ინჟენიუს როლებისა.ამავე დროს საუცხოვოდ ასრულებს დრამატიულ როლებსაც.

25 წლის განმავლობაში იგი გამოსულა 30 ქალაქში. მონაწილეობა მიუღია სამოცდაათ პიესაში.

მისი დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავად „ჰაიარტუნის" დრამატიული სექციის მეთაურობით არჩეულია საიუბილეო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ღირსეულათ ჩაატაროს დღესასწაული ამ სომხურ თეატრის დამამშვენებელისა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „მზეთა-მზე". ხუთშაბათს, 11 მარტს, რუსთაველის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ვანო ვახვახიშვილის პანტომიმა „მზეთა-მზე". დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.

◆ კონცერტი. 10 მარტს, განათლების მუშაკთა სახლში მე-47 შრომის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ ხელოვანთა სასახლეში დღეს, საღამოს 5 საათზე, სპეციალურ კომისიის მიერ მეორედ მოსმენილი იქნება შ. თაქთაქიშვილის ახალი ორიგინალური ოპერა: „განთიადი". ცალკე ნომრები შესრულებული იქნება სოლისტების მიერ.

◆ ეგონ პეტრი 14 მარტს, ბათომში განათლების მუშაკთა სახლში გამართავს კონცერტს.

◆ „ლამარა". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ ხელოვნების მუშაკთა კავშირის 5 წლის თავის აღსანიშნავად დღეს, საღამოს 7 ს. პროფკავშირების დიდ დარბაზში შესდგება კავშირის წევრთა საზეიმო სხდომა.

◆ ცირკში დღეს დილით ბავშვებისათვის გაიმართება დიდი წარმოდგენა მსახიობ მაიმუნის ტეკოს მონაწილეობით.

◆ ხ. მიგაის გამოსათხოვარი გასტროლი გაიმართება დღეს ოპერის თეატრში. მიდის „ევგენი ონეგინი" და ადგილები „პიკის ქალიდან".

◆ წითელი თეატრი. დღეს უკანასკნელად „ჭირვეული ცოლის მორჯულება". კატარინის როლს შეასრულებს დამსახურებული მსახიობი ტ. აბაშიძე.

◆ სიმფონიური კონცერტი. ხვალ, 8 მარტს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ქართული სიმფონიური სტუდიის სიმფონიური კონცერტი.

◆ საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. ორშაბათს, დღის 1 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შესდგება ასოციაციის გამგეობის გაფართოებული სხდომა, უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ვ. ბახტაძე, ბუხნიკაშვილი, ბ. ბუაჩიძე, შ. დუდუჩავა, ი. გედევანიშვილი, ს. ეული, ლ. ესაკია, ნ. ზომლეთელი, კ. კალაძე, რ. კალიძე, ა. მაშაშვილი, დ. რონდელი და შ. ნატეხელი.

ავსტრიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა ეკრანზე

საქართველოს კინო-მრეწველობამ პროფსაბჭოს დავალებით გადაიღო ავსტრიის მუშათა დელეგაციის თბილისში ჩამოსვლა.

კინო - მრეწველობის ფაბრიკაში უკვე დამზადებულია ფილმი 200 მეტრის სიგრძის, რომელზედაც გადაღებულია დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში, მისი შეხვედრა და 25 თებერვლის დემონსტრაცია.

სახელმწიფო კინო - მრეწველობის ოპერატორებმა გადაიღეს ავსტრიის დელეგაციის ცალკე წევრების გამოსვლები დემონსტრაციის დროს და აგრეთვე ჩვენი ორატორების გამოსვლები.

სურათი თავდება წარწერით გერმანულ ენაზე: „სალამი ავსტრიის მუშებს საქართველოს მუშებისაგან".

ამ სურათს საქართველოს პროფკავშირთა საბჭო გადასცემს ბათომიდან თბილისში დაბრუნებულ ავსტრიის მუშათა დელეგაციას, რათა მათ ექნეთ შესაძლებლობა აჩვენონ ავსტრიის მუშებს, თუ როგორი „ტერორი" მეფობს წითელ საქართველოში.

სურათის ერთი ეკზემპლიარი გაიგზავნება მოსკოვში.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„არსენალი"—„პოლიტეხნიკუმი"

„დინამოს" და უფ. ქვთარაძის სახელობის გუნდის შეჯიბრება, რომელიც უნდა შემდგარიყო კვირას, „დინამოს" რამოდენიმე ფეხბურთელის ავადმყოფობის გამო გადაიდო შემდეგი კვირისათვის.

კვირას, 7 მარტს, დღის 1 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე აღნიშნული გუნდების მაგივრად ითამაშებენ არსენალის რაიონის და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდები.

გუნდების რეგისტრაცია

ფიზკულტურის თბილისის საბჭოში დაიწყო ფეხბურთელთა იმ გუნდების შეჯიბრება, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში.

პირველობის გათამაშება დაიწყება 28 მარტიდან.

მუშათა ცხოვრება

მუშა ქალთა საერთაშორისო დღე

რვა მარტი არის მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა კავშირის და ერთობის დღე, რომლის უკანასკნელი (ფინანსიური) მიზანია სოციალიზმის დამყარება და ქალთა სრული განთავისუფლება ყოველგვარი მონობისაგან. ქალთა საბოლოო განთავისუფლება ყოველგვარი მონობის უღლისაგან ისე შეუძლებელია, თუ არ მოისპო ხამუდამოთ ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის ყოველგვარი მონური ნაშთები და ძირიან-ფესვიანად არ შეიცვალა ძველი დახავსებული საზოგადოების ეკონომიური და სოციალური წყობილება-პირობები. სწორედ, ამისათვის იბრძვის მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი და უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში მას გვერდში უნდა ამოუდგენ ჩვენი მუშა და გლეხი ქალები, თუ მათ ნამდვილად სურთ გახდენ სწორუფლებიანი, თავისუფალი მოქალაქენი ახალი სოციალური საზოგადოებისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები წარმოადგენენ კაცობრიობის უალრეს პატივსაცემ და უმრავლეს ნაწილს, ისინი მაინც არასდროს და არსად, გარდა საბჭოთა ქვეყნებისა, ვერ სარგებლობდენ ვერავითარი მოქალაქეობრივი უფლებებით. მათ უყურებდენ უკეთეს შემთხვევებში, როგორც „მშვენიერ სქესს" და „სიამოვნების იარადს", რომლის მთავარი და ერთადერთი მიზანია „შვილის შობა-მოვლა", „სამშარეულო" და „ოჯახის თავის" მამაკაცის მონური ერთგულება და მისი ყოველგვარი კაპრიზების უსიტყვო შესრულება. ძველი განათლებული რომაელები და ბერძნები დედა-კაცს უყურებდენ, როგორც ნივთს და არა პიროვნებას. მაშინ დედაკაცი წარმოადგენდა უფლების ობიექტს და არა სუბიექტს. მას ჰყიდდენ და ყიდულობდენ, ისე როგორც უბრალო ნივთს ან საქონელს. მის მიმართ მიმართული ყოველგვარი უსამართლო, საზიანო ქმედობა—დანაშაული არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად პიროვნებათა უფლების წინააღმდეგ და არ ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით. ყველა ასეთი ქმედობანი ექვემდებარებოდენ სამოქალაქო სამართალს და მათი ჩამდენი პირნი იხდიდენ მხოლოდ ფულად ჯარიმას და პასუხს აგებდენ ნივთიერად.

ქალი იყო ყოველგვარ უფლებას მოკლებული, უსიტყვო მონა მამაკაცის. ასეთი იყო შორეულ წარსულში ქალის მდგომარეობა და არის ახლაც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნებში. მართალია, კაპიტალისტურ ქვეყნებში არა აქვს ადგილი ძველ ბარბაროსულ ზნე-ჩვეულებას და იქ დღეს ქალები სარგებლობენ ზოგიერთ უფლებებით, ისინი უკვე არ წარმოადგენენ იქ უბრალო „კომერციულ პრუნვის" ნივთს", მაგრამ ისინი ბურჟუაზიულ ქვეყნებში მაინც არ წარმოადგენენ სრულუფლებიან მოქალაქეთ და მათი პოლიტიკური უფლებები იქ მხოლოდ მოჩვენებითია, ფორმალური და არა ფაქტიური. ფაქტიურად დედა-კაცები იქ ვერ სარგებლობენ სრულიად პოლიტიკური უფლებებით.

საბჭოთა ქვეყნებში კი მშრომელი ქალი არის სავსებით, სრულიად მამაკაცთან სწორუფლებიანი მოქალაქე. მას საბჭოთა წყობილება ანიჭებს ყველა უფლებებს მამაკაცთან თანაბრად.

მართალია, ჯერ კიდევ დედაკაცები ვერ სარგებლობენ ფაქტიურად ყველა უფლებებით, რომელნიც მათ აქვთ მინიჭებული საბჭოთა კანონმდებლობით, მაგრამ ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ თვით ქალებში, რომელნიც, სამწუხაროთ, ისტორიულ პირობების გამო ჩამორჩენილნი არიან გონებრივათ და პოლიტიკურად.

იმისათვის კი, რომ ჩვენმა მშრომელმა ქალმა გამოიყენოს და ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით, საჭიროა მისი გონებრივი განვითარება და პოლიტიკურად გაწვრთნა, მისი ყოველ დარგის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმა და თეორიულად მომზადება.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი და უაღრესი მნიშვნელობა აქვს ქალთა შორის კულტურულ მუშაობას.

რვა მარტის დღესასწაული სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებს და მიიქცევს ხელმძღვანელ პარტიისა, ხელისუფლების და პროპაგანდის მთავარ ყურადღებას. თვით მუშა-ქალებმა უნდა გამოიჩინონ მეტი აქტივობა, მეტი ინიციატივა, მეტი უნარი და მეტი სურვილი ამ მიმართულებით და ამ მიზანს უფრო ადრე მივაღწევთ.

სხივი.

საერთაშორისო ქალთა დღესასწაული

8 მარტი მსოფლიო ქალთა დღესასწაულია. 16 წლის წინეთ მსოფლიო ქალთა კონფერენციაზე საძირკველი ჩაეყარა ქალთა კომუნისტურ ორგანიზაციას ამხ. კლარა ცეტკინის მეთაურობით.

სხვანაირად არც კი შეიძლებოდა, რადგანაც კაცობრიობის მეორე ნახევარს დედა-კაცები წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და მის მშენებლობაში ისინი სრულიად თანასწორნი უნდა იყვნენ მამაკაცებთან ერთად. მაგრამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყველა საკითხები დედაკაცის დაუსწრებლად და მის დაუკითხავად სწყდება ბურჟუა მამაკაცების მიერ. დედაკაცი მათის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ „გასართობ საგანს" წარმოადგენს. დედაკაცი იქ ნამდვილ მონადაა გარდაქცეული.

მართალი იყო ბებელი, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშის ცოლებს „მონებიც" კი უწოდა.

როგორი უფლებებით სარგებლობს დღეს საბჭოთა ქვეყნებში დედაკაცი?

ოქტომბრის რევოლიუციამ სამუდამოდ იგი გაათანასწორა მამაკაცთან უფლებრივად და პოლიტიკურად.

გარდა ამისა, მუშა-ქალების ხელფასი ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაცილებით ნაკლებია მამაკაცებზე და ამიტომაც დედაკაცი ერთნაირ მეტოქეობასაც უწევს მამაკაცს შრომის ხელფასში.

საბჭოთა ქვეყნებში კი ეს საკითხი მოგვარებულია და აქ ხელფასითაც თანასწორია მამაკაცთან. მართალია, ჯერ კიდევ დედაკაცი სრულიად განთავისუფლებული არ არის მამაკაცების ბატონობისაგან, მაგრამ იგი სრულიად განთავისუფლდება მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი სავსებით მოისპობა და დედაკაცი სრულიად დამოუკიდებელი იქნება ეკონომიურად მამაკაცისაგან. ეს დრო, არც ისე შორს არის, რადგანაც ამისათვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული და გამარჯვებაც ჩვენსკენაა.

დედაკაცი სახლში ფუსფუსის ნაცვლად საზოგადოებრივ სარბიელზედაც უნდა გამოვიდეს სხვებთან ერთად სამუშაოდ და იგი აუცილებლად გაიმარჯვებს.

გაუმარჯოს ქალთა მსოფლიო დღესასწაულს!

გაუმარჯოს კომუნისტურ საზოგადოებას!

მუშა ნ. მკერვალი.

მუშკორები და კონტრაბანდასთან ბრძოლა

კონტრაბანდა და მასთან ბრძოლა—მუშკორების ერთ უმთავრესს ამოცანას უნდა შეადგენდეს. თუ კონტრრევოლიუციონური და ანტისაბჭოთა ძალები დღეს პოლიტიკურ სარბიელიდან სრულიად ალიგავენ, სამაგიეროდ ისინი ეკონომიურ კონტრრევოლიუციონურ საქმეს შეუდგენ და ძირს უთხრიან საბჭ. რესპუბლიკების სამრეწველო განვითარებას, ვისაც კი გაძრომ-გამოძრომის „შნო და უნარი" აქვს, მას, უეჭველია, კონტრ-უნარი" აქვს, მას, უეჭველია,კონტრაბანტისტებთან მჭიდრო კავშირი აქვს; ჩვენი ახალი ბურჟუაზია აღარ კადრულობს საკავშირო რესპუბლიკების ფაბრიკებში დამზადებულ საქონელს და ეტანება უცხოეთიდან ჩუმად შემოტანილ სხვადასხვა საგნებს.

გაიარეთ ქუჩაში და ადვილად შეატყობთ, თუ სად დამზადებულ „ნარიადებში" არიან მორთული როგორც „ნეპმანები", ისე მათი—„დამოჩხებიც": კოსმეტიკა, გალანტერეა ჩულქები, ინდიგოს შევიოტის კოსტიუმები და სხ. მრავალი რომლებიც ძლიერ უხვად შემოდის საქართველოში და მთელს ამიერ-კავკასიის ფარგლებშიაც ოსმალეთიდან და სპარსეთიდან. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჩვენი დამზადებული საქონელი ვერ არის ყოველთვის კარგი ხარისხის და ყველა „ზაგრანიჩნის" ეძებს. ავიღოთ, მაგალითისათვის, ჩულქები, ეს ისეთი უჩინარი და მსუბუქი საქონელია, რომ ყველას ჯიბით დააქვს და ხელიდან ხელში გადადის, ყველას უნდა „მოდაზე" მორთული გამოჩნდეს ნაცნობებში და თავი მოიწონოს თავისი „მეჩხანური" გარეგნული ჩაცმულობით, ამ დროს კი ზოგი შეგნებულად და ზოგიც შეუგნებლად ძირს უთხრის იმ მუშურ მთავარ რევოლიუციის მონაპოვარს, რომელსაც გარეშე ვაჭრობის მონოპოლიას შეადგენს.

ამ მხრივ საჭიროა მუშკორების ყურადღება მიქცეული იქნეს იქითკენ, საიდანაც კონტრაბანდის სახით შემოდის სხვადასხვა საქონელი, უმთავრესი ბაზა კონტრაბანდული საქონლისა არის ბათომი, ქობულეთი, ახალციხე, აბასთუმანი. ამ ადგილებში ბევრი მუშკორები და გლეხკორებია. დღეს გაფანტული და შეძლებისდაგვარად ისინი ხელს უწყობენ ყოველი ბოროტების ამოჩენაში ადგილობრივ ხელისუფლებას. მათ ადვილათ შეუძლიათ თავიანთი მახვილი თვალით მზის სინათლეზე გაამჟღავნონ ის ბნელი კუნჭულები, სადაც ბუდობენ კონტრაბანდისტების აგენტები.

მუშკორი იმედი.

[illegible] წერილებიდან

— მოსალოდნელია ხანძარი. ნაძალადევის ხიდის ქვევით არის ნავთის საქაჩავი, რომელიც აწოდებს მაზუთს ორთქლმავლებს. აქვე სცლიან ცისტერნებს. აქ იმდენი მაზუთია დაღვრილი, რომ მოსალოდნელია ხანძარი გაჩნდეს. განა ასე ძნელია ამ მაზუთის გაწმენდა და ხანძრის თავიდან აცილება!?

მუშკორი თერგის-ხეველი.

— შემფასკომიც ასეთი უნდა. მე-4-ს თამბაქოს ფაბრიკაში დღიდან მისი დაარსებისა მუშაობს ამხ. იაკობ მჭედლიშვილი. ეს ამხანაგი არის ძალზე მუყაითი, კეთილსინდისიერი და მხნე მუშაკი, ხელფასი კი მას მცირე ჰქონდა, მან მოსთხოვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ხელფასის მომატება. მომატების ნაცვლად პატიოსან მუშას ხელფასზე დაუკლეს.

რას ჰგავს ეს, შემფასკომო?!

მუშკორი კარგი.

— დიასახლისი ძალზე გვაწუხებს. სასამართლოს ქ. სახლი № 36 დიასახლისი მეტად უდიერად და უხეშად ეპყრობა თავის მდგმურებს, განსაკუთრებით კი მუშა-მოსამსახურეთ. სამწუხაროდ, ამ ბოროტ დიასახლის გვერდზე ამოუდგა ერთი მდგმურის, ვინმე კოტლოვის ცოლი და აგვიკლეს ქალებმა.

მილიციავ, გვიშველე!

მუშა გამვლელი.

— ეს მუშკომი ცუდად მუშაობს. შავი ზღვის რკინისგზის მუშათა ადგილკომი ძალზე სუსტად მუშაობს. ჩვენ არა გვაქვს საექიმო პუნქტი, არც საერთო სასადილო, არც წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. ადგილკომის წევრები ხშირად დროს ატარებენ სამიკიტნოებში და კოჩაღები არიან ქეიფში.

ადგილკომს გაახსენეთ მისი მოვალეობა!

საწყობის მუშა.

— კარგი ამხანაგიცაა და ხელმძღვანელიც. შავი ზღვის რკინისგზის აღმშენებელთა კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვანო გოგიშელიძე ადგილობრივ მუშებს უწევს ყოველგვარ ხელმძღვანელობას. იგი ამავე დროს მუშების თავმჯდომარეთ ითვლება და მუშებს ძალზე თავაზიანათ ეპყრობა და საუკეთესო ხელმძღვანელიცაა.

მუშა განი.

— სწორედ კეთილსინდისიერი მუშებია. ქალ. თბილისის მთავ. სახელოსნოში ღამის მესამე ცვლაში მუშაობენ ზეინკლები: ალიბორიშვილი, თოდაძე, ლომიაშვილი და მარშუნოვი. 23 თებერვალს დეპოდან გამოსული ორი ორთქლმავალი № 9066 ჩავარდა ლიანდაგებს შუა. მას კი უნდა წაეყვანა მატარებელი № 27. მატარებელს უგვიანდებოდა, მაგრამ მხნე მუშებმა ორთქლმავალი სასწრაფოდ ამოიყვანეს და მატარებელი დროზე გაგზავნეს. მადლობა ასეთ მუშებს.

მუშა კოჯანდარი.

— ამუშავეს და გასამრჯელო კი არ მისცეს. ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ საყულის თემის საბჭოს თავმჯდომარის საშუალებით დაავალა ამავე თემის გლეხს ამხ. ვალოდია სვანიძეს პარტახტიანი სახადით ავადმყოფი ლადო დიდის მოვლა. ეს დავალება ამხ. სვანიძემ პირნათლად შეასრულა, მთელი 14 დღის განმავლობაში მან კეთილსინდისიერათ იმსახურა და ავადმყოფიც მორჩინა. გასამრჯელოს კი მას არავინ აძლევს.

რაშია საქმე, ჯანგანყოფილებავ?!

მუშა—გონა.

მუშათა ქრონიკა

ტყავტრესტის ფაბკომში

— დამზღვევ წიგნაკების დარიგება. ტყავტრესტის ფაბრკომმა დაავალა ამხ. ენუქიძეს სთხოვოს ქარხნის დირექტორს რათა მისცეს წყალსადენის მილები და საჭირო თანხა, რაც ეჭირდება კლუბში წყლის გაყვანას.

— დამზღვევ წიგნაკების დარიგება. ტყავტრესტის ფაბრკომმა სთხოვა ქარხნის ადმინისტრაციას დაჩქარებით დაურიგოს ქარხნის მუშებს დაზღვევის წიგნაკები.

— ვინაიდან მუშებისაგან შემოდის განცხადებები ადმინისტრაციის შესახებ, ტყავტრესტის ფაბრკომმა სთხოვა ქარხნის ადმინისტრაციას, ყოველი უთანხმოების დროს მუშებთან, ზომების მიღება ხდებოდეს ფაბრკომის თანდასწრებით.

— წინადადება მიეცა. ვინაიდან მუშათა კლუბის გამგე უდიერად ეპყრობა კლუბში თავმოყრილ ქალებს, ტყავტრესტის ფაბრკომმა წინადადება მისცა შემდეგში აღარ განიმეოროს ასეთი ამბავი.

— სალაროს შეძენა. ვინაიდან ხშირი შემთხვევაა საწევრო ფულების დაკარგვისა, ფაბრკომმა დაადგინა იქნეს შეძენილი ფაბრკომში ფულების შესანახი სალარო.

— ზედმეტი მუშაობის შესახებ. როდესაც ადმინისტრაციას სჭირდება ზედმეტი მუშაობა, ის მუშებს უცხადებს ამაზე მუშაობის დასრულების შემდეგ. ტყავტრესტის ფაბრკომმა ეს არ სცნო მიზანშეწონილად სთხოვეს ადმინისტრაციას წინასწარ აცნობოს მუშებს ამაზე.

ბიბლიოგრაფია

კომუნისტის თანამგზავრი № 3

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს ყოველთვიური ორგანო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავზე გამოვიდა ხსენებული ჟურნალის მესამე ნომერი. ამიტომ მასში მოთავსებული მასალის საგრძნობი ნაწილი მიძღვნილია ამ დღისათვის.

ამხ. ს. ს—ძე წერილში „საქართველოს გასაბჭოების ხუთი წელი" ეხება მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას მათი ბატონობის დროს, მათ კონტრ - რევოლიუციონურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და მოკლედ ახასიათებს უკანასკნელის ბუნებას და მიღწევებს პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში.

მას მისდევს ამხ. ა. რ.—ის ნარკვევი „რა გავაკეთეთ 5 წლის განმავლობაში ეკონომიურ ფრონტზე". ავტორი გვაწვდის სტატისტიკურ ცნობებს ნათესების სივრცისა და საერთო მოსავალზე, მრეწველობაზე, კოოპერაციაზე, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ცვალებადობაზე, მუშების ბიუჯეტსა და კვებაზე, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვზე და თბილისის კომუნალურ მეურნეობაზე. მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ ჩვენს უდიდეს ზრდას და მიღწევებს ყველა ჩამოთვლილ დარგში. წერილი მაინც ვერ იძლევა რესპუბლიკის ეკონომიკის მთლიან სურათს. ჯერ ერთი, იგი უფრო უბრალო სტატისტიკურ ცნობებს წარმოადგენს, ვინემ დამუშავებულ წერილს. გარდა ამისა ავტორი არაფერს ამბობს ძვირფასს და ტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, მესაქონლეობაზე, შინამრეწველობაზე, ერთი სიტყვითაც არ ეხება ქვეყნის ფინანსებს და სხ., სამაგიეროდ წერილის მთელი ნახევარი შეიცავს თბილისის კომუნალურ მეურნეობის მიღწევათა ვრცელ აღნუსხვას. რაც დიდი არ უნდა იყოს დედა-ქალაქის ხვედრითი წონა რესპუბლიკის ეკონომიკაში, მაინც პროპორციის დარღვევა აქ თვალში გვეცემათ.

ამხ. აკ. ჭუნია თავის საყურადღებო წერილში „მენშევიზმი საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლისთავზე" იძლევა ქართული მენშევიზმის სწორ დახასიათებას, დალაგებით გადმოგვცემს მისი „მოღვაწეობის" და რღვევა-დაშლის მთავარ მომენტებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ბოლო დრომდე.

„მოკვდა თუ არა საბოლოოდ მენშევიზმი, დასასრულ ასე სვამს ავტორი საკითხს. და უპასუხებს: ქართული მენშევიზმი დაიგრა იდეურად და ორგანიზაციულად, მას გასავალი არა აქვს ფართო მასებში, მაგრამ მისი ნამსხვრევები კიდევ დარჩა. მენშევიზმი მარტო ქართული მოვლენა არ არის;ის მუშათა კლასის საერთაშორისო სენს წარმოადგენს: მსოფლიო ოპორტუნიზმი მასაზრდოებელია ჩვენში დარჩენილ მენშევიკურ ნამსხვრევების. ჩვენი სიღარიბე და უსაქმო ინტელიგენციის სიმრავლეც ასულდგმულებს მენშევიზმს. მას საკვებ მასალას აძლევს აგრეთვე რევოლიუციით დაზარალებული და უკმაყოფილო ელემენტები. ავტორი სამართლიანად ასკვნის ერთი მხრივ, ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ და კულტურულ წარმატებისათვის, მეორე მხრივ დაუცხრომელი აგიტაცია-პროპაგანდა ფარულ და აშკარა მენშევიზმის სრული განადგურებისათვის, — აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი მუშაობა მიმართულიო.

წითელი არმიის რვა წლისთავის შესრულების გამო ჟურნალში მოთავსებულია ამხ. გ. გვაზავას წერილი „ჩვენი შეიარაღებული ძალა", რომელშიც არკვევს ჩვენი პარტიის შეხედულებას შეიარაღებულ ძალაზე, და ამხ. ბ. ადამიძის წითელ არმიის 8 წლისთავზე", რომელშიც იგი ახასიათებს მუშურ-გლეხურ არმიის ამოცანებს, მშენებლობას და მიღწევებს.

არ არის ინტერესს მოკლებული ამხ. გ. ძ—ს წერილი „კოოპერაცია—გზაა სოციალიზმისაკენ". კოოპერაცია სოციალისტური მშენებლობის მთავარი გზაა სოფლად. კოოპერაციაში მთელი მშრომელი გლეხობის შეკავშირება, კოოპერაციასთან ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის მჭიდრო კავშირი—საწინდარია კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის და წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის.

ჟურნალში აგრეთვე მოთავსებულია წერილი და მასალები აგიტაციის და პროპაგანდის საკითხებზე. საყურადღებოა ვრცელი თეზისები მე-XIV-ე ყრილობის შედეგების შესახებ.

„საერთაშორისო ვითარება"-ს განყოფილებაში გამუქებულია განიარაღების კონფერენცია, საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის დამოკიდებულება, იმპერიალისტების და კოლონიალურ ქვეყნების ურთიერთობა, ინგლისის მდგომარეობა, მაროკოს და სირიის ამბები. ავტორს არ ემჩნევა საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, ამასთან წერილს აკლია დამუშავება.

ჟურნალი თავდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ წერილების ნუსხით და ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჟურნალის ეს № სუსტადაა შედგენილი, ზოგიერთი წერილის გამოკლებით, საკითხების შერჩევის და უფრო მათი დამუშავების მხრით.

X.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ორი დღის ვადაში ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან.

1) ავეჯეულობის ფაბრიკის უჯრედიდან: ივანე ათინაძე, ანტონ გერბინი, გრიგოლ ტასაიანი, გაიკ გალუსტიანი, მიკიჩ კარალოვი და იულო ცინცაძე.

2) ლენინის სახელობის ფაბრიკის უჯრედიდან: არმენაკ მხიტაროვი და ნიკოლოზ ოკუჯავა.

3) სახ. კომისართა საბჭოს უჯრედიდან (57)—ალექსი მოროზოვი.

4) მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის უჯრედიდან (47)—სერგო სტურუა და გალაქტიონ ჯიბუტი.

5) უჯრედი № 48-დან—ვასილ ბერიძე და დავით ადამაშვილი.

წერკუმსის ქალაქის რაიონული საბჭო იუწყება, რომ სამშაბათს, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აგიტპროპგანყოფილების ბინაზე გაიმართება წერკუმსის რაისაბჭოს სხდომა სარევიზიო კომისიასთან ერთად.

სავალდებულოა რაისაბჭოს და სარევიზიო კომისიის ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად.

წერკუმსის მდგ. საზოგად. რაისაბჭოს მდივანი ბახტაძე.

სამშაბათს, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის ბინაზე (პლეხანოვის გამზირი № 123) შესდგება თბილისის ორგანიზაციის საწარმოო უჯრედთა ბიუროების კონფერენცია უჯრედთან ბიუროებთან მიმაგრებულ სამხედრო ორგანიზაციებთან ერთად.

თბილისის კომიტეტის სამდივნო.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო ქვე-განყოფილება სთხოვს: ამხ. ყიფიანს აპოლონს, ენუქიძეს ვიკენტის, მელუა გიორგის, ბერიშვილს ვალერიანს და გაბიჩვაძე სერგოს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ცეკას სააღრიცხვო ქვე-განყოფილებაში.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააღრიცხვო განყ. გამგის მაგიერ ბლაგიძე.

განცხადებები

გერმანე გოგიტიძე ულრმეს მადლობას სწირავს მეგობრებს, ნაცნობთ, ნათესავებს და მისთვის ძვირფას სახკინმრეწვის, როგორც წარმოების, აგრეთვე ექსპლოატაციის თანამშრომლებს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც პირადათ თუ წერილობით გამოსთქვეს ცხოვრების დაუვიწყარ თანამგზავრის და მეგობრის

ნადიას

დაკარგვის გამო.

1773 1—1

სენაკის მაზრის საბჭოთა მუშაკების კავშირის სამალმასკომ-სამფინგანის ადგილკომი მწუხარებით აუწყებს ამავე კავშირის წევრებს, თანამშრომლებს და მეგობრებს, რომ 3 მარტს უეცრად გარდაიცვალა კავშირის წევრი, დაუვიწყარი ამხანაგი—სენაკის შემოსავალ გასავლის სალაროს გამგე

ივანე მარკოზის ძე ფრანგიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. გუგუნაყათში 7 მარტს, საღამოს 4 საათზე. ნ. 875 1—1

საქართველოს ს.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი მწუხარებით აუწყებს კომისარიატის ყველა თანამშრომელთ, რომ მიმდინარე მარტის 3-ს გარდაიცვალა სენაკის სამაზრო სალაროს გამგე

ივანე მარკოზის ძე ფრანგიშვილი

რომლის სიკვდილით კომისარიატმა დაკარგა პატიოსანი, მუყაითი და საქმის მცოდნე მუშაკი. ნ. 877 1—1

დედა მზეხა ფრანგიშვილი, და ელისო, სიძე ონიფანტე სტურუები, დეიდა ნინო, დეიდაშვილები: იონი, ცები და მარო კვირკველიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ქ. ახალსენაკში, 3 მარტს, უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვანო (იგივე ივანე) მარკოზის ძე ფრანგიშვილი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 7 მარტს, ს. გუგუნაყათში, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 875 1—1

კვირას 7 მარტს, დღის 1-ლ საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარის

სადა (იგივე სალომე) ქუჩუას ასულის

მირცხულავა-კინწურაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები: მარიამ, ძაძუ (ელენე), ვერა და ევდოკია პავლეს (ტოტის) ასულნი და მიხეილ პავლეს ძე, რძალი ოლღა ანდრიას ასული, შვილიშვილები: პავლე, რუსუდან და თინათინ კინწურაშვილნი, თამარ, ნინო, იონა, ნიკოლოზ, მაერა და თენგიზ (ბოჩია) მელიები, სერგო და ლენა სამხარაძენი, სიძენი: ალექსანდრე ბულია, ივანე სამხარაძე და შალვა მაჭავარიანი. 1775 1—1

მართა ალექსანდრეს ასული და მიხეილ (მიშა) დიმიტრის ძე დაფქვაშვილები შვილებით მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სოფ. საგარეჯოში, 5 მარტს გარდაიცვალა

ალექსანდრე (სანდრო) სოლომონის ძე ქიქინაძე (ქიჩინაშვილი)

პირველის მამა და მეორესი სიმამრი, დაკრძალვა მოხდება სოფ. საგარეჯოში კვირას, 7 მარტს. 1770 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები ივანე და ეფროსინე, ძმები—ილია, პარმენ და იაკობ კალანდაძეები, ბიძე—იაგორ თაყას ძე გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი გორა ბერაქოულის აგრო-ტეხნიკუმის მოწაფე

შოთა ივანეს ძე კალანდაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ ბუკნარში, სამშაბათს, 9 მარტს დილით. 1783 1—1

გიორგი ლომენტის ძე და მეუღლე ნადეჟდა სილიბისტროს ასული მაჭარაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი სიძე

ლეონტი გრიგოლის ძე ჩაჩანიძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, 7 მარტს, სოფელ შუქრუთში (ჭიათურის მახლობლათ). 1781 1—1

ღრმათ დამწუხრებული ქმარი სერგო ალექსისძე ღოლიძე აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 6 მარტს ქალაქის მეორე საავადმყოფოში გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე

ცაცია ფილიპეს ასული ღოლიძისა

დასაფლავების დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული

თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები ამით აცხადებენ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ მათი საყვარელი ამხანაგის

პლატონ ივანეს ძე გვერდწითელის

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, კვირას 7 მარტს, 1 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი. 1779 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე ლევანის ძე, შვილები რაჟდენი, ევგენი, ნიკოლოზი, დორა და თამარა, რძლები ლილია და ანეტა, შვილიშვილები: ბორისი, არჩილი და გივი აუწყებენ მეგობართ, ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის უსაყვარლეს და ძვირფას

ნინა ნიკოლოზის ასულის კუჭუხიძის

გარდაცვალებას ღამით 5 მარტს. პანაშვიდი შაბათს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა კვირას, 7 მარტს დღის 1 საათზე, საკუთარი ბინიდან, გრიბოედოვის ქუჩა, № 10. ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1761 2—1

აპოლლო
ართისტო
ლოლეი

საუკეთესო სურათი
მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

„კინი“

(გენიოსი და სალახანა)
დიდი წარმატების გამო სურათის ჩვენება გრძელდება მეორე კვირაში.
მსოფლიო შედევრი

„ნიბელუნგები“

1 და 2 სერია ერთად
ხვალ, ორშაბათს, მხოლოდ „ართისტოში“—უკანასკნელად 1 და 2 სერია.
ანონსი: სამშაბათიდან 3—4 სერია

0—6 ნ. 864

ამ.-კავკასიის რკინის გზების გამგეობა

აცხადებს შეჯიბრებას

თბილისის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის შენობის პროექტის შესადგენათ. შენობა უნდა იტევდეს 400 მოწაფეს ინტერნატით—120 კაცს. შენობასთან ცალკე განზრახულია სახელოსნოს აშენება

შეჯიბრების საერთო პირობები

1) პროექტი უნდა შეიცავდეს: ნახაზებს, გეგმებს, ფასადს, გეგმებს გაჭრით და ხარჯთაღრიცხვას.
2) პროექტი უნდა იქნას წარდგენილი ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობაში ოთახი № 211, ვაგზლის ქ. 1, არა უგვიანეს ა/წ. 15 აპრილის დღის 12 საათისა.
3) ჟიური შეუდგება წარმოდგენილ პროექტების განხილვას 15 აპრილს.
4) საუკეთესოთ მოწონებულ პროექტებისათვის შესასრულებელ ნახაზთ გადაკეთებით და ხარჯთაღრიცხვით დანიშნულია 2 პრემია:
პირველი—1.500 მან.
მეორე—1.000 მან.
5) ჟიურის მიერ დაწუნებული პროექტები უკანვე უბრუნდება ავტორებს.
6) დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის რკინის გზის, გამგეობაში (ოთახი № 211), დღის 12—2 საათამდე მეცადინეობის დღეებში.

გამგეობა

რუსთაველის თეატრი

დღეს, 7 მარტს,

ჰამლეტ

მეორე შემადგენლობა.

სამშაბათს, 9 მარტს,

დეზერტირკა

ჩამატებულია ახლად მე-3 მოქმედ.

ხუთშაბათს, 11 მარტს,
პრემიერა პანტომიმა

მზეთა მზე

1—1 ნ. 874

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პროსპ. № 24
ტელეფონი № 10-49

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 7 მარტს,
უკანასკნელი გასტროლი

მიგაის

1. ევგენი ონეგინი 2. პიკის ქალი
ელეცკის არია

ანონსი: ახლო ხანში „ღალატი“

1 1 ნ. 873

რუსთაველის საკონცერტო დარბაზი

ორშაბათს, 8 მარტს | საოპერო სტუდიის

სიმფონიური კონცერტი

სანდრო ინაშვილის მონაწ. და სახ. არტ. ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით.
სოლისტები: სანდრო ინაშვილ., ნ. ქუმსიაშვილი ნ. კარგარეთელი, ო. გილბერტ, ვ. ნეიმანი და გ. თაქთაქიშვილი.
ადგილების ფასი 2 მ-დან 50 კ-მდი.
დასაწყისი—საღ. 8 ნახ. საათზე. 1772 1—1

წითელი თეატრი

დღეს, 7 მარტს,
უკანასკნელად მიმდინარე სეზონში შექსპირი

ჭირვეული ცოლის მორჯულება

დადგმა მ. ქიაურელის. დეკორაციები და ტანისამოსი—კ. ზდანევიჩისა —::— დასაწყისი საღ. 8 საათზე
ადმინისტრატორი ნ. ჭანკვეტაძე. ნ. 871 1—1

სახელმწიფო მუსიკალური ტრესტი

„მუზპრედ“

„МУЗПРЕД“

მართავს ქუთაისში

ეგონ პეტრის კონცერტებს 12 და 13 მარტს. ბილეთები იყიდება „მუზპრედ“-ის მაღაზიაში, წულუკიძის ქ. № 45. დაწვრილებით აფიშებში. ნ. 876 1—1

შეჯიბრება მუშათა კლუბის შენობის პროექტზე

ლენინის რაიონის მუშათა კლუბის საამშენებლო კომისია აცხადებს შეჯიბრებას მუშათა კლუბის შენობის პროექტის წარმოსადგენათ.

პირობები შემდეგია:

1) კლუბი უნდა იტევდეს 3.000 კაცს; უნდა იყოს მოწყობილი სცენა და საპირფარეშო მსახიობებისათვის მაგრამ არ უნდა იყოს ბინები წრეებისათვის.
2) შენობის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500.000 მანეთს.
3) პროექტის წარმოდგენის ვადა—არა უგვიანეს 1 აპრილისა.

საუკეთესო პროექტებისათვის დაწესებულია პირველი პრემია 1.000 მან. და მეორე პრემია 500 მანეთი.

ყოველგვარი დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება კომ სიის თავმჯდომარე ამხ. ივანოვისაგან, ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობაში.

1—1 ნ. 869 კლუბის საამშენებლო კომისია

საქართვ. ფინსახკომის სასინჯო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (იუველირების, კბილის ტეხნიკოსების და სხ.) გახსნილია დაუბრკოლებელი ოქროს გაყიდვა ოთხკუთხედებით 999 სინჯისა, ფასი თითო ოთხკუთხედისა

წონით 5 გრამი 6 მან. 50 კ.
„ 10 „ 13 მან. —

გაყიდვა სწარმოებს საქართველოს სასინჯო სამმართველოში, თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა მე-2-ე სართული, დილის 9 საათიდან 2 საათამდე

საქ. სასინჯო სამმართველოს
ნ. 868 1—1 უფროსი ა. ნიშნიანიძე

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭვდა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

0 1 მთავარი კანტორა

ელქგანი

თბ. აღმასკომის კომუნალური განყოფილებისა

იუწყება, რომ მიუხედავათ მრავალჯერ გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებისა, რომ როგორც ძველი უვარგის, ისე ახალი ელექტრო-გაყვანილობანი მოწყობილიყო **ნორმების** თანახმად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აბონენტებს შეუწყდებათ სინათლე, ნორმები მაინც ირღვევა.

ამიტომ ელქგანი მოვალედ რაცხს თავის თავს გააფრთხილოს მოქალაქენი და დაწესებულებანი, რომელთაც გაჰყავთ ახალი ან უნდათ გადააკეთონ ძველი ელექტრო-გაყვანილობანი, რომ ელექტრო-ამმართველები, უცოდინარობისა თუ საქმისადმი არა კეთილსინდისიერათ მოპყრობის გამო, აწყობენ ელექტრო-გაყვანილობას, რომელიც სრულიად **არ შეეფერება ნორმებს.**

ამიტომ ელქგანი წინადადებას იძლევა, რათა აღნიშნულ ელექტრო-ამმართველებთან საბოლოო ანგარიში არ იქნას გასწორებული მანამ, სანამ ელქგანის მიერ არ იქნება მიცემული შესაფერი მოწმობა, რომ სამუშაო შესრულებულია ნორმების მიხედვით.

ელქგანის გამგე: **ზრგგაძე.**
ნ. 878 მთავარი ინჟინერი: პრო. **დიდებულიძე.**

С 1 МАРТА
поступают в продажу пиво

Завода „БАВАРИЯ“

Мюнхенское и Пильзенское, изготовляемые из лучшаго солода и культурнаго хмеля.
На должность главнаго пивовара п иглашен
Герман Августович БАЗЕНЕР
3—3 ნ. 832 АДМИНИСТРАЦИЯ.

კვირას 7 მარტს ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების

საკასრე სახელოსნოს ეზოში
(ელისაბედის ქ. 181) დილის 10 საათზე
გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა სამეურნეო საგნების და ინვენტარის

(წისქვილის, მოტორების, ავტომანქანების ნაწილების, დაზგების, კასრების, ყუთების, კასრის ფიცრების და სხვა) **გასასყიდათ**

2—2 ნ. 859

პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მე-5-ე ყრილობა მოწვეულია ორშაბათს, 1926 წ. 8 მარტს.

ყრილობის დღის წესრიგშია:

1. ამხ. **ყურულიშვილის** მოხსენება საქ. პროფსაბჭოს საქმიანობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ამხ. **არჩილ მიქაძის** მოხსენება შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.
4. საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის პერსპექტივები:
   - ა) მრეწველობის დარგში—მომ სენებ.—ამხ. **ყოუიკაშვილი.**
   - ბ) სასოფლო-მეურნეობის დარგში—**გეგეჭკორი.**
5. საქართველოს პროფმოძრაობის მორიგი ამოცანები:
   - ა) საორგანიზაციო დარგში—მომხს. ამხ. **ალიკო ფანცხავა.**
   - ბ) სატარიფო-საეკონომიო დარგში მოხს. ამხ. **ბ. მაჩაიძე.**
   - გ) კულტურულ-საგანმანათ. „ **ი. ჭელიძე.**
6. არჩევნები.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

3—2 ნ. 846.

დაიბეჭდა და გამოვიდა საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი“ № 1—2

შინაარსი:

მოწინავე: გამარჯვების და აღმშენებლობის პირველი ხუთი წელი

მამია ორახელაშვილი, ქართული ჟირონდის გზა.
ა. ნადირაძე, პარტია და გლეხობის საკითხი.
ე. ჯაფარიძე, მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე
ბ. ადამაძე, წითელი არმიის რვა წელი.
ა. ჭყონია, საბჭოთა არჩევნების გაკვეთილები.
ი. ბუაჩიძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.
ვ. მახველიანი, ტრაქტორი სასოფლო მეურნეობაში.
უ. ფრანგიშვილი, კომკავშირის მე-8-ე ყრილობის შედეგები.

საერთაშორისო მიმოხილვა

გ. კვარაცხელია, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები

ადგილობრივი ცხოვრება

ა. ურუშაძე, ზოგიერთი საკითხები სოფლად პარტიულ ხაზით მუშაობაში.
ი. ხუხუა, ადგილობრივი მუშაობის მტკივნეული მხარეები.
დ. ანაგელი, წერილი ანაგიდან.
ქ. ზ—ძე, ძველი სენაკის კომუჯრედი.

ბიბლიოგრაფია

ფოლადიანი: ი. სტალინი. რ. კ. პ. ც. კ. პოლიტიკური ანგარიში მე-14 ყრილობაზე.
ნ. ტ. ჟურნალი „აგრონომიული კრებული“ № 1.
პროლეტარიძე: ი. კაგანოვიჩი, სოფლად საბჭოთა მუშაობის გაუმჯობესება.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან

1—1 ნ. 872

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
ИЗ
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ
ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА“
В МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ
ВНУТРИ КОРОБКИ

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“

ავადმყოფობათა წამლობა

პროფესორ ბროუნ სეკარის წესის მიხედვით.
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.

„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოტერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ჭლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.



სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენის“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. Адрес: Зак. представит. коопер. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3. ნ.425 0-23.

შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების გამგეობა

აუწყებს თავის წევრებს, რომ ა. წ. 10 მარტს საღამოს 7 საათიდან იწყება საზოგადოების წევრების წმენდა. გამოცხადება ყველასთვის სავალდებულოა, ვინც არ გამოცხადდება გამორიცხულ იქნება საზოგადოებიდან. გაწმენდა მოხდება ყოველ-დღიურად საღამოს 7 საათიდან. გთხოვთ ყველა მოქალაქეებს ვისაც აქვს ჩვენს წევრებზე რაიმე საწინააღმდეგო ცნობები შეატყობინოს გამწმენდ კომისიას.

1778 1—1. გამგეობა.

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 9 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის მიხეილ აბაშიძეს და იმყოფება ქ. თბილისში მე-2 მილიციის უბ. რუსთაველის ქუჩაზე, № 9, ყოფილი სასტუმრო „ორიანტ“-ში და შესდგება 168 ტილოს ნახმარი ბალიშის პირიდან, 221 ტილოს ნახმარი ზეწრიდან, 53 ტილოს ნახმარი სუფრიდან, 67 ნახმარი ტილოს პირსახოციდან, 80 ზოლიანი ტილოს დგამის ჩიხოლებიდან და 63 ბაიკის და შალის ახალი საბნებიდან.

შეფასებულია 2490 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია სახალხო კვების კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 2 იანვრის თარიღით № 4 გაცემული ბრძანებისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ, ზემო-ნაჩვენებ მისამართზე, სადაც შეუძლია მყიდველს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს. 1782 1—1

ქ. ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 1926 წლის 13 მარტს დილის 10 საათზე დანიშნულია ქალაქ ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ვლადიმერ ბეჟანის ძე რუხაძის შვიტკირის სახლის, რომელიც შეიცავს შვიდ ოთახს, აივნით, დახურული ცინკის ჟესტით, აგებული საზოგადო ნაკვეთ მიწაზე მდებარე იმავე ქუჩაზე, ზომით მიწა 200 კვადრატი საჟენი, შეფასებული 3210 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. სახლის მყიდველზე გადავა მიწა თანახმად 12 აპრილი 1923 წლის მე-18 მუხ. დებულებისა. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. 1774 1—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—7

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—18

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მორე სახლი. 25—12

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82
25—13

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან 2 საათამდე
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტკორპ უკან. 25—7

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—25

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—8

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77
25—7

დაკარგა პირადობის მოწმობა № 11900 ისაკ გეთიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1770 1—1

დაკარგა დროებითი მოწმობა ა. ლ. კ. კ. № 2018, რემესლეს წევრობის მოწმობა, ავიაქიმიის მოწმობა № 74844 ნიკო ნიკოლოზის ძის ქუთათელაძეს სახელზე. ჩ. გ. 1771 1—1

დაკარგა სამთო-მადნო ა/ქ. წიგნაკი № 5075 კოლია სიმონის ძე წერეთლის სახელზე. ჩ. გ. 1784 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № [illegible] და რკინის გზის წლიური ბილეთი № 302820 მიხეილ როსტომის ძე ტაბატაძის სახელზე, ჩ. გ 1784 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ელიზბარ ანდრიას ძე შურღაიას სახელზე. ჩ. გ. 1780 1—1

დაკარგა სამთო-მადნო ა/ქ. წიგნაკი № 1900 სარდიონ მალხაზის ძე ცარეიძის სახელზე. ჩ. გ. 1784 1—1

დაკარგა საამშენებლო კავშირის საწევრო წიგნაკი № 2911 ფილიპე ფარჯანაძის სახელზე. ჩ. გ. 1777 1—1

დაკარგა დაზღვევის წიგნაკი № 0042 მოცემული სახელმწიფო დაზღვევის სრულიად საქართველოს კანტორიდან. მნახველს ვთხოვ ჩააბაროს წიგნაკი ზემოხსენებულ კანტორაში ამხ. მორიტაქეს (სოლოლაკის № 8).

ტირაჟი—25.282
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68